ვ. კეფელავა

სოციალიზმი და პოლიტიკური კულტურა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1985

წიგნში საბჭოთა საქართველოს მაგალითზე ნაჩვენებია განვითარებული სოციალიზმის პირობებში პოლიტიკური კულტურის როლი, გაანალიზებულია საქართველოს კომპარტიის საქმიანობა სიახლეთა დანერგვისათვის, მშრომელთა ინიციატივის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის; ნაშრომში გაშუქებულია აგრეთვე საბჭოთა კულტურის ერთიანობისა და მრავალფეროვნების, ახალი ადამიანის აღზრდის საკითხები სოციალიზმის მონაპოვართა საფუძველზე.

განკუთვნილია პარტიული აქტივისათვის, პოლიტიკური განათლების სისტემის მსმენელებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

Кешелава Варлам Варламович

СОЦИАЛИЗМ И ПОЛИТИЧЕСКАЯ КУЛЬТУРА

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1985

К $\frac{0302030000 - 342}{601\ (08) - 85}$ ბრძ. № 115 1985.

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.

წინასიტყვაობა

შესავალი ყოველთვის როდია საჭირო, მაგრამ ეს წიგნი ზოგიერთ წინასწარ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. ამის აუცილებლობას ის განაპირობებს, რომ პოლიტიკური კულტურის ცნებას მრავალი მნიშვნელობა აქვს. ფართო აზრით, სისტემა პოლიტიკური ურთიერთობების, ინსტიტუტების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე შეხედულებების, კონცეფციებისა და შეფასებებისა, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ამა თუ იმ საზოგადოების პოლიტიკურ რეალობას, არის სწორედ ის, რასაც პოლიტიკური კულტურა ჰქვია. ამავე დროს ამ ცნებას ძალიან ხშირად იყენებენ უფრო ვიწრო აზრით. როცა საჭიროა ხაზი გაესვას მასების პოლიტიკურ სიმწიფეს, ესე იგი, ჯერ ერთი, მათი პოლიტიკური შეგნებულობის, საკუთარი ძირეული ინტერესების გაგების დონეს, და, მეორეც, პრაქტიკულად — პოლიტიკურ მოქმედებას, არა ცალკეულ აქციებს, არამედ ქცევის წესს, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-კლასობრივი და საერთო-ეროვნული მიზნების მიღწევას.

ჩვენ აქ პოლიტიკურ კულტურას ვიხილავთ მეორე, უფრო ვიწრო გაგებით, არა მისი მთლიანობისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, არამედ უმთავრესად, ფუნქციონალური მიმართებით: ერთი მხრივ, როგორც პოლიტიკური რეალობის ასახვას და, მეორე მხრივ, როგორც ამ რეალობაზე ზემოქმედებისა და მისი გარდაქმნის მძლავრ იარაღს. მარქსის სიტყვები, რომ მასების დაუფლებული იდეა იქცევა მატერიალურ ძალად, პირველ რიგში, სწორედ პოლიტიკურ თეორიას გულისხმობს. ისტორიის გაკვეთილებისა და თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების გამოცდილების გათვალისწინებით ადვილად ვერწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სიმწი-

ფე პოლიტიკური კულტურისა, რომელიც ჩვენს მიერ არჩეული რაკურსით გვევლინება როგორც პოლიტიკური ცნობიერებისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობა.

აქ საჭიროა შევჩერდეთ ამ საკითხის ზოგადთეორიულ მხარეზე. ეს გამართლებულია იმით, რომ არამარტო მარქსიზმ-ლენინიზმის თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა შორისაა გავრცელებული აზრი, თითქოს მას (მარქსიზმ-ლენინიზმს) არა აქვს პოლიტიკის მთლიანი თეორია, ან, თუ აქვს, ის დაყვანილია ზედაპირულ შეხედულებაზე.

ისინი, ვინც ემხრობიან ამ დასკვნას, ჩვეულებრივ იმოწმებენ იმას, რომ არც კ. მარქსს, არც ფ. ენგელსს და ვ. ი. ლენინსაც კი არ დაუტოვებიათ სპეციალური ნაშრომი, რომელშიც გადმოცემული იყოს ამ მეცნიერების ძირითადი დებულებები და ისინი დალაგებული იყოს ისეთნაირად, რომ მიეცეს მათ (ამ ძირითად დებულებებს) კატეგორიათა მწყობრი სისტემის სახე. ამასთან, კრიტიკოსთა თანახმად, მთავარია პოლიტიკის საკითხებზე არა კაპიტალური ნაშრომის არარსებობა, არამედ ის, რომ არც მარქსს, არც ენგელსს, არც ლენინს ასეთი ნაშრომის შექმნაზე არასოდეს უფიქრიათ, რამდენადაც მათი ინტერესები სხვა სფეროზე, ან (ლენინის შემთხვევაში) სხვა სიბრტყეზე გადიოდნენ.

სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება ასე დაივიწყო ფუნდამენტური შრომები, რომლებიც ეძღვნება პოლიტიკის, როგორც ზოგად (თეორიულ), ისე კერძო (კონკრეტულ, ისტორიულ) საკითხებს. საკმარისია დავასახელოთ კ. მარქსის „ლუი ბონაპარტის თვრამეტი ბრიუმერი“, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და სხვა მრავალი ნაწარმოები; ფ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში“, „გლეხთა ომი გერმანიაში“; ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია“, „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში“, „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“ და მრავალი ასეთივე ბრწყინვალე ნაშრომი, რომლებშიც დამუშავებულია პოლიტიკის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებები. უფრო მეტიც, ისინი სრულ უფლებას იძლევიან ვილაპარაკოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პო-

ლიტიკურ ფილოსოფიაზე და განვსაზღვროთ ის როგორც პოლიტიკის ფილოსოფია.

მაგრამ კრიტიკოსებს ყველაფერი ეს არაფრად მიაჩნიათ. მათ დაუჩემებიათ, თითქოს, რომ კ. მარქსი მთელი თავისი სიცოცხლე დაკავებული იყო მხოლოდ ეკონომიკური თეორიის დამუშავებით. ფ. ენგელსი, იმასთან ერთად, რომ ეხმარებოდა თავის მეგობარს ამ საქმეში, თვითონ დამოუკიდებლად ეწეოდა ფილოსოფიური პრობლემების კვლევას. რაც შეეხება ვ. ი. ლენინს, მართალია, ის მთლიანად ჩართული იყო პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ ამ საკითხებს ის პრაქტიკულად უფრო წყვეტდა, ვიდრე თეორიულად.

ზოგი რამ ამ მსჯელობებში სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ ეს „ზოგი რამ" სიმართლის მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც საგანგებოდ გამოიყენება იმისათვის, რომ დამახინჯებულ იქნეს მთელი სიმართლე. სწორია, მაგალითად, რომ მარქსის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი ენერგიის უდიდესი ნაწილი მოხმარდა პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიის შექმნას. ამიტომაც მისი შენიშვნები პოლიტიკაზე გაფანტულია მრავალ შრომაში, სტატიაში, ოფიციალურ მიმართვებსა და კერძო მიმოწერაში. მიუხედავად ამისა, მარქსის მიერ რაიმე შემთხვევის გამო პოლიტიკაზე გამოთქმული აზრი, დასკვნა და შენიშვნა სრულებით არ წარმოადგენს შემთხვევითს, ან ერთმანეთის საწინააღმდეგოს, როგორადაც ამას ცდილობენ წარმოსაბრონ კრიტიკოსები, რომლებიც თვლიან ვითომდაც მარქსიზმს არ გააჩნია თავისი თვითმყოფადი პოლიტიკური თეორია. პირიქით, მარქსის გამონათქვამები მკაცრად თანამიმდევრული, არაეკლექტიკური და არაწინააღმდეგობრივია. ერთად აღებული ისინი წარმოდგენას იძლევიან სრულფასოვან პოლიტიკურ კონცეფციაზე, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო მეცნიერული სოციალიზმის თეორიის არსებობა.

ეს გამონათქვამები არაწინააღმდეგობრივია, რამდენადაც გამოდიან საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობის, საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის პირველადობისა და ზედნაშენისა და ზედნაშენური მოვლენების (მათ შორის პოლიტიკურის, კერძოდ: პოლიტიკური იდეებისა და მათი შესაბამისი დაწესებუ-

ლებებისა და ორგანიზაციების) წარმოებულობის მატერიალისტური დებულებიდან. მაგრამ ის, რომ პოლიტიკა, როგორც ზედნაშენის ელემენტი, განპირობებულია ბაზისით და შეესაბამება მას, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საერთოდ ზედნაშენი და კერძოდ პოლიტიკა, ვინაიდან განსაზღვრულია ბაზისით, მხოლოდ პასიურად ასახავდეს მას, რომ ის არ ასრულებდეს აქტიურ როლს და თავის მხრივ არ ზემოქმედებდეს ბაზისზე. ასე გამარტივებულად და ცალმხრივად ესმოდათ წარსულში ეკონომიზმის წარმომადგენლებს ბაზისისა და ზედნაშენის კავშირი. ამავე იდეას ავითარებენ თანამედროვე რევიზიონისტები. მაგრამ ეს დღეს, როგორც უწინ, შორს დგას მარქსიზმისაგან. ამ უკანასკნელის თანახმად ზედნაშენი და, პირველ ყოვლისა, პოლიტიკა აქტიურად ზემოქმედებს ბაზისზე, ხოლო გარკვეულ პირობებში გადამწყვეტ როლსაც კი თამაშობს.

საკმარისია აქ მაგალითისათვის მივუთითოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაზე. ცნობილია, რომ მისი გამარჯვება ბევრად განაპირობა პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიასთან ერთად მუშათა კლასის შეგნებულობის სიმწიფის მაღალმა დონემ და ღრმად რევოლუციურმა განწყობილებამ, რომლითაც მოცული იყო რუსეთის გლეხობის მრავალმილიონიანი მასა. ამავე დროს მუშათა კლასის პრივილეგირებული, არისტოკრატიული ნაწილის წვრილბურჟუაზიულმა გახრწნილობამ და ოპორტუნისტულმა შეგნებამ დასავლეთის რიგ ქვეყნებში, რომლებმაც თავიანთი კაპიტალისტური გახვითარებით შორს გაუსწრეს მეფის რუსეთს, საშუალება მისცა ამ ქვეყნების ბურჟუაზიას ადვილად გამკლავებოდა პოლიტიკურ კრიზისს და განემტკიცებინა თავისი გაბატონებული მდგომარეობა.

ცნობილია, თუ რამდენად მწვავედ იდგა რევოლუციამდელი რუსეთის კულტურული განვითარების დონის საკითხი, როდესაც ბოლშევიკებს უხდებოდათ მენშევიკებთან კამათი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის შესაძლებლობის შესახებ. მენშევიკები, ხოლო მათთან ერთად II ინტერნაციონალის მრავალი პარტია, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით, რომელიც ამ დროს ურყევი თეორიული ავტორი-

ტეტით სარგებლობდა, მიიჩნევდნენ, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი გადატრიალების განსახორციელებლად, რომ იგი იდგა ცივილიზებული და არაცივილიზებული ქვეყნების საზღვარზე და სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ არ მიეღწია კულტურის განვითარების იმ დონისათვის, საიდანაც მისი სოციალისტურად გარდაქმნის რეალური პერსპექტივა იშლება.

ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკები არასოდეს არ უარყოფდნენ, რომ რუსეთი თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მოწინავე ევროპულ ქვეყნებს, რომლებსაც კაპიტალიზმის სკოლა გავლილი ჰქონდათ. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად „ჩამორჩენილად“ მისი მიჩნევა არ შეიძლებოდა, მაგრამ მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მსგავსად მას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ბურჟუაზიულ ყაიდაზე „მოდერნიზაცია“, ამიტომ II ინტერნაციონალის ლიდერები, საერთაშორისო მენშევიზმის წარმომადგენლები, კატეგორიულად უარყოფდნენ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობას.

ვ. ი. ლენინმა წინასწარ განჭვრიტა, რომ სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი ახლებურად აყენებს საკითხს კულტურის, მისი ფუნქციებისა და სოციალური დანიშნულების შესახებ. პირდაპირი კავშირია კულტურული რევოლუციის ლენინურ თეორიასა და სოციალიზმის მისეულ გაგებას შორის, როგორც ისეთი საზოგადოების შესახებ, რომელიც მასების შეგნებული შემოქმედების შედეგია და თანაც უძლეველია მასების შეგნების მეოხებით. კულტურის აუთვისებლად ისინი ვერ დაუფლებიან რევოლუციის შედეგებს, ხოლო თვით რევოლუციას გამოეცლება თავისი ერთადერთი საფუძველი — მასების თვითმოქმედება, უფრო მეტიც, დაკარგავს ისტორიულ საზრისს, რადგან მისი მიზანია მშრომელთა ჭილიონების შემოქმედებისათვის სრული თავისუფლების მიცემა.

ამრიგად, კულტურული რევოლუცია განიხილება როგორც სოციალიზმის აშენების ერთ-ერთი პირობა. მის მიერ გადასაწყ-

ვეტი ამოცანების სპეციფიკის გამო, იგი ვერ ხორციელდება სწრაფად, ელვისებურად. „კულტურული ამოცანა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ვერ გადაწყდება ისე სწრაფად, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები... კრიზისის გამწვავების ხანაში პოლიტიკური გამარჯვების მოპოვება რამდენიმე კვირაში შეიძლება. ომში შეიძლება გაიმარჯვო რამდენიმე თვეში, ხოლო კულტურის დარგში გამარჯვება ასეთ ვადაში შეუძლებელია, თვით საქმის არსის გამო აქ საჭიროა უფრო გრძელი ვადა, და საჭიროა ამ უფრო გრძელ ვადას შეეგუო, გაითვალისწინო შენი მუშაობა, გამოიჩინო უდიდესი შეუპოვრობა, სიმტკიცე და სისტემატურობა“[1].

ლენინის სიტყვები ცხადყოფენ, რომ კულტურული შენებლობის ხანგრძლივი ხასიათი განაპირობებს განსაკუთრებულ ამოცანებს, აყენებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს ამ პროცესის ხელმძღვანელობის საქმეში. არ შეიძლება მისი თვითდინებით მიშვება, რადგან კულტურა არის იდეოლოგიურად ყველაზე აქტიური სფერო. ამიტომ, როგორც ლენინი მიგვითითებდა, აქ ყველაზე მეტად არის საჭირო შეუდრეკელობა და თანამიმდევრობა.

გარდა ამისა, სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბება ხასიათდება კიდევ ერთი ნიშნით, პირველ რიგში მისი აშკარად პოლიტიკური მიზანდასახულობით. აქედან პროლეტკულტის მომხრეებმა არასწორი დასკვნა გააკეთეს და ერთხმად გამოაცხადეს წინამავალი კულტურის ყველა ელემენტისაგან მისი დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა. ისინი იმ მოსაზრებაზე იდგნენ, რომ პროლეტარიატი საჭიროებს საკუთარ კულტურას, რომელიც არ შეიძლება იყოს დაკავშირებული ექსპლუატატორული კლასების კულტურასთან, არამედ მუშათა კლასის ისტორიული თავისებურებებისაგან გამომდინარე ხელახლა უნდა შეიქმნას ახალ პრინციპებზე.

„პროლეტარული კულტურის“ პრობლემა სრულიად სხვაგვარად ესახებოდა ლენინს. მას მრავალჯერ ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ საერთოდ არ ეთანხმებოდა პროლეტკულტელების თვალსაზრისს. როდესაც მარქსიზმზე ლაპარაკობდა, იგი

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 73.

აღნიშნავდა, მაგალითად, რომ ეს მოძღვრება არ დაშორებია კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების მთავარ გზას და არის ყოველივე იმ ფასეულის კრიტიკულად გადამუშავების შედეგი, რაც შექმნილა კაცობრიობის კულტურული განვითარების მსვლელობაში, უპირველეს ყოვლისა, XVIII ს. დასასრულისა XIX ს. დასაწყისის ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ყველაზე პროგრესულ იდეურ მიმდინარეობებში. ამასთან ერთად გავიხსენოთ კიდევ ერთი მაგალითი. ახალგაზრდობისადმი მიმართვისას ლენინი, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ მარქსიზმის სწავლა არ შეიძლება მხოლოდ ბროშურებითა და კომუნისტური ლოზუნგებით, მარქსისტი მხოლოდ ის შეიძლება გახდეს, ვინც მეხსიერება გაიმდიდრა იმ ცოდნით, რაც კაცობრიობის გენიას ცივილიზებული ისტორიის მანძილზე შეუქმნია. ერთი სიტყვით, ლენინისათვის სავსებით ნათელი და უდავოა აზრი მემკვიდრეობითობისა და მემკვიდრეობასთან კავშირის შესახებ.

ამასთან ერთად, მემკვიდრეობითობის აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სოციალისტური კულტურა მხოლოდ და მხოლოდ ძველი, ბურჟუაზიული კულტურის უბრალო გაგრძელებად მივიჩნიოთ, როგორც ამ უკანასკნელისათვის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, რაღაც მონაპოვრებისა და აღმოჩენების მექანიკური დამატების შედეგი. პროგრესი საერთოდ და განსაკუთრებით კულტურის პროგრესი არითმეტიკულ მოქმედებაზე არ დაიყვანება და მისი დონე მიღწევების შეკრების შედეგად მიღებული ჯამით არ განისაზღვრება. ეს მით უფრო ეხება სოციალისტური კულტურის შექმნის პროცესს.

საბოლოო ანგარიშით, კულტურული რევოლუციის მიზანი ის იყო, რომ მშრომელი ხალხის ფართო მასები თავად ჯამხდარიყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების ნამდვილი შემოქმედნი. ამ ამოცანის გადაწყვეტის პირველ პირობას მოსახლეობის მიერ წერა-კითხვის საყოველთაოდ შესწავლა შეადგენდა. მოკლე ისტორიული დროის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მიღწევები მოიპოვა მილიონობით მშრომელთა განათლების დარგში პარტიისა და საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრული, საგულდაგულო მუშაობის შედეგად.

შეუძლებელია ამ მუშაობის გადაჭარბებით შეფასება, მაგრამ კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკა ამით არ ამოიწურება. იგი მოიცავს აგრეთვე მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას, სწორედ იმ სფეროებს, რომლებიც მუდამ მიაჩნდათ კულტურის დარგებად.

პარტიის ხელმძღვანელი როლი კულტურის სფეროსადმი არ უნდა გამოხატულიყო ზედმეტ მეურვეობად ან კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითს პროცესში ჩარევად. ამასთან, არც მისი უყურადღებოდ დატოვება შეიძლებოდა. სულიერი საფუძველი ხომ სწორედ აქ ეყრებოდა სოციალისტურ კულტურას, მის ადამიანურ განზომილებას, რასაც უნდა უზრუნველეყო თითოეული ინდივიდის, საზოგადოების ყოველი წევრის თავისუფალი განვითარება. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ავტორთა აზრით, პარტიის ამოცანა კულტურის განვითარების იდეური წარმართვა იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის ხელმძღვანელობას უნდა უზრუნველეყო პოლიტიკური ორიენტაცია კულტურული მშენებლობისა, რომელიც მთელი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა.

კონკრეტულად რას ნიშნავს პოლიტიკური ორიენტაციის, გარკვეული იდეური მიმართულების შემუშავება? უწინარეს ყოვლისა, ეს გულისხმობს კულტურის წარმომადგენლების მიერ იმის შეგნებას, რომ ლიტერატურა, ხელოვნება, შემოქმედების ყველა სფერო სოციალურად განპირობებულია. რომ კლასობრივ საზოგადოებაში არ არსებობს არაკლასობრივი ან ზეკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს კავშირი შეხილბულია. თავად ბურჟუაზიაა დაინტერესებული, რომ ეს დამოკიდებულება რაც შეიძლება ღრმად იქნეს დაფარული. იგი ყოველმხრივ ხელს უწყობს ლიტერატურისა და ხელოვნების არაკლასობრიობის ილუზიის დამკვიდრებას, თვითონ ჰქმნის მითს, თითქოს კულტურა არ-ს ნაკრძალი ზონა, აბსოლუტურად თავისუფალი ყველა და ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან და სოციალური ფაქტორების ზეგავლენისაგან. ეს მითი მას საშუალებას აძლევს ათასი უხილავი ძაფების მეშვეობით მაგრად ეჭიროს ლიტერატურა

და ხელოვნება თავის სამსახურში. მათი მეოხებით დანერგოს საზოგადოებაში თავისი მთავარი ინტერესებისათვის ხელსაყრელი შეხედულებები და განწყობილება.

აბსოლუტური თავისუფლება, რომლითაც ასე ტრაბახობენ ბურჟუაზიული კულტურის მოღვაწეები, მოტყუებაა. „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შეხიბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან"[1].

ვ. ი. ლენინი, ამსილებს რა სიცრუეს შემოქმედების აბსოლუტური თავისუფლების შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ ფარისევლური პოზიციისაგან განსხვავებით, ხელოვნებასა და ლიტერატურას, რომლებიც პროლეტარიატს ემსახურებიან, არ უნდა ესირცხვილებოდეთ, რომ თავიანთ ბედს პროლეტარიატს უკავშირებენ და მის ინტერესებს გამოხატავენ.

კულტურის არაკლასობრიობისა და ზეკლასობრიობის ბურჟუაზიული წარმოდგენები, რომლებსაც კვებავს ილუზიები აბსოლუტური თავისუფლების, როგორც, თითქოს, ჰეშმარიტი ღირებულებების შექმნის ერთადერთი წყაროს შესახებ, ნიღბავს კულტურის რეალურ დამოკიდებულებას კაპიტალის სამყაროში გაბატონებულ სასტიკ წესებზე. სოციალისტური კულტურის კლასობრივი შინაარსის აშკარად აღიარება და კომუნიზმის მაღალი იდეალების ერთგულება ახალ თვისებრიობას ანიჭებს მას. ვ. ი. ლენინის სიტყვებით, სოციალისტური კულტურის თავისუფლება ემყარება არა ანგარებას, არამედ სოციალიზმის იდეების ერთგულებასა და მშრომელების შიმართ თანაგრძნობას. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს მის ფართო დემოკრატიზმსა და ჰუმანისტურ პათოსს. ამიტომ, ბუნებრივია, სოციალისტურ კულტურას არ სჭირდება დაფაროს თავისი კლასობრივი პოზიცია და მთავარი პოლიტიკური კოორდინატები, რომლებიც განსაზღვრავენ მის ორიენტაციას.

იმ სპეციფიკურ ნიშნებზე თუ ვილაპარაკებთ, რომლებსაც კულტურა იძენს ისტორიის ასპარეზზე პროლეტარიატის გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 10, გვ. 40.

მოსვლისთანავე, მაშინ აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მისი პოლიტიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნე პოლიტიკის საუკუნეა. მისი უდიდესი როლი თანამედროვე სამყაროში ცხადია. პოლიტიკა მსჭვალავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უჯრედს, მოიცავს ყველა ურთიერთობას. მიზეზი ის არის, რომ XX საუკუნე მასობრივ სოციალურ მოძრაობათა საუკუნეა. ჩვენი ეპოქა ძალზე დინამიკურია. მსგავსი არასოდეს არ მომხდარა უწინ. ხალხები აღსდგნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების ისტორიული შემოქმედებისათვის. მათი შეჩერება უკვე შეუძლებელია. ამით კი მსოფლიო დავალებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისაგან, რომლის ნაბათმა კონტინენტები გააღვიძა აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

სოციალიზმის წარმატება დიდად დამოკიდებულია მშრომელი ხალხის პოლიტიკური შეგნებულობისა და პოლიტიკური კულტურის ზრდაზე. უკანასკნელი გულისხმობს არა მარტო შეგნებას, არამედ მოქმედების უნარსაც, უშუალო პრაქტიკასა და საზოგადოების საქმეებში მონაწილეობას. ამიტომ ადამიანის პოლიტიკური კულტურის დონე არის მისი სოციალური სიმწიფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელიც. აქედან გამომდინარე, სკკპ პოლიტიკურ კულტურას კლასობრივი, პარტიული პოზიციის სინონიმად მიიჩნევს და თავის უპირველეს მოვალეობად თვლის პირობების შექმნას მისი დონის განუხრელად ამაღლებისათვის. სწორედ ამას დიდად უწყობს ხელს შემდგომი განვითარების პროცესი სოციალისტური დემოკრატიისა, რომელიც შეადგენს სოციალიზმის პოლიტიკური კულტურის ბირთვსა და მთლიანად საზოგადოების სრულყოფის მძლავრ ბერკეტს.

სწორედ ამ მოსაზრებებმა განსაზღვრეს წინამდებარე ნაშრომის ცენტრში პოლიტიკური კულტურის კონკრეტული საკითხების მოქცევა.

გადმოცემის ფორმას რაც შეეხება, აღვნიშნავთ — ხარკვე-

ვების არჩევანი იმით არის გამართლებული, რომ აქ განხილული საკითხების ნაწილი ადრეც გაგვიშუქებია სხვადასხვა კუთხით. ეს ფორმა შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრული დამოუკიდებლობა შევუნარჩუნოთ ცალკეულ ნარკვევს, რაც, ჩვენი აზრით, ხელს არ უშლის შრომის მთლიანობაში აღქმას. გარდა ამისა, უპირატესობა ნარკვევებს, უმთავრესად, იმიტომ მივეცით, რომ საშუალება ყოფილიყო ბევრ ისეთ საკითხს შევხებოდით, რომელთაგან თითოეული ცალკე გამოკვლევას იმსახურებს.

ნოვატორობისა და რეალიზმის გზით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა ახალ ნიშანსვეტად იქცევა პარტიის ისტორიაში. ყრილობა არ იქნება რიგითი მოვლენა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი მიიღებს პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას. სრული რწმენით შეიძლება ითქვას: ყრილობა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახდება პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მას დიდი საერთაშორისო რეზონანსი მიეცემა აგრეთვე თანამედროვე მსოფლიო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში.

ყრილობის მოახლოება ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. წინასაყრილობო პერიოდში განსაკუთრებით მიზანმიმართული გახდა და გააქტიურდა პარტიის იდეოლოგიური მუშაობა. ყრილობის იდეურ-პოლიტიკურ მომზადებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების აქტუალური პრობლემების განხილვას. აღძრული საკითხები ზუსტად ასახავენ საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას, ახლანდელი საქმის ვითარების დაწვრილებით და ობიექტურ შეფასებას. პარტია მიისწრაფის ისე განაწყოს თითოეული კომუნისტი, თითოეული საბჭოთა ადამიანი, რომ ჩვენი საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების სიახლისა და მასშტაბების შეგნებასთან ერთად მასებს დაეუფლოს ამ ამოცანების გადაწყვეტაში უშუალოდ მონაწილეობის დაუძლეველი სურვილი.

„პარტიის XXVII ყრილობისათვის მზადება, — გახაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — მშრომელთა მიერ ყრილობის დოკუმენტების პროექტების განხილვა, უდავოდ, გააძლიერებს საბჭოთა

ადამიანების აქტიურობას. პარტიული კომიტეტები მთელი გულისყურით უნდა მოეკიდონ იმას, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი საჯაროობა, როგორ მუშაობს მასებთან კავშირის ყველა არხი, რა ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივ აზრს, მოქალაქეთა კრიტიკულ შენიშვნებს, განცხადებებსა და წერილებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიიჩნევს მათ დიდ დასაყრდენად მუშაობაში, თავიანთი სახელმწიფოს საქმეებით საბჭოთა ადამიანების დაინტერესების ხილულ გამოვლინებად"[1].

1. სინამდვილის სწრაფვა აზრისაკენ

თავის მოღვაწეობაში პარტია ეყრდნობა ისტორიაში ხალხის მასების მზარდი შემოქმედებითი როლის კანონს, რომელიც კ. მარქსმა აღმოაჩინა და რეალური სოციალიზმის პრაქტიკამ უდავო გახადა. ახალი წყობილება მართლაც მილიონების შეგნებული შემოქმედების პროდუქტი, მათი თავდადებული შრომის შედეგია. ეს კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, როდესაც მომწიფდა სოციალიზმისათვის დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გადაყვანასთან დაკავშირებული უდიდესი თვისებრივი ცვლილებები.

ცხადია, ჩვენს ქვეყანაში აშენებული სოციალიზმის სრულყოფა, მისი ყოველი, უცხო ელემენტებისაგან თავისუფალი, „უჯრედის" ფუნქციონირება, რაც გულისხმობს სოციალისტური პრინციპებისა და ნორმების განუხრელად დაცვას, თავისთავად, ავტომატურად კი არ ხორციელდება, არამედ ითვალისწინებს ადამიანთა უდიდესი მასის მიზანსწრაფულ და უზადო მუშაობას ერთიანი გეგმის მიხედვით. სოციალიზმის სრულყოფისათვის, ესე იგი იმისათვის, რომ წინ ვიაროთ და ორიენტირად გვქონდეს მეცნიერული თეორიის შემუშავებული უმაღლესი წარმოდგენები სოციალიზმის შესახებ, ერთადერთი რეალური გარანტიაა ჩვენი საზოგადოების განვითარების გადაქ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1985 წლის 23 აპრილი. — თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1985, გვ. 26.

ცევა ასობით მილიონი საბჭოთა ადამიანის, თითოეული საბ-ჭოთა მოქალაქის ღვიძლ საქმედ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმსიშვნელო-ვანესი სტრატეგიული და ტაქტიკური დებულებანი განვითა-რებული სოციალიზმის თაობაზე მოიცავენ უახლოეს პერი-ოდსა და შორეულ პერსპექტივას. პარტიის ზოგადთეორიული პლატფორმისა და გენერალური პოლიტიკური ხაზის დახასია-თებასთან ერთად დღეს წინ არის წამოწეული მოთხოვნა — სათანადო დასკვნები გაკეთდეს და მათზე დაყრდნობით წარი-მართოს მთელი პრაქტიკული მუშაობა.

აშკარაა, აგრეთვე, რომ პრაქტიკის სფეროში თეორიული ფორმულების წარმატებით გადატანის წინაპირობა მათი ღრმად ათვისებაა. ამასთან, გვერდს ვერ ავუვლით ჩავარდნებ-სა და უხეშ შეცდომებს, რომლებიც წინათ დიდად აზიანებ-დნენ საქმეს. სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ თეორიას, რო-დესაც იგი გვთავაზობს ხალხისა და ქვეყნის წინაშე მდგარი ძირითადი საკითხების არაორდინარულ გადაწყვეტას, ხოლო დადგენილი წარმოდგენების მსხვრევა გვაიძულებს უკუვაგ-დოთ ჩვეული შტამპები და სტერეოტიპები.

პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია .ითვალისწინებს სა-კითხების დაზუსტებას სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის, აგრეთვე სტრატეგიული, ტაქტიკური მითითებების სა-თანადოდ შეცვლას. ამოცანის ერთი მხარეა — არ და-კნინდეს, არ გაუბრალოვდეს სოციალისტური იდეალი, მეორეა — არ მოვახდინოთ მიღწეული დონის იდეალიზაცია, გადაჭარბებით არ შევაფასოთ წარმატებები. ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს საქმიანობაში თანამიმდევრულად უნდა მივსდიოთ მეცნიერულ წარმოდგენებს საერთოდ სოციალი-ზმის შესახებ და ამავე დროს საღად შევაფასოთ სო-ციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი.

ამ მოთხოვნათა შესრულება (აზროვნების წარმართვა რეა-ლიზმისა და მკაცრი მეცნიერულობის გზით) პარტიის პროგრა-

მის ახალი რედაქციის შესაბამისად საზოგადოებრივი ცნობიერების ხელახალი ორიენტაციის ტოლფასია. ახალი იდეების განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ თავიდან აგვაცილებს განვითარებული სოციალიზმის თეორიის მცდარ გაგებას — თითქოს კომუნიზმზე გადასვლა მას გაურკვეველ მომავალში გადაჰქონდეს. ამგვარი მსჯელობის საბაბს არ იძლევა დებულება, რომ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა მთელ ისტორიულ ეპოქას შეადგენს, რომ სანამ უშუალოდ კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტას შევუდგებოდეთ, უნდა გავიაროთ განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი, რომელსაც უეჭველად ექნება და არ შეიძლება არ ჰქონდეს თავისი კონკრეტული საფეხურები, ამოცანების გადაწყვეტის თავისი ვადები.

სინამდვილეში არავითარი შეფერხება არ ემუქრება ჩვენი საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ. კომუნიზმი ხომ არ არის რაღაც საბოლოო მდგომარეობა, რაიმე აბსტრაქტული იდეალის მსგავსად რეალურ ისტორიულ მოძრაობაში რომ არ იყოს ჩართული. იგი, კ. მარქსის სიტყვებით, „ნამდვილი მოძრაობაა". ამიტომ მისკენ, კომუნიზმისკენ, არ არსებობს სხვა გზა, გარდა სოციალიზმის სრულყოფისა. ის ამ პროცესის გაგრძელებაა.

კომუნისტური პერსპექტივის საკითხთან დაკავშირებით, იმის თაობაზე — ხომ არ დაგვაშორებს მას განვითარებული სოციალიზმის ეტაპის ხანგრძლივობის, მისი დიდხანს და ყოველმხრივ სრულყოფის აღიარება — უნდა ითქვას, რომ უსაფუძვლო ოპტიმიზმს, ფაქტების არაფრად ჩაგდებას ჯერ არასდროს და არსად არ მოუახლოებია წარმატება, არ დაუჩქარებია ისტორიის მსვლელობა. პირიქით, ხშირად შეუნელებია და უკან გადუწევია ობიექტური გარდაუვალობა.

პარტიამ შეიმუშავა განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია. მისი დამსახურება ის არის, რომ მაგალითს გვაძლევს, თუ როგორ უნდა გავაანალიზოთ ნამდვილი ვითარება ყოველგვარი უტოპიზმისა და არსებულის იდეალიზაციის გარეშე, ჯეროვნად შევაფასოთ მიღწევები, მაგრამ მხედველობიდან

არ გამოგვრჩეს იმ ამოცანების სირთულე, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ჩვენი წინსვლა.

ამ მიმართებით პრინციპული მნიშვნელობა აქვს სიმწიფის მოცემულ ეტაპზე სოციალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა ანალიზს. აქ, კერძოდ, პარტია პირდაპირ მიუთითებს, რომ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების რეალობა წარმოადგენს სოციალისტური აღმშენებლობის როგორც თვალსაჩინო, ჭეშმარიტად ისტორიული წარმატებების, მტკიცედ დამკვიდრებული ზოგადკომუნისტური საწყისების, ისე დღევანდელობის გადაუწყვეტელი ამოცანების და წინა ეტაპიდან მემკვიდრეობით შემორჩენილი ისეთი წინააღმდეგობრივი პრობლემების შეხამებას, რომლებიც პრინციპულად შეიძლებოდა გადაჭრილიყო ადრევე.

ჩვენი წინსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დავძლევთ ამ წინააღმდეგობებს, როგორ მივუდგებით მათ. მიუხედავად იმისა, რომ უკონფლიქტობის იდეა წარსულშიც არ იყო დიდ პატივში, ხოლო სინამდვილის შემლამაზებლებს გმობდნენ, — ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ კრიტიკის იარაღის მომარჯვების მოწოდება უმეტესად კეთილ სურვილად რჩებოდა. ახლა ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. ვერავინ (მით უფრო ფილოსოფოსები) ვერ გამოთქვამს უკმაყოფილებას აღნიშნული დებულების აბსტრაქტულობის გამო. სკკპ მთელს ძალისხმევას განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფას მიმართავს, ყურადღებას ამახვილებს ჩვენს საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებზე, მიუთითებს მათს გენეტიკურ თავისებურებებზე, მათი გადაწყვეტის შესაძლებელ მეთოდებზე და ა. შ. ამით იქმნება თეორიული აზრის შემოქმედებითი განვითარების ხელშემწყობი ატმოსფერო.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და სოციალიზმის სხვა ანტიპოდური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც უკვე ათ წელიწადზე მეტია შეუნელებლად აწარმოებს საქართველოს კომპარტია, მთელი სიმწვავით აყენებს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერი ფილოსოფოსების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგებისა და სხვ. საზოგადოებათმცოდნეების

წინაშე საკითხს, რომ აუცილებელია დამუშავდეს წინააღმდეგობების, არაანტაგონისტური წინააღმდეგობების დაძლევის გზების, ძველისა და ახლის ბრძოლის, სტიქიურობისა და შეგნებულობის თანაფარდობის პრობლემები. მაგრამ ჯერ ისევ იგრძნობა ასეთი ნაშრომების ნაკლებობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ მიუთითა, რომ ისეთი გამოკვლევების არარსებობა, სადაც ახსნილ იქნებოდა ნეგატიურ მოვლენათა გამძლეობის მიზეზები, უარყოფითად მოქმედებს ჩატარებული მუშაობის შედეგიანობაზე და გარკვეულად ამცირებს მათს ეფექტიანობას.

სკკპ ეყრდნობა მატერიალისტურ დიალექტიკას და მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას. ითვალისწინებს ჩვენი და სხვა მოძმე პარტიების მიერ დაგროვილ ახალი საზოგადოების მშენებლობის გამოცდილებას და განვითარებული სოციალიზმის კონცეფციით გამოხატავს კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის განსაკუთრებულ, უცილობელ ეტაპს. ამ ეტაპზე, რომლის გარდაუვალობაც ზოგად კანონზომიერებად არის მიჩნეული, უკვე აშენებული სოციალიზმის შემდგომი წინსვლა გააზრებულია საზოგადოების ორგანული მოლიანობის ყოველმხრივი სრულყოფის სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური სისტემის განმტკიცება სოციალისტური საკუთრების ორი — სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმის დაახლოების გზით არა მარტო ცვლის საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურას, მის პოლიტიკურ სისტემას, არამედ თავადაც განიცდის სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ქმნადობის, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების პრინციპების შემდგომი გაღრმავების პროცესების უკუგავლენას. დიალექტიკური ურთიერთზემოქმედების შედეგად საზოგადოებრივი ცხოვრების სამი ძირითადი სფერო — ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცოცხალ, დინამიკურად განვითარებად მთლიანობას ქმნიან.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემუშავების მიზანი იყო აგრეთვე უკუგდება ზოგიერთი ზედაპირული წარმოდგენისა კომუნიზმის პირველი ფაზის შესახებ, რომლის თანასწორ თიოქოს უკვე

მივაღწიეთ სიმწიფეს და შესაძლებელია უშუალოდ გადასვლა მის მეორე, უმაღლეს ფაზაზე. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საუკეთესო ტრადიციებისამებრ პარტია სინამდვილისადმი რეალისტური დამოკიდებულებისა და თეორიისადმი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითს გვაძლევს. იგი გვაფოთხილებს — არ დავუშვათ უტოპიზმი, აჩქარება, მომავლის მოახლოების გადაჭარბებული სურვილი, რასაც თან მოჰყვება სოციალური განვითარების რთული და გრძელი გზის „გასწორება“ და „შემოკლება“.

პარტია მიგვითითებს, რომ ჩვენი ქვეყნის გადასვლა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვარია, ამჟამად ამ მთელი ისტორიული ეპოქის დასაწყისში ვიმყოფებით. ამ ეპოქას, ისევე როგორც საზოგადოებრივი განვითარების ყოველ დიდ ეტაპს, ზრდის საფეხურები ექნება. ერთი სიტყვით, საქმე ის კი არ არის, რომ, ასე ვთქვათ, „ვიდღესასწაულოთ“ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე გადასვლა და განცხრომას მივეცეთ. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ იმ მოთხოვნათა ხასიათი, რომლებსაც ახალი პირობები გვიყენებენ, დავაზუსტოთ კონკრეტული მიზნები. ეს მიზნები უნდა ეთანხმებოდეს მიღწეულ საფეხურს და, უპირველეს ყოვლისა, გაახგარიშებული უნდა იყოს ხილულ პერსპექტივაზე.

რეალიზმი შეუთავსებელია როგორც არსებული შესაძლებლობებისა და ძალების გადაჭარბებით შეფასებასთან, ისე მათს დაკნინებასთან. თუ პირველს თან სდევს სინამდვილისაგან მოწყვეტა და უსაფუძვლო პროექტიორობა, მეორე უკან გვწევს ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთ ადგილას გვატკეპნინებს. სკკპ XXVI ყრილობისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ პარტიისა და ხალხის მიერ გაწეულმა უდიდესმა შემოქმედებითმა შრომამ ჩვენს ქვეყანას საშუალება მისცა გასულიყო ისეთ მიჯნებზე, სადაც საზოგადოების ყველა სფეროში ღრმა შინაგანი ცვლილებების გარდაუვალი საჭიროება დროის მოთხოვნად იქცევა.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ეკონომიკას, სადაც პარტია თავის ძალისხმევას წარმართავს შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევისაკენ. ამ პროგრამული

მნიშვნელობის ამოცანას თავისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განზომილებები მოეპოვება. შრომის ნაყოფიერების უმაღლესი დონის უზრუნველყოფის უღრმესი პოლიტიკური აზრი ის არის, რომ მხოლოდ მას შეუძლია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს სოციალიზმზე მეცნიერულ წარმოდგენებთან, ზოგიერთი სათანადოდ ვერ ერკვევა მეცნიერული სოციალიზმის თეორიაში და ჯეროვნად ვერ აფასებს ამ პრობლემას, ავიწყდება, რომ ისტორიის მატერიალისტური ინტერპრეტაციის თანახმად, უმაღლესი შრომის ნაყოფიერება, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარია“ ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საბოლოო გამარჯვებისათვის.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება და მთავარი ყურადღება ეთმობა დასახელებული პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტას. ამისათვის არსებობს ერთი გზა — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მართვის სისტემისა და მეურნეობრიობის მეთოდების გაუმჯობესების საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიფიკაცია.

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ ორიენტირს — უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მიღწევას — სოციალური მნიშვნელობაც აქვს. ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონე ხომ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკის სრულყოფის გზით დამკვიდრდება. მხოლოდ ამ გზით განხორციელდება სოციალიზმის მიერ გარანტირებული სოციალური სამართლიანობა. დასასრულ, მსოფლიო პირველობის მოპოვება შრომის ნაყოფიერების სფეროში, რაც არ უნდა დიდი იყოს, ჯერჯერობით, განსხვავება ამ მხრივ საბჭოთა კავშირსა და მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, პრინციპული ამოცანაა წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამასთან, იგი ვერ გადაწყდება ვიწრო მეურნეობრივი მეთოდებით, ვინაიდან მოითხოვს ფართო პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიდგომას. მთავარი ის არის, რომ საწარმოო ძალთა გარდაქმნა და ეფექტიანი გამოყენება გულისხმობს წარმოებით ურთი-

ერთობათა მთელი კომპლექსის, მათ შორის მოცემულ ეტაპზე განაწილებითი ურთიერთობების შემდგომ სრულყოფას.

თეზისს განვითარებული სოციალიზმის ფარგლებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და სოციალური რევოლუციის მჭიდროდ დაკავშირების შესახებ განსაკუთრებით დიდი ზოგადმეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. პრაქტიკის ასპექტით იგი გამოხატავს წარმოებით ურთიერთობათა მთელი სისტემის, უპირველეს ყოვლისა კი საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმების შემდგომი სრულყოფის მოთხოვნას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მისი მიღწევების გამოყენება, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, ქვეყნის სახალხო მეურნეობის შეიარაღება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით უპირატესად ეკონომიკურ გადაწყვეტას ემყარება. უდავოა, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრებზე, მათს პროფესიულ ცოდნასა და მაღალ კომპეტენტურობაზე. ისიც ცხადია, რომ ყოველივე ეს არ არის საკმარისი. საინჟინრო გადაწყვეტათა ცხოველმყოფელობა და ეფექტიანობა ეკონომიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ ბედსაც, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ფაქტორები გადაწყვეტენ.

ამოცანა ის არის, რომ ეს „მოსაზრებები" კერძო, წუთიერი, ეიწრო — უწყებრივი ინტერესებით კი არ უნდა ასახავდეს საზოგადოებრივ, უფრო ზუსტად, სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს. მათი ზუსტად გათვალისწინება საზოგადოებრივი განვითარების დაგეგმვისას თავიდან აგვაცილებს მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს და უქმ აჩქარებას, ერთი სიტყვით, ვოლუნტარიზმს, რომელმაც მცირე ზიანი როდი მიაყენა წარსულში ჩვენს განვითარებას. მეორე მხრივ, ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა გათვალისწინება საშუალებას იძლევა უფრო სრულად გამომჟღავნდეს სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობები და განისაზღვროს მისი ფუნქციონირების ოპტიმალური რეჟიმი.

მეცნიერების, პირველ რიგში, ეკონომიკური მეცნიერების

წინაშე ახალ ამოცანებს სახავს ყველაზე მოწინავე, განვითარებული სოციალიზმის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიფიკაცია და სხვა ვარემოებანი, გადაუდებელ აუცილებლობად იქცა სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის კომპლექსური შესწავლა, მისი კანონების უფრო ღრმად შემეცნება. ისეთი რეკომენდაციების შემუშავება, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება წარმოების განვითარების თანამედროვე დონე, მომხმარებელთა მოთხოვნები და ინტერესები.

პარტია მუდამ ხაზგასმით მიგვითითებს, რომ დაუშვებელია სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვა მისი ბუნებისათვის უცხო ხერხებით, არაეკონომიკური საშუალებებითა და მეთოდებით. ამასთან ერთად პარტია თანამიმდევრულად იღებს, რათა ყოველმხრივ განმტკიცდეს გეგმური საწყისები, გამოყენებულ იქნეს სამეურნეოანგარიშიანი მეთოდები, ფასი, მოგება და სხვა კატეგორიები. ეკონომიკის მართვაში მეურნეობისათვის უცხო მეთოდების თავიდან აცილების კურსი, ბუნებრივია, კადრების წინაშე სვამს ამოცანას — დაეუფლოს მეურნეობრიობის ბერკეტებს, შეითვისონ ეკონომიკური აზროვნების თანამედროვე ტიპის ნიშან-თვისებები.

დღეს ყველა აღიარებს ეკონომიკური მეცნიერების როლის ზრდას. მის საჭიროებას უპირველესად ის კი არ განაპირობებს, რომ ვოლუნტარიზმს უნდა დაუპირისპირდეს და თავიდან აგვაცდინოს შეცდომები. თვით სოციალიზმის ბუნებას ახასიათებს ორიენტაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეცნიერულ ხელმძღვანელობაზე. ახალი საზოგადოების შედარებისას ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან კ. მარქსი ამ უკანასკნელის ანარქიას პირველის განვითარების გეგმაზომიერებას უპირისპირებს. მისი სიტყვებით, „თავისუფალ მწარმოებელთა ასოციაცია“ კონტროლს უნდა უწევდეს მთელ საზოგადოებრივ წარმოებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 50-იან წლებში გარკვევით ითქვა ეკონომიკური მეცნიერების, მისი შემეცნებით ანალიტიკური და პროგნოსტიკული ფუნქციების, ხელმძღვანელი კადრების უფრო სერიოზული ეკონომიკური მომზადებისა და ეკონომიკური აზროვნების საერთო კულტურის

ამალლების შესახებ. საკითხი ეხებოდა იმას, რომ სოციალიზმის დამკვიდრების, მისი ეკონომიკური საფუძვლების გახმტკიცების კვალდაკვალ ობიექტური ეკონომიკური კანონების ცოდნის მოთხოვნილება კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება. მომდევნო წლებმა სავსებით დაადასტურეს ამ დებულების მართებულობა.

სკკპ XXVI ყრილობაზე განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა ეკონომიკურ გამოკვლევათა აქტუალურობის გაზრდის აუცილებლობა ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე მუდამ იდგა ეს საკითხი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მუშაობა. პარტია მიიჩნევს, რომ ეკონომიკური მეცნიერების მეშვეობით უნდა გამოვიყენოთ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკაში არსებული კოლოსალური შემოქმედებითი ძალები.

გარდატეხა საზოგადოებრივ ცნობიერებაში სრულიადაც არ ამოიწურება ეკონომიკური აზროვნების ახალი ტიპის ჩამოყალიბებით. ეს პროცესი არ უნდა გავიგოთ მეტისმეტად ცალმხრივად, იგი არ უნდა დავიყვანოთ ეკონომიკური კატეგორიებით ოპერირების ჩვევის შეძენაზე. მეურნეობრიობის დრომოჭმული ფორმებისა და მეთოდების ინერციის დაძლევა შესაძლებელია რეალური დადებითი ძვრების შედეგად. მათ მარტო ეკონომისტები კი არ უნდა იკვლევდნენ, ხაკლები სამოქმედო ასპარეზი როდი აქვთ ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებსა და სხვა საზოგადოებათმცოდნეებს. გარდატეხა საზოგადოებრივ ცნობიერებაში მაშინ არის რეალური, თუ ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან, საზოგადოებრივი სიმდიდრის დამტაცებლებთან, მექრთამეებთან, სპეკულანტებთან და სხვ. პრაქტიკულად შედეგიანია მასების აქტიური მხარდაჭერის მეოხებით. ამასვე უნდა მოწმობდეს აგრეთვე შრომითი კოლექტივების ატმოსფერო, ის, თუ რამდენად დამკვიდრდა ჩვენი ყოფიერების ნორმად, რამდენად იქცა ჩვეად დებულება: „იმისათვის, რომ უკეთ ვიცხოვროთ, უკეთ უნდა ვიმუშაოთ“. არსებითად ეს გულისხმობს სოციალიზმის ძირითად პრინციპს: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“, რომლის დაცვა საზოგადოების

ზნეობრივ სიწმინდესა და ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეს განაპირობებს. ამ პრინციპის დარღვევა შეურაცხყოფს სამართლიანობის გრძნობას, მას გმობს ხალხი. ამოცანა ის არის, რომ დაგმობა არ უნდა იყოს პასიური, უნდა ჩამოყალიბდეს აქტიური საზოგადოებრივი აზრი.

პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ არ დაირღვეს პრინციპი „თითოეულს — შრომის მიხედვით", რაც თავისთავად სოციალური სამართლიანობის ურყევი მოთხოვნაა. პრობლემა უფრო მეტად ეხება უკეთ მუშაობის პირობების შექმნას. სწორედ ამას გულისხმობს დებულება: „იმისათვის, რომ უკეთ ვიცხოვროთ, უკეთ უნდა ვიმუშაოთ". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ შრომითს კოლექტივებში ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ გამოუყენებელი რეზერვები, აღვძრათ ინიციატივა, გამოვნახოთ და გამოვცადოთ შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები, რომლებიც მეტ ეფექტს, მეტ უკუგებას მოგვცემს და ა. შ. ამრიგად, ლაპარაკია იმაზე, რომ შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყენებული და მარჯვედ მოხმარებისას წარმოების განვითარების მძლავრ იარაღად გადაიქცევა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პრინციპი მხოლოდ მატერიალურ სტიმულირებაზე არ დაიყვანება. იგი მორალურ სტიმულებსაც შეიცავს. ამასთან, ეს უკანასკნელნი არ არსებობენ თავისთავად, მატერიალურისაგან განცალკევებით, ხელფასისა და მისი ფულადი გამოხატულების გვერდით. ერთმანეთისაგან მათი ასეთი მოწყვეტა აშკარა შეცდომაა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში შრომას ზნეობრივი შინაარსი ეცლება.

კ. მარქსი გვასწავლის, რომ ადამიანის არსება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა. პიროვნება მთლიანად და სავსებით სოციალურ-ისტორიული კატეგორიაა. მისი სულიერი სამყაროს სიმდიდრეა, რომელშიც ჩართულია იგი. ამიტომაც დაუშვებელია შრომითს კოლექტივში შექმნილი ცხოვრების წესის უდიდესი ზნეობრივი ეფექტისა და ზეგავლენის სათანადოდ შეუფასებლობა. კოლექტივის თითოეული წევრის სახეს ბევრად განსაზღვრავს ის გარემოება, თუ როგორ არის

დაყენებული მუშაობა, ხდება ინიციატივის, თავისნობის წახალისება თუ გამთანაბრებლობა სუფევს, როგორ ექცევიან ყოველი ცხოვრების მოყვარულთ, ერთი სიტყვით, მოწესრიგებულია თუ არა შრომისა და მოხმარების კონტროლი. ყოველივე ეს აყალიბებს მშრომელის პოზიციას — იგი ან გრძნობს პერსონალურ პასუხისმგებლობას საერთო საქმის გამო ან გულგრილია, ვინაიდან „ჩვენი“ მისთვის ჯერაც არ ქცეულა „ჩემად“, „ღვიძლ საქმედ“.

სოციალისტური ცხოვრების წესის ანტიპოდებთან ბრძოლა კომუნისტური მორალის ნორმების საყოველთაოდ დაჩქარება, მათი გადაქცევა სავალდებულო, ურყევ პრინციპებად მოითხოვს თითოეული მუშაკის შრომითი წვლილის აღრიცხვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას, შრომის ნორმირების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ინიციატივას, წარმოაჩენს პიროვნებას და მის ინტერესებს, სტიმულს მისცემს მას იმუშაოს შემოქმედებითად, უდიდესი უკუგებით. ამ მხრივ დიდი, მეტად საგულისხმო გამოცდილება აქვს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას.

ჩვენს რესპუბლიკაში კერძომესაკუთრული, მომხმარებლური ფსიქოლოგიის და მეშჩანური მორალის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას, რომელსაც ათ წელზე მეტი ხნის წინათ სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, აქვს კონსტრუქციული მიზანი — საბჭოთა ცხოვრების წესის ნორმათა განმტკიცება. იგი ღრმა ჰუმანისტური აზრით არის გამსჭვალული, რადგან, საბოლოო ანგარიშით, ადამიანისათვის ბრძოლაა. მისი ძირითადი ამოცანაა საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი ამაღლება. იგი სხვა ამოცანებთან, ერთად ახლა ჩვენი საზოგადოების სრულყოფის მრავალმხრივ პროგრამას შეადგენს. ჯერ კიდევ მისი დასაწყისას მიჩნეულ იქნა, რომ სოციალური პროგრესი თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წარმოაჩენს პიროვნების ყოველმხრივ განვითარების, ახალი ადამიანის ფორმირების საკითხს.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის კურსი ითვა-

ლისწინებს ჩვენი საზოგადოების მთავარი უპირატესობის რეალიზაციას, რაც, კ. მარქსის თქმით, სოციალისტური წარმოების უმაღლესი მიზანია. მასში იგულისხმება ადამიანი. ისეთი პირობების დამკვიდრება, რომლებიც სჭირდებათ საბჭოთა ადამიანებს, რათა თითოეულ მათგანს შეეძლოს გამოავლინოს თავისი მონაცემები, გახდეს მთლიანი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება. ყველაფერი კეთდება მშრომელების კულტურული დონის, პოლიტიკური შეგნებულობის, სოციალური აქტიურობის ამაღლებისათვის.

2. აზრის სწრაფვა სინამდვილისაკენ

ლენინური პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო მუდამ იყო იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მშრომელებში სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბება, მაღალი ზნეობისა და კომუნისტური იდეალებისადმი უანგარო თავდადების სულისკვეთებით მათი აღზრდა. ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ეს საკითხი მთელი პარტიის ყურადღების ცენტრშია.

რაგინდ დიდმნიშვნელოვანიც უნდა იყოს საკითხები, რომლებზეც მუშაობენ, ყველა საფეხურის პარტიულმა კომიტეტებმა, ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეიგნოს, რომ იდეოლოგიური საკითხები სულ უფრო მეტად დგება წინა პლანზე. პარტია პრიორიტეტს ანიჭებს იდეოლოგიურ მუშაობას და მიიჩნევს მთავარ რგოლად, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარმატება.

საქმე ეხება არა იდეოლოგიური მუშაობის თვითმიზნურ ხასიათს, არამედ იმას, რომ მისმა თვისებრივმა გაუმჯობესებამ უზრუნველყოს ყველა სხვა დარგის წარმატებები. ამიტომ იდეოლოგიური, აღმზრდელობითი და პოლიტიკურ-მასობრივ ღონისძიებათა ეფექტიანობა სრულად და ზუსტად შეიძლება შეფასდეს სახალხო მეურნეობაში მდგომარეობის მიხედვით, ვინაიდან ეკონომიკის მიღწევები ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის საბოლოო შედეგიცაა.

იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუ-

ალური ამოცანების განხილვას მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმი. თავისთავად ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო. ამ ფაქტს სერიოზული მიზეზები ჰქონდა.

საქმე ის არის, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სოციალისტურ მშენებლობაში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა (ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, რომ არაფერი ვთქვათ მოძმე ქვეყნებზე) ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ დარგებში, კლასობრივ და ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში და ა. შ., რომ აუცილებელი გახდა მათი გათვალისწინება გენერალური პოლიტიკური ხაზის განსაზღვრისა და იმ სახელმძღვანელო დებულებათა შემუშავებისას, რომლებიც პარტიის მუშაობის გრძელვადიან ორიენტირებს წარმოადგენენ.

ავიღოთ ეკონომიკის დარგი. აქ ინტენსიურად მიმდინარეობს სოციალისტური საკუთრების ორი ძირითადი ფორმის — სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების დაახლოება. თავის მხრივ ეს ასტიმულირებს როგორც ქალაქსა და სოფელს, ასევე გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევას, სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებას. არც ისე შორეულ წარსულში ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის გავლენით ზოგიერთი მოღვაწე თეორეტიკოსი ზედმეტად აჩქარებდა მოვლენებს: მიღწეულს მიიჩნევდა როგორც საკმაო წანამძღვარებს კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში ჩვენი ქვეყნის ფორსირებული გადასვლის განსახორციელებლად. პარტიამ დაგმო ასეთი ზედაპირული თვალსაზრისი, კომუნიზმზე გადასვლის პირობებისა და ვადების ასეთი გაიოლება.

განვითარებული სოციალიზმის თეორიის თანახმად, რომელიც საფუძვლად უდევს სკკპ საქმიანობას, ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა და სოციალური ერთგვაროვნებისაკენ წინსვლა, ხალხის ხელისუფლების გაფართოება და გაღრმავება, მთლიანად იდეოლოგიური ზედნაშენის განვითარება, ძირითადად განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ხორციელდება. ამჟამად მოქმედი პარტიის პროგრამა, როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე,

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ სწორად მიუთითებს წინსვლის გზებს, არსებითი კორექტივების შეტანას საჭიროებს, ვინაიდან მასში დასახული ამოცანების ნაწილი უკვე შესრულებულია, ხოლო ნაწილი უნდა დაზუსტდეს დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.

საქმე ის არის, რომ პარტიის არსებული პროგრამის პრინციპული დებულებები ცხოვრებამ დაადასტურა, მაგრამ, ამასთანავე, მასში არის აგრეთვე დებულებები, რომლებმაც ზოგიერთი მხრივ ვერ გაუძლო დროის გამოცდას, ვინაიდან რეალობას მოწყვეტის, მოვლენათა გასწრების, გაუმართლებელი დეტალიზაციის ელემენტებს შეიცავდნენ. პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია იქნება სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფისა და მაშასადამე, კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის პროგრამა, არსებული ვითარების რეალისტური ანალიზის საფუძველზე მან უნდა ჩამოაყალიბოს კომუნისტური პარტიის მიზნები.

ისტორიული მიჯნა, რომელთანაც მივიდა ჩვენი ქვეყანა, პარტიამ განსაზღვრა, როგორც განვითარებული სოციალიზმის ეტაპი, ამ ეტაპზე შექმნილია შესაბამისი ეკონომიკური ბაზისი, სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა და მთელი ძალით მეღავნდება ახალი ცივილიზაციის კოლექტიური საწყისები. გიგანტური სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის მოთხოვნები, იმ საზოგადოებრივი წარმოების პროცესთა მიზანდასახული კონტროლისა და რეგულირების აუცილებლობა, რომლის მასშტაბი განუზომლად გაიზარდა, დიდ ასპარეზს უქმნის სუბიექტური ფაქტორის მოქმედებას.

ვ. ი. ლენინის თქმით, სოციალიზმი ძლიერია მასების შეგნებულობით. მისი განვითარება და განმტკიცება ამაღლებს მასების შეგნებას და, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის დონეზეა დამოკიდებული. ასეთია, საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკა. ზედნაშენის აქტიური ზემოქმედება ეკონომიკურ ბაზისზე უპირატეს მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს განვითარების თანამედროვე საფეხურზე სოციალიზმი იდეალური საზოგადოებაა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი წინააღმდეგობი-

საგან. სინამდვილეში სოციალიზმისათვის დამახასიათებელია საკუთარი წინააღმდეგობები და ნაკლოვანებები, რომელთა კვალიფიცირება არ შეიძლება მხოლოდ „წარსულის გადმონაშთებით“, შეგნების ჩამორჩენით ან ცუდი ტრადიციის ძალით. მათი ფესვები ჩვენს დღევანდელ პრაქტიკაშია და, გარკვეული აზრით, ბუნებრივია განვითარების თანამედროვე დონისათვის. ამიტომ დაუშვებელია დღევანდელობის აბსოლუტიზაცია. პარტია გვაფრთხილებს, არ დავუშვათ შეცდომა, ჭეშმარიტებად არ მივიჩნიოთ დასკვნა, თითქოს სოციალიზმმა ჩვენში თავისი პოტენციალი სრულად გამოამჟღავნა. სინამდვილეში განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპის დასაწყისში ვიმყოფებით. ამის გამო პარტიის სტრატეგიული ამოცანაა მისი ყოველმხრივი სრულყოფა.

ეს ამოცანა, რომელიც კომუნისტთა თანამედროვე თაობის წინაშე დგას, არანაკლებ რთული და საპატიოა, ვიდრე ის, რომელსაც საბჭოთა კომუნისტების პირველი თაობები — ბოლშევიკები წყვეტდნენ. იგი აგრეთვე არანაკლებ შრომატევადია, თუმცა სიძნელეების ხასიათის მიხედვით განსხვავებულია. უფროსმა თაობამ საფუძველი ჩაუყარა და ააგო სოციალიზმის საზოგადოებრივი შენობა, ხოლო ახლანდელი თაობა, შეიძლება ითქვას, დაკავებულია შიდა სამუშაოებით, საზოგადოებრივი კომფორტის შექმნითა და საბჭოთა ცხოვრების წესის განმტკიცებით, ერთი სიტყვით, სოციალიზმის სრულყოფით. აქ საჭიროა დიდი ოსტატობა, მაღალი პროფესიონალიზმი, საზოგადოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების კომპეტენტური მართვა, რაც ვერ ითმენს შაბლონს. ზერელე დამოკიდებულებას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიყვანოთ აქ ცნობილი და ბოლო წლებში მრავალჯერ გამეორებული განცხადება: ჩვენ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერაც სათანადოდ არ შეგვისწავლია საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ და ვშრომობთ, ბოლომდე არ გამოგვივლენია მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი. ამიტომ იძულებული ვართ ვიმოქმედოთ ხშირად ცდებისა და შეცდომების არარაციონალური ხერხით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა, განავითარა რა სკკპ XXVI ყრილობის იდეები, მწვავედ დასვა პრაქტიკის წინაშე სახოგადოებათმცოდნეობის მოვალეობის, კომუნისტური აშენებლობის საჭირბოროტო ამოცანებისაგან მოწყვეტის დაუშვებლობის და ჩვენი სინამდვილის კონკრეტულ პრობლემათა ჯეროვანი კვლევის აუცილებლობის საკითხი. დაუფარავად ითქვა, რომ სახოგადოებათმცოდნეებს შორის ბევრი სცოდავს სქოლასტიკური თეორეტიზებით: სინამდვილის ახალ მოვლენათა გააზრებას ცნობილ ჭეშმარიტებათა განმეორება ურჩევნიათ.

ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სოციალიზმი არის საზოგადოებრივი სისტემა, რომლის წარმოშობა და ფუნქციონირება განუყოფელად დაკავშირებულია მეცნიერებასთან. ეს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც მას წინამავალი ფორმაციებისაგან განასხვავებს, რაც მისი უპირატესობაა. რეალური სოციალიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა თანამიმდევრულ განხორციელებად გვევლინება.

ამ ფაქტის მნიშვნელობას განსაკუთრებული გააზრება სჭირდება. მეცნიერებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, თუ რაოდენ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრებათ სოციალისტური ცივილიზაციის დამკვიდრების საქმეში. ყველა წინახდელი ეკონომიკური ფორმაცია სტიქიურად იქმნებოდა, მათი ჩამოყალიბება ხდებოდა ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე. სულ სხვაგვარად ფორმირდება სოციალიზმი. ეს პირველი საზოგადოებაა, რომელიც აშენდა მეცნიერული კომუნიზმის მოძღვრების საფუძველზე. ჩვენ (და არა მხოლოდ ჩვენ, ჩვენი იდეური მტრებიც კი — ანტიკომუნისტები) რეალურ სოციალიზმს იმის მიხედვით ვაფასებთ, თუ რამდენად შეესატყვისება მაღალ წარმოდგენებს სოციალიზმზე, რომელიც მეცნიერულ თეორიაშია შემუშავებული.

თავის დროზე კ. მარქსი მიუთითებდა ძველი სამყაროს უგუნურებაზე და აღნიშნავდა, რომ აზრის ხორცშესასხმელად საკმარისი არ არის მისი მისწრაფება სინამდვილისაკენ; საჭიროა აგრეთვე სინამდვილეც ისწრაფოდეს აზრისაკენ. შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ სოციალიზმია ის სოციალური რეალობა, რომელიც თავის წარმოშობასა და დამკვიდრებას

რევოლუციურ აზრს უნდა უმადლოდეს. ამ საზოგადოების ბუნებისაგან მომდინარეობს მისი მიზანდასახული და გეგმაზომიერი განვითარების აუცილებლობა. სოციალიზმი არის მილიონობით მშრომელი მასების შეგნებული შემოქმედების შედეგი განსხვავებით ყველა ადრინდელი ეკონომიკური სისტემისაგან, რომლებიც ობიექტურ კანონთა გაუცნობიერებელი „თამაშის“ შედეგად ჩამოყალიბდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ორგანიზაციის განსაზღვრული ნიშნის დახასიათებისას ფ. ენგელსი წერდა: „ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი მოქმედების კანონები, რომლებიც მათ დღემდე უპირისპირდებოდა როგორც უცხო, მათ მიმართ გაბატონებული ბუნების კანონები, ამიერიდან საქმის სრული ცოდნით გამოყენებული და დამორჩილებული იქნება ადამიანების მიერ“[1].

სკკპ თავის მოღვაწეობაში რომ არ ემყარებოდეს საზოგადოების განვითარების კანონთა მეცნიერულ შემეცნებას, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სავსებით წარმოუდგენელი იქნებოდა გრანდიოზული წარმატებები ჩვენი ქვეყნისა, რომელმაც უმოკლეს დროში დაძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის უმძიმესი პირობების მიუხედავად, შეძლო შეექმნა მძლავრი ეკონომიკა და შესაბამისი ზედნაშენი.

მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება მეცნიერების როლი, კომპლექსური, სისტემური მიდგომის აუცილებლობა. სკკპ XXVI ყრილობამ ხაზგასმით მიუთითა, რომ 80-იან წლებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი პროგრესი, რაც დიდად არის დამოკიდებული მეცნიერების განვითარების ტემპზე.

ახალი საზოგადოების მშენებლობა მეცნიერების გარეშე შეუძლებელია. ეს იმ ფუნდამენტური ფაქტით არის განპირობებული, რომ განვითარებული სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ემყარება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს, რამაც მეცნიერება საზოგადო-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., სახელგამი, 1952 წ., გვ. 337—338.

ების უშუალო საწარმოო ძალად აქცია. სოციალიზმის, როგორც საზოგადოების უფრო პროგრესული ფორმის, მსოფლიო-ისტორიული ამოცანაა კაპიტალიზმზე უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების განვითარება. ეს კი განუყრელად უკავშირდება საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციას და ეფექტიანობის ზრდას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ნამდვილად ფართო, სრულ, ოპერატიულად დანერგვას სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ყველა სფეროში.

შეცდომა იქნებოდა ამის მიჩნევა წმინდა ტექნიკურ ამოცანად, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საინჟინრო გადაწყვეტით შემოიფარგლება. თუმცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის პროდუქტია და მათი სინთეზით განისაზღვრება, მაგრამ მის მიერ წარმოქმნილი პრობლემები შორს სცდება საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა პროგნოზატივების ფარგლებს, ისინი სულ სხვა ხასიათს და მასშტაბებს იძენენ.

აღებული კურსი, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვას, მართვის ფორმების სრულყოფას, მასების ინიციატივისა და შრომითი აქტიურობის განვითარებას, პარტიის პროგრამაში შეჯამდება მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური რევოლუციის შერწყმის იდეაში. სოციალიზმმა უნდა უზრუნველყოს ეს შერწყმა, ამით იგი, როგორც უფრო მოწინავე და პროგრესული წყობილება, საქმით დაამტკიცებს თავის უდავო უპირატესობას კაპიტალიზმზე.

ასეთი პოზიცია საშუალებას გვაძლევს გავიგოთ საზრისი საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული ცვლილებებისა და სხვა სოციალური შედეგებისა. ისინი პირდაპირ და გარდაუვალად მოჰყვებიან თან მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. მეცნიერების უახლეს აღმოჩენათა, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეთა წარმოებაში დანერგვის მექანიზმი თვითონ მოითხოვს, პირველ რიგში, ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებას, შრომის სტიმულირების სისტემის შემუშავებას და ა. შ. ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის შემთხვევით როდია დასახელებული მეცნიე-

რულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების. ჩვენი ქვეყნის საბალხო მეურნეობაში პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა-დაჩქარების შესწავლასთან დაკავშირებული ამოცანები. საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და შრომის ნაყოფიერების ზრდა დამოკიდებულია უშუალო მწარმოებელზე, მშრომელის კვალიფიკაციასა და ოსტატობაზე, იმ ეკონომიკურ პირობებზე, რომლებიც ან შემოქმედებითი, თავდაუზოგავი შრომის სტიმულს იძლევიან, ან ახშობენ, თრგუნავენ ინიციატივას.

ამასთან, მხოლოდ ეკონომიკური ასპექტით, მხოლოდ მატერიალური წარმოებისა და წარმოებითი ურთიერთობების სფეროთი, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოქმედება. იგი გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. ეს გარდაუვალია. კ. მარქსის მიერ წინასწარმეტყველება და ჩვენს საუკუნეში ფაქტად ქცეული მეცნიერების გარდაქმნა უშუალო საწარმოო ძალად მოასწავებს არა მხოლოდ მეცნიერების როლის, არამედ, კიდევ უფრო მეტად, წარმოებაში ადამიანის ადგილისა და საერთოდ მისი სოციალური როლის შეცვლას.

ცვლილებები, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება განიცდის, წარმოებითი ურთიერთობებით დაწყებული და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებით დამთავრებული, საერთო ჯამში შეადგენენ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მთელ სპექტრს, რომელთა გადაწყვეტაც გულისხმობს მეცნიერთა უმხურვალესსა და უაქტიურეს მონაწილეობას ცოცხალ საქმეში.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ცოდნის გადაქცევა „საზოგადოებრივი პრაქტიკის, რეალური სასიცოცხლო პროცესის უშუალო ორგანოდ“ (კ. მარქსი) ერთნაირად ეხება ბუნებისმეტყველებასაც და საზოგადოებათმცოდნეობასაც. ბუნების შესახებ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ მათი ტექნოლოგიური მატერიალიზაციის მიხედვით; ასევე საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა სიმწიფის კრიტერიუმს შეადგენს მათი აქტიური მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების იდეოლოგიურ უზრუნველ-

ყოფაში, ესე იგი მათ მიერ მოპოვებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, აგრეთვე მათი უნარი შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტული რეკომენდაციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე აღინიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე წინ წამოწეული ამოცანების შესრულებაში საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, პარტიის ეფექტიანი თანაშემწე უნდა გახდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვი აღნიშნავდა: „ადამიანისადმი მიმართული ჭკვიანი, პარტიული სიტყვა აღვიძებს აზრს, ავითარებს ადამიანთა ინიციატივას, უნერგავს შეურიგებლობას ნაკლოვანებებისადმი“[1].

პრაქტიკისადმი გამიზნულობა ორგანულია მარქსიზმ-ლენინიზმისათვის, მთელი საბჭოთა მეცნიერებისათვის, ეს მოთხოვნილება საზოგადოებათმცოდნეობის მტკიცე იდეური და მეთოდოლოგიური საფუძველია. „ჩვენი თეორიული შეხედულებების დანიშნულება ის არის, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — რომ მათით ვიხელმძღვანელოთ ჩვენს რევოლუციურ მოღვაწეობაში“[2].

ერთი შეხედვით აქ არაუერია განსაკუთრებული: ყოველი დროის საზოგადოებრივი აზრი — ფილოსოფიური სისტემები, იქნებოდა ეს თუ რელიგიური დოქტრინები, პოლიტიკური მოძღვრებები თუ სამართლის თეორიები, — მუდამ რომელიმე კლასს, საზოგადოებრივ ჯგუფს, პრაქტიკას ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა, მარქსიზმის, როგორც პროლეტარიატის რევოლუციური განთავისუფლებისა და სოციალიზმზე გადასვლის, კომუნიზმის აშენების შესახებ მეცნიერების წარმოშობა ახალ ეტაპს მოასწავებდა ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის განვითარებაში. ამ გადატრიალების არსება შეიძლება დავახასიათოთ თვით მარქსის სიტყვებით:

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1985 წლის 23 აპრილი. — თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1985, გვ. 27.

[2] ლენინური კრებული XXXVIII, გვ. 240.

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს“[1]. საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში პირველად პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოცხადდა, რომ შეიქმნა მოძღვრება, — იმ კლასის იდეოლოგია, რომელმაც რევოლუციურად უნდა გარდაქმნას სამყარო.

მარქსისტული თეორიის რადიკალური ხასიათის ახსნისას ვ. ი. ლენინმა აღნიშნა — მისი რევოლუციურობა განპირობებულია არა იმდენად იმით, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი რევოლუციონერები იყვნენ, რამდენადაც იმით, რომ თვით თეორიისათვის შინაგანად დამახასიათებელია კრიტიკული და თანამიმდევრულ-რევოლუციური ხასიათი. ლენინის მითითება სრულებითაც არ ამცირებს პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობას, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა თეორიის შექმნაში და განსაზღვრა მისი ფორმა, არც ლოგიკურ სიმწყობრეს, ენციკლოპედიურ გაქანებასა და მეცნიერულ სიღრმეს. იგი ყურადღებას მიაპყრობს მარქსიზმის შინაარსს, მის არსებას, რაც უფრო სიღრმისეული გარემოებებით იყო განპირობებული.

თითქმის საუკუნე-ნახევარია ისტორია ამტკიცებს, რომ არც ერთ სხვა მოძღვრებას არ გააჩნია უნარი მარქსიზმის მსგავსად შეერწყას მასების რევოლუციურ მოქმედებას და წარმართოს იგი. რეალური სოციალიზმის გამოცდილება მოწმობს აგრეთვე, რომ მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის ერთგულების მეოხებით შეძლეს კომუნისტურმა პარტიებმა ჭანეხორციელებინათ თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის იდეალები. არ არსებობს სხვა მოძღვრება ან პოლიტიკური მიმართულება, ამ მხრივ მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სერიოზული მეტოქეობის გაწევა რომ შეეძლოს. მისი ავტორიტეტი ამიტომ არის ურყევი. ისტორიაში ცნობილ მრავალ სოციალურ მოძღვრებას შორის მხოლოდ ის არის ერთადერთი რევოლუციური თეორია, რომლის დას-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ 4.

კვნებმა სოციალისტურ სინამდვილეში რეალობის ძალა მოიპოვეს.

სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული იდეოლოგია, დაწყებული უკიდურესად მემარჯვენე, აშკარად რეაქციული ფრთით (ანტიკომუნიზმი, ანტისოვეტიზმი და სხვა) და დამთავრებული „ფსევდომემარცხენე“ ფრთით (რომლის წარმომადგენლებიც ეტმასნებიან მარქსიზმს, თავს ასაღებენ ლენინიზმის დამატებებისაგან „განწმენდილი“ მარქსიზმის დამცველებად). მხოლოდ და მხოლოდ მარქსიზმს აძაგებს და იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევს სხვა შეხედულებებსა და კონცეფციებს, რაგინდ „ზერეოლუციური“, ზემოდენინ!ტული ფრაზეოლოგიითაც უნდა შეინიღბონ ისინი, შეუცდომელი კლასობრივი ინსტინქტი კარნახობს მათ, რომ კაპიტალიზმს ნამდვილ და არა მოჩვენებითს საფრთხეს უქადის მოძღვრება, რომლის ‘თავარი პრინციპია თეორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის ურღვევი ერთიანობა.

თავისთავად ცხადია, რომ მარქსისტული-ლენინური მოძღვრების ეს თავისებურება — პრაქტიკის მიჩნევა თეორიის სასინჯ ქვად, მის ღირსებათა უმაღლეს კრიტერიუმად — საკუთრივ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს საზოგადოებათმცოდნეებს, გულისხმობს აზროვნების სრულიად, გარკვეულ ტიპს. მისი დახასიათება შეიძლება ვ. ი. ლენინის სიტყვებით: არ შეიძლება იყო მარქსისტი, რევოლუციონერი, თუ შეძლებისდაგვარად არ მონაწილეობ რევოლუციური თეორიის შექმნასა და გამოყენებაში.

პარტია ამ საზომით უდგება საზოგადოებრივ მეცნიერებებს, საზოგადოებათმცოდნეებისაგან მოითხოვს, რომ დაძლიონ ჩამორჩენა თანამედროვე საჭირბოროტო პრობლემების კვლევაში. გაარკვიონ აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, გაზრდილი ინტერესით შეისწავლონ ეკონომიკური, სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის მსვლელობაში დაგროვილი გამოცდილება როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მოძმე სოციალისტური ქვეყნების მასშტაბით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, რომელმაც შეიმუშავა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ვრცელი კონცეფცია, პირდაპირ აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა

განვითარების მაგისტრალურ მიმართულებად უნდა იქნეს მომწიფებული სოციალიზმის პრობლემატიკის ყოველმხრივი კვლევა, მის კანონზომიერებათა შესწავლის საფუძველზე უნდა გაკეთდეს სარწმუნო პროგნოზები.

უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე ფილოსოფოსების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, მეცნიერული კომუნიზმის სპეციალისტების ბევრი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა. მათში მეტ-ნაკლები სიღრმითა და საფუძვლიანობით გამოკვლეულია სოციალიზმის, მის წინააღმდეგობათა მამოძრავებელ ძალთა, სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის კომპლექსური სრულყოფის, საზოგადოების უკლასო სტრუქტურის შექმნის, პოლიტიკური ზედხაშვის შეცვლის, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების ძირითადი პრობლემები. რა თქმა უნდა, პარტია ეყრდნობა თავის თეორიულ მოღვაწეობაში მეცნიერ საზოგადოებათმცოდნეთა ნაშრომებს. ამასთან, უდავოა, რომ საზოგადოებათმცოდნეებს პარტიისათვის მეტი, უფრო საფუძვლიანი დახმარების გაწევა მოეთხოვებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ რესპუბლიკის საზოგადოებათმცოდნეები მრავალმხრივ სერიოზულ მუშაობას ეწევიან. რითაც აუცილებელ დახმარებას უწევენ პრაქტიკოსებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში. ამავე დროს ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ საზოგადოებათმცოდნეების წინაშე კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ამოცანები დაისახა, გაიზარდა მათი როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი საზოგადოების შემდგომი გახვითარების პროცესში აღმოცენებული ახალი პრობლემების გადასაწყვეტად.

დღევანდელ ვითარებას წარსულს თუ შევადარებთ, უსამართლობა იქნება არ შეგვენიშნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის გააქტიურება ჩვენს რესპუბლიკაში. გამდიდრდა სამეცნიერო-საკვლევი თემატიკა. დღეს იგი უფრო საგნობრივად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი განვითარების პრობ-

ლემებთან. ამ ბოლო ხანს გამოქვეყნდა მონოგრაფიები, კრებულები, სამეცნიერო ნაშრომები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, კულტურისა და ღირებულებათა თეორიის, საბჭოთა ცხოვრების წესის საკითხებზე, შექმნილია საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის. საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები. მათში გახხილულია განვითარებული სოციალიზმის, მისი ეკონომიკის, ახალი ადამიანის აღზრდის, ერთაშორის ურთიერთობათა, კულტურის, პოლიტიკური სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის, ხალხის ძალაუფლების გაფართოებისა და სხვა პრობლემები, სულ უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება სამეცნიერო გამოკვლევებში კონტრპროპაგანდისტული მასალა. ანტიკომუნიზმისა და ანტისოვეტიზმის საფუძვლიანი კრიტიკა, მათ შორის, აგრეთვე. საქართველოს სოციალისტური სინამდვილის უხეშად დამახინჯების ცდების კრიტიკა.

ჯეროვნად შეფასდა რა ის დადებითი ძვრები, რაც შეიმჩნევა ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ეკონომისტების, ისტორიკოსებისა და სხვა ჰუმანიტარული დარგების მეცნიერთა მუშაობაში, იდეოლოგიური აქტივის 1984 წლის ივნისის რესპუბლიკურ კრებაზე ითქვა, რომ რესპუბლიკაში შესრულებულ გამოყენებითი ხასიათის ნაშრომთა დონე ფუნდამენტურ გამოკვლევათა დონეზე დაბლა დგას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა რესპუბლიკის შემდგომი განვითარების, სამეცნიერო-თეორიული საქმიანობის პრაქტიკული ეფექტიანობის ამაღლების ყველაზე სწორი გზების ძიება.

აქ მიმართებით შესრულებული ნაშრომების დონე, მართლაც, ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის გაზრდილ მოთხოვნებს. რესპუბლიკის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები როგორღაც მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა. სათანადოდ არ შუქდებოდა ადგილობრივი გამოცდილება. მცირეა კერძომესაკუთრული ტენდენციების, მომხვეჭელობის ფსიქოლოგიისა და სხვა უარყოფითი მოვლენების მიზეზთა კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომების რიცხვი. ჯერ კიდევ არ არის დაძლეული სოციალისტური საზოგადოების წინააღმდეგობათა ზედაპირულად გაზ-

რება, არსებულ შეუსაბამობათა ახსნა მარტოოდენ ცნობიერების ჩამორჩენით, მათი გამოცხადება მხოლოდ და მხოლოდ წარსულის, კაპიტალიზმის გადმონაშთებად.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა ექსპერიმენტების ჭეშმარიტ პოლიგონად. ამ ექსპერიმენტებს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ზოგჯა უკვე გაიარა აპრობაცია, შეძენილი გამოცდილება ყველასათვის მისაწვდომი გახდა და მთელ ჩვენს ქვეყანაშია აღიარებული. ხოლო ზოგი ახლა გამოცდისა და კონდიციამდე მიყვანის სტადიაშია. მაგრამ ყოველივე ამან სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ პოვა სათანადო გაშუქება.

ჯერ კიდევ თავს იჩენს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული აზროვნების ყაიდა, როდესაც ეშინიათ ხელი მოჰკიდონ მწვავე საკითხებს და ინერტულნი არიან მათ მიმართ. უნიათობაა, კონკრეტული საქმეებისადმი — „სერიოზული“ თეორიისათვის ვითომდა ნაკლებად მიმზიდველი საგნისადმი — ქედმაღლურ დამოკიდებულებას, პრაქტიკის საჭირბოროტო საკითხებისაგან განდგომას ღრმად აქვს გადგმული ფესვები.

ამ ინტელექტუალური ნაკლოვანების სერიოზულობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტის მიხედვითაც, რომ იგი ბუხებისმეტყველთა ნაწილს გადაედო. ისინიც იმ აზრს იზიარებდნენ, რომ თითქოს არავითარი პასუხისმგებლობა არ აკისრიათ თავიანთი იდეების პრაქტიკულ გამოყენებაში და ამიტომაც არ უნდა ადარდებდეთ გამოკვლევათა ეფექტიანობა, საბოლოო შედეგები და მათი სოციალური ღირებულება. თუკი ბუხებისმეტყველთა შორის, რომელთა ინტერესის საგანი საზოგადოებათმცოდნეებთან შედარებით უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ცვალებად სოციალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე, ფეხმოკიდებული იყო მსგავსი შეხედულებები, ადვილად წარმოსადგენია, რამდენად დიდი ზიანი მიაყენეს მათ საზოგადოებათმცოდნეობას.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოითქვა ეკონომიკური კვლევის დარგის და არა მხოლოდ ამ დარგის მიმართ. აქ, ისევე როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა სფეროებში, არ უნდა იყოს,

ეგრეთ წოდებული „აკრძალული თემები“, „აკრძალული ზონები“, რომელთა გადაბიჯებასაც მეცნიერი ვერ ბედავს, ეშინია ამა თუ იმ თანამდებობის პირის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს, რადგან მისი დასკვნები ეწინააღმდეგება ოფიციალურს. პლენუმმა მეცნიერებს მოუწოდა, თავი არ აარიდონ მწვავე საკითხებს, უფრო გაბედულად ამხილონ ნაკლოვანებები, მიუთითონ ვიწრო ადგილების გამომწვევ მიზეზებზე, მტკიცედ დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი. ნუ შეაშინებთ შეცდომები. ყველაზე მძიმე შეცდომა მეტისმეტი შიშია, რომელიც ღოგმატიზმსა და მედავითნეობას წარმოშობს.

აქ სრული პასუხისგებით უნდა ითქვას, რომ შეცდომის აკრძალვა ჭეშმარიტების ძიების ჩაშლის ტოლფარდოვანია. შეიძლება ეს პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ სწორედ ასეა: დაშინებული შეცდომის შესაძლებლობით არასდროს ჭეშმარიტებას ვერ ეზიარება. ცალკეული მცდარი თვალსაზრისის გასწორება გაცილებით ადვილია, ვიდრე ინერტიული აზროვნების სტერეოტიპის დაძლევა.

დიდი ცოდვა არ არის, როცა ესა თუ ის მტკიცება ზუსტი არ აღმოჩნდება. ეს უკეთესია, ვიდრე ეკონომიკური აზრის მოდუნება, უძრაობა და რუტინა, ვიდრე შიში, თუ ვინმეს ვაწყენინოთ. სწორ გზას, სწორ გადაწყვეტას კი ჩვენ ყოველთვის ვიპოვით, ამისათვის არსებობს ჩვენში კოლექტიური ორგანოები, კოლექტიური აზრი, მზადყოფნა განვიხილოთ კოლექტიური ღონისძიებანი.

თბილისის საქალაქო კომიტეტის თათბაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილების ძიღების მომენტიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძირფესვიანად შეცვალა მეცნიერებასთან და საერთოდ ინტელიგენციასთან დამოკიდებულება. მრავალი ქმედითი ღონისძიება გატარდა იმისათვის, რომ მეცნიერები ცოცხალი პრაქტიკისაკენ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, სოციალური და კულტურული განვითარების აქტუალური ამოცანებისაკენ მობრუნებულიყვნენ. დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამკვიდრა წესი — მნიშვნელოვანი, პრინციპული საკითხები გადაწყვიტოს მას შემდეგ, რაც მოხდება

მათი ფართოდ განხილვა მეცნიერთა მონაწილეობით, რომლებიც მოქმედებენ როგორც მრჩეველები, კონსულტანტები და ექსპერტები. ეს შეიძლება ითქვას, ხელმძღვანელობის სტილად გადაიქცა და მთელ რესპუბლიკაში მკვიდრდება.

სრული უფლება გვაქვს ამ სიახლის ეტაპად მივიჩნიოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის VI პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა კონცენტრაციის საქმეში. სტრატეგიული ამოცანები განამტკიცა მეცნიერების შემობრუნებამ წარმოებისაკენ, ხოლო წარმოებისა — მეცნიერებისაკენ, გააღრმავა მათი კავშირი, როგორც რესპუბლიკის მთელი სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდის სოციალური გარანტია.

ამ პროცესების ხელმძღვანელობა ტექნიკისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო რესპუბლიკურ საბჭოს დაეკისრა. ამ ავტორიტეტული ორგანოს კომპეტენციაში შედის ოპერატიულ გადაწყვეტილებათა მიღება და მეცნიერებისა და წარმოების შერწყმის სტრატეგიული საკითხების განსაზღვრა. აქტუალური ამოცანა ისაა, რომ საზოგადოებათმცოდნეობათა სამეცნიერო კოლექტივებმა მოხაწილეობა მიიღონ როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში. ეს კურსი პირდაპირ არის ნაკარნახევი იმ გარემოების ნათლად გაგებით, რომ სოციალისტური წყობილების სიმწიფის ეტაპზე გამოვლენილ უპირატესობათა გამოყენების უზრუნველყოფა შესაძლებელია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პრაქტიკული ფუნქციების გაფართოების გზით.

ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ადამიანის ზნეობრივ სამყაროსთან, სულიერ მოთხოვნილებებთან. მათს გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ინდივიდის მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის დონე, ხასიათი და ა. შ. ცნობილია, რომ ზნეობრივი ფაქტორის მნიშვნელობა და

როლი განუზომლად იზრდება. ეს ჩვენი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა, რომელშიც აისახება სოციალისტური წყობილების ღრმად ჰუმანისტური ბუნება.

ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების ხასიათითა და მისი ობიექტური მოთხოვნებით, ამჟამად უახლესი ტექნიკით აღჭურვილი წარმოება მეცნიერული აზრის მატერიალიზაციას წარმოადგენს. თვით მეცნიერება გარდაქმნილია უშუალო საწარმოო ძალად, თანამედროვე წარმოება ერთიანი კომპლექსია, არც ერთ დარგს არ შეუძლია დამოუკიდებლად, ავტონომიურად განვითარება — თითოეული მათგანის წარმატება სხვა დარგების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. სწორედ მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნორმალური განვითარებისათვის არის საჭირო მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკასთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს პირველს.

ამ ამოცანის გადაჭრა შორდება საინჟინრო-ტექნიკური კომპეტენტურობის ფარგლებს. პრაქტიკაში, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის ძიღწევათა დანერგვის საკითხი უპირატესად ეკონომიკის საკითხია. ძირთადად რა ამუხრუჭებს დანერგვის პროცესს? რატომ არ იწუხებს თავს მეცნიერი, როდესაც მისი აღმოჩენა დიდხანს ვერ პოულობს გზას წარმოებაში? რატომ არ ჩქარობს სამეურნეო მუშაკი დანერგოს ახალი ტექნოლოგია? ცხადია, ამ კითხვაზე პასუხი ეკონომიკურ მიდგომას მოითხოვს.

ადამიანთა შრომის ორგანიზაციის, მისი ახაზღაურების, შეგნებული შრომის დისციპლინისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების საკითხები დაკავშირებულია წარმოებით ურთიერთობებთან. მათ სრულყოფასთან და ამიტომ მათ გადაწყვეტას საფუძვლად უნდა დაედოს ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებანი. ამ მიმართულებით ვითარდებოდა ექსპერიმენტები საქართველოში. ამ დარგში საკოლმეურნეობათაშორისო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებათა, აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარების სოლიდური გამოცდილება დაგვიგროვდა. გაჩნდა მოსახ-

ლეობის პირად მეურნეობასთან კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა კოოპერირების ახალი ფორმები, რომლებსაც ჩვენში მაღალი შეფასება მიეცა. ყურადღება ექცევა გადაწყვეტილებათა ნოვატორულ სულისკვეთებას, კერძოდ იმას, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნას მივყავართ ახალ ურთიერთობათა დამყარებამდე იმ ადამიანთა შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთიანი მიზნებით, ინტერესებით და საბოლოო შედეგებისათვის ერთიანი ზრუნვით.

ყველაზე ბუნებრივი იქნება, ეკონომიკურმა მეცნიერებამ შეისწავლოს ეს ცდა, მოგვცეს პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედება მის განზოგადებასა და შეფასებას. პარტია მოგვიწოდებს, აქტიურად ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკური აზროვნების ახალი ტიპი, რომლის გახუყოფელი ნიშნები უნდა იყოს ინიციატივიანობა, სოციალისტური გერგილიანობა, ყაირათიანი დამოკიდებულება სახალხო დოვლათისადმი. კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ სოციალისტური თვითმმართველობის, შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში კოლექტიური საწყისების განვითარების ახალ შესაძლებლობებს გვისახავს. მაგრამ როგორ გავუწიოთ პროპაგანდა ეკონომიკური აზროვნების ასეთ ტიპს, თუ ხელთ არ გვექნება ეკონომისტთა ხაშრომები. რომლებშიც მოწიხავე მეთოდთა ანალიზი გააზრებული იქნება ეკონომიკურ კატეგორიებში. საუკეთესო საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგისაკენ მიმავალი გზების შემოქმედებითი ძიების პროპაგანდა, იმის უნარი, რომ დაინახო და დროულად შეაფასო ნოვატორობა, გულისხმობს, რომ თვითონ მეცნიერს უნდა ჰქონდეს სიახლის გრძნობა და შორსმჭვრეტელობა. მაშასადამე, ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების ამოცანა მეცნიერი ეკონომისტებისაგან მოითხოვს ჭეშმარიტ შემოქმედებით დამოკიდებულებას, რაც ნამდვილ უშეღავათო კვლევას გულისხმობს.

თავისთავად რთული ამოცანაა დასძლიო ჩამოყალიბებული შტამპი. ძველი წარმოდგენები „დასაშვებისა“ და „დაუშვებლის“ შესახებ ხელს უშლის, ბოჭავს და ამახინჯებს აზრს. რაც უფრო ჩქარა მოისპობა ეს სტერეოტიპი, მით უფრო სწრა-

ფად იგრძნობს პრაქტიკა თეორიის დახმარებას, მის განუზომელ მნიშვნელობას.

დებულება: „სრულვყოთ განვითარებული სოციალიზმი — ნიშნავს სრულვყოთ თვით ადამიანი", — მოკლედ და ხუსტად გადმოსცემს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი მოღვაწეობის ლაიტმოტივს, რომელიც მიმართულია პროტექციონიზმის, მომხვეჭელობის, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მეშჩანური ფსიქოლოგიისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მიზანია სოციალისტური მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცება, საბჭოთა ცხოვრების წესის დამკვიდრება, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება. საბოლოოდ ვიბრძვით სოციალური სამართლიანობისათვის.

ადრე, ათ წელიწადზე ცოტა ხნის წინათ, მთელ რესპუბლიკაში ცხოვრების გასაჯანსაღებლად ბრძოლის დაწყებისას, როდესაც ის-ის იყო ყალიბდებოდა ახალი კურსის ყველაზე ზოგადი დებულებები, მასობრივი საზოგადოებრივი აზრი შეჭრიგებლურად ეკიდებოდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთებს, ახლა პოზიცია მკვეთრად შეიცვალა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა თვალში ნეგატიური მოვლენები უპირისპირდებიან სოციალისტური ცხოვრების წესს და აბსოლუტურად ვერ უთავსდებიან მას, ამაში ჩანს საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება. მისი შემტევი ხასიათის ზრდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უარყოფითი ტენდენციები არ არის აღმოფხვრილი და მათი დაძლევა ახალ ძალისხმევას მოითხოვს. იგი კომუნისტებს მიუხედავ ცხოვრებისა შეუქცევადი ხასიათი მისცენ სერიოზულ ცვლილებებს.

ამასთან დაკავშირებით ისევე, როგორც წინა წლებში, დასახმარებლად მიმართავენ საზოგადოებათმცოდნეებს. საქმე ისაა, რომ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანები მოითხოვენ გაძლიერდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა გამოყენებითი როლი და გაიზარდოს მათი წვლილი პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში. ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიულ საწყისთა შემდგომ გაღრმავებასა და გაფარ-

თოებასთან, შეგნებისა და თვითშეგნების განვითარებასთან ერთად ახალი რთული ამოცანების გადასაწყვეტად სულ უფრო მეტად საცნაური ხდება მეცნიერული მეთოდის საჭიროება, რაც სისტემატურ მიდგომას მოითხოვს.

სოციალიზმის სრულყოფის იდეოლოგიური უზრუნველყოფა, თუ მას საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოწოლების თვალსაზრისით განვიხილავთ, საბოლოოდ არის ჩვენი სინამდვილის ხორცშესხმისა და შემდგომი ჰუმანიზმის აშუალება. სწორედ ამ კატეგორიებით უნდა შეაფასონ საზოგადოებათმცოდნეებმა თავიანთი პასუხისმგებლობა და გასაზღვრონ თავიანთი ადგილი პარტიის გეგმების განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს ამ გარემოებებს და ყოველმხრივ უწყობს ხელს რესპუბლიკის კულტურის, სულიერი პოტენციალის გაძლიერებას. კეთილისმყოფელი იდეური, ზნეობრივი ატმოსფეროა შექმნილი ნამღვილი შემოქმედებითი მუშაობისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ზრდის მომთხოვნელობას მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეთა მიმართ და ამავე დროს ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა მეცნიერებს ძიების, სოლიდური კვლევისა და გაბედული განზოგადებების ფართო შესაძლებლობა მიეცეთ.

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ცოტა რამ როდი კეთდება. ტრადიციად იქცა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა სამეცნიერო კოლექტივებთან. შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ინსტიტუტების გაძლიერებას, რათა დროულად აღმოუჩინონ დახმარება, ოპერატიულად გადაწყვიტონ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების საკითხები. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტების გაფართოება და მრავალი სხვა ფაქტი.

პარტია მეცნიერთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ განვითარებული სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფა და, მაშასადამე, კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ბაზაზე. იგი არ იფარგლება უბრალო მოწოდებებით

მეცნიერებისადმი შემოქმედებითი მიდგომის აუცილებლობის შესახებ, არამედ კეთილისმყოფელ პირობებს ქმნის გაბედული მეცნიერული ძიებისა და ფუნდამენტური გამოკვლევების განსახორციელებლად.

სხვა საკითხთა შორის, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფას ეხება, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხშირად უბრუნდება უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს — შრომის მიხედვით განაწილების საკითხს, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის, და არა მარტო ეკონომიკის, ფუძემდებლური მარეგულირებელი პრინციპია. მასშია საბჭოთა წყობილების ურყევი ზნეობრივი ძალა, მისი მორალური უპირატესობა. უდავოა, რომ ეს გახაწილების პრინციპი პირველ რიგში ეხება ეკონომიკის სფეროს. მაგრამ ზოგად ისტორიული თვალსაზრისის მიხედვით მას არახაკლები სოციალური და ზნეობრივი ღირებულება გააჩნია. ბოლო ათეს წინ წამოწეული სოციალური სამართლიანობის პრობლემატიკა უშუალოდაა დაკავშირებული ამ პრინციპის განხორციელების გაზრდილ მოთხოვნილებასთან. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები, რომლებიც მიზნად ისახავენ ჯანსაღი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას და კერძომესაკუთრული, მეშჩანური და ბოჰემსვეტელობითი სოციალურ-ფსიქოლოგიურ განწყობის ძირფესვიანად აღმოფხვრას, — ეს პროცესები საბოლოოდ ამ ძირითადი — შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის დაცვით არიან დეტერმინირებულნი. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ ათიოდე წლის წინ დაწყებულ ბრძოლას იმიტომ აქვს უდიდესი ზნეობრივი ძალა, რომ მას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობის იდეა, რომელსაც შეიცავს ზემოთხსენებული პრინციპი.

სოციალიზმისათვის უცხო მოვლენათა დიდი უმრავლესობა, რომელთა წინააღმდეგაც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, ამ პრინციპის დარღვევის შედეგია. შრომისადმი კეთილსინდისიერი, შეგნებული დამოკიდებულების, როგორც ადამიანის მთავარი მოვალეობის, საზოგადოების წინაშე პიროვნების უმაღლესი

ზნეობრივი მოვალეობის აღზრდა მყარად უნდა უკავშირდებოდეს სოციალიზმის ძირეული ეკონომიკური პრინციპის განუხრელად დაცვას. როცა ირღვევა ეს პრინციპი და სიტყვა საქმეს სცილდება, მაშინ აღზრდა აღარ არის ეფექტიანი, ეკონომიკურ ინტერესებთან ერთად სერიოზულ დეფორმაციას განიცდის მორალური ღირებულებანი. ჩვენთან ადამიანის საზოგადოებრივ აღიარებას, უწინარეს ყოვლისა. უნდა განსაზღვრავდეს მისი შრომა, ის, თუ როგორ მუშაობს იგი. აქ მნიშვნელოვანია არა მარტო ეკონომიკური, არამედ იდეურ-ზნეობრივი მხარეც.

ამ ფართო და ძალზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა აუცილებლად გულისხმობს საზოგადოებათმცოდნეების უშუალო მონაწილეობას, ჰუმანიტარული პროფილის ინსტიტუტების მიზანდასახულ და გეგმაზომიერ დაძაბულ კვლევას, რეკომენდაციების შემუშავებას, პრაქტიკაში მათ დანერგვას და დახვეწას მიღებული გამოცდილების შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ ზრუნავს სამეცნიერო კოლექტივების შემოქმედებითი პოტენციალის ზრდისათვის. ამის დასადასტურებლად შეიძლება დავასახელოთ ფაქტი. 1973 წლის დამლევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება; 1974 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საკითხის განხილვა; 1975 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — მუშაობის განხილვა. გარდა ამისა, 1978 და 1980 წლებში სპეციალურად იქნა განხილული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მუშაობის საკითხი. 1974, 1976 და 1980 წლებში დაწერილებით შესწავლილ და განხილულ იქნა გამოყენებითი და სოციალური ფსიქოლოგიის, აგრეთვე რესპუბლიკის საწარმოებში ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნის საკითხები; 1979 წელს მი-

ღებულ იქნა დადგენილება საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის სრულყოფის თაობაზე, ხოლო 1980 წლის დამდეგს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. დაახლოებით იმავე დროს შეიქმნა მეცნიერული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგია, ეახსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ხალხთა მეგობრობის მუზეუმის (ამავე დროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, რომელსაც დაეკისრა რესპუბლიკაში ერთაშორისი ურთიერთობების საკითხთა საკვლევი სამუშაოების კოორდინაცია) და აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის შექმნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ბორჯომში 1979 წლიდან სისტემატურად ტარდება ისტორიკოს მეცნიერთა შეხვედრები. ტრადიციად ქცეულმა ბორჯომის შეხვედრებმა სკეპტიკოსებიც კი დაარწმუნა, რომ ნაყოფიერი შეიძლება იყოს მეცნიერთა ურთიერთობის ასეთი ცოცხალი ფორმა. ამ მაგალითის მიხედვით სისტემატურ ხასიათს იღებს საზოგადოებათმცოდნეობის სხვა დარგების წარმომადგენელთა შეხვედრებიც, რომლებიც ტარდება რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში.

საგულისხმოა, რომ შეხვედრებისათვის შემუშავებულია სოლიდური პროგრამა. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დავალებით შედგა და დამტკიცდა საკოორდინაციო გეგმა 1981—1985 წლებისათვის. ეს იმან განაპირობა, რომ გაფართოვდა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. ახლა რესპუბლიკას მეცნიერთა მრავალრიცხოვანი ძალები ჰყავს. მის ავტონომიურ რეგიონებსა და ქალაქებში მკვლევართა დიდი კოლექტივები მუშაობენ. ამრიგად, საკოორდინაციო გეგმის შექმნა სამეცნიერო ძალების კოოპერირებისა და მათი პოტენციალის უფრო რაციონალურად გამოყენების აუცილებლობის აღიარებად უნდა მივიჩნიოთ. ერთიანი გეგმა საშუალებას იძლევა დაიხვეწოს თემატიკა, რაციონალურად განაწილდეს ძალები, მეტი ყურადღება დაეთმოს მეცნიერთა ინტერესებს, შეიქმნას ერთ თემაზე მომუშავე კოლექტივები და მცირე

ჯგუფები, ზღვარი დაედოს ძალების დაქსაქსვას, დაძლეულ იქნეს უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიის სისტემის მეცნიერთა გათიშვა და უზრუნველყოფილ იქნეს უფრო მჭიდრო კავშირი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში მომუშავე მკვლევარებს შორის.

საკოორდინაციო გეგმა მოიცავს განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, მიზნად ისახავს რესპუბლიკის დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხთა კვლევას და შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავებას. გეგმის საფუძველზე ხდება მეცნიერთა ძალისხმევის კონცენტრირება განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე, ამიტომ იგი მეცნიერების განვითარების პროცესთა მართვის დიდ შესაძლებლობებს იძლევა.

ნარკვევი მეორე

პარტიის ძლიერების წყარო

მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი ავტორიტეტისა და პოპულარობის გამო იმპერიალიზმის იდეოლოგიის ყველა ცენტრი გააფთრებით ებრძვის მას, მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის თეორიასა და პრაქტიკას თავს ატეხს დეზინფორმაციისა და უხეში ცილისწამების ხიაღვარს. ანტიკომუნიზმში შედარებით დიდი ადგილი უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული პრინციპების კრიტიკას, ანტისოვეტიზმი კი ყურადღებას მიმართავს, უპირველეს ყოვლისა, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. განსაკუთრებული მონდომებით აძაგებენ ლენინიზმს, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ანტიკომუნიზმს და ანტისოვეტიზმს აერთიანებს მისწრაფება თეორიულადაც და პრაქტიკულადაც კომუნიზმი გააიგივონ ანტიჰუმანიზმთან. პირველნი მარქსიზმ-ლენინიზმს ბრალს სდებენ იმაში, თითქოს ინდივიდის სრულ იგნორირებას ახდენდეს, მეორენი სოციალისტურ საზოგადოებას წარმოსახავენ პიროვნების დამთრგუნველ ძალად.

განა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში არსებობს რაიმე ისეთი, რაც ადამიანის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული? სრულიად არაფერი. პირიქით, ამ მოძღვრების პათოსი ის არის, რომ ააშკარავებს ბურჟუაზიული საზოგადოების მთელს არაადამიანურობას, ცოცხალი სამუშაო ძალის უსასტიკეს ექსპლუატაციას კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, ილაშქრებს ადამიანის დამონების წინააღმდეგ და აფუძნებს სხვისი შრომის მითვისებაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების ნგრევის ისტორიულ გარდაუვალობას.

თუ ადამიანის ხასიათს, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოებანი ქმნიან, — მაშინ საჭიროა ეს გარემოებანი ადა-

მიანური გავხადოთ. არც მარქსს და არც ლენინს ახთროპოფობია არ ახასიათებდა. მათი მსოფლმხედველობა და რევოლუციური მოღვაწეობა ღრმად ჰუმანისტურია. ერთიც და მეორეც ემორჩილება პროგრამას — ადამიანური გახადონ გარემოებები, რომ ადამიანებმა იცხოვრონ „ადამიანის ბუნებისათვის ყველაზე ღირსეულ“ პირობებში.

1. ინერციის დაძლევა

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ექსპლუატატორთა ბატონობა და სათავე დაუდო მსოფლიოს ჰუმანისტურ განახლებას. მანამდე არც ერთი რევოლუცია ასე არ შეხებია ადამიანის ყოფიერების ღრმა ფენებს, არც ერთს ასე ძირფესვიანად არ შეუცვლია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემა. რუსეთის რევოლუციურმა მუშათა კლასმა საფუძველი ჩაუყარა თვისებრივად ახალი ტიპის ცივილიზაციას, რომლისთვისაც უცხოა ანტაგონისტური კლასების ბრძოლა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და რომელიც თავისუფალია სოციალური, ეროვნული და სულიერი მონობისაგან.

რევოლუციის უმაღლესი ჰუმანურობა დასტურდება იმითაც, რომ მასებისათვის ხელმისაწვდომი გახადა კულტურა, რომლისგანაც ისინი ადრე მოწყვეტილი იყვნენ. რევოლუციამ შეცვალა კულტურაც. წარსულში ელიტარული დემოკრატიული გახდა, ჰუმანისტური შინაარსით აავსო. „წინათ, — წერდა ამის შესახებ ვ. ი. ლენინი, — ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე მხოლოდ ერთისათვის მიეცა, სხვებისათვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება; და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლუატაციის საშუალებად“[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 26, გვ. 563.

კულტურის განხილვა მისი კლასობრივი შინაარსის გარეშე შეუძლებელია. რევოლუციების, განსაკუთრებით სოციალისტური რევოლუციების გამოცდილება ადასტურებს კულტურის არაკლასობრივი ან ზეკლასობრივი ხასიათის შესახებ ბურჟუაზიული შეხედულებების ლენინური კრიტიკის სამართლიანობას. კლასობრივ საზოგადოებაში კულტურა კლასობრივია, ეს ვლინდება მის იდეურ მიმართულებაში და ფუნქციებში. კულტურის ცივილიზაციის გარკვეულ ტიპს შეჩვეული პრივილეგიურ კლასებს ვერ წარმოუდგენიათ პრივილეგიურის გარდა რაიმე სხვა კულტურისა და ცივილიზაციის არსებობა, რომლებიც პირველ რიგში მათი პრივილეგიების კულტურას უზრუნველყოფენ. თავიანთი უპირატესობის ყოველგვარ ხელყოფას, დემოკრატიული კულტურის, ცივილიზაციის სხვაგვარი ტიპის შესაძლებლობის დაშვებას ისინი კულტურის ნგრევად, ანტიკულტურად, ბარბაროსობად აღიქვამენ.

კულტურის საკითხებისადმი ასეთი დაძაბული დამოკიდებულება გასაგები უნდა იყოს, ვინაიდან, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებითად „ყოველი ნაბიჯი კულტურის გზაზე იმავდროულად ნაბიჯია თავისუფლებისაკენ“. ამის გამო გაბატონებული კლასები არ უშვებენ მასებს კულტურის მისადგომებთან და მათში ბარბაროსობას ნერგავენ. ამით ცდილობენ უკვდავყონ თავიანთი პრივილეგიები, დაიცვან თავიანთი თავისუფლება სხვისი მონობის შენარჩუნების ხარჯზე.

მაშასადამე, კულტურასა და თავისუფლებას შორის განუწყვეტელი კავშირი არსებობს. მათ ერთი ფესვი აქვთ. ორივე ეს ფენომენი კლასობრივია: კულტურა ისევე კლასობრივია, როგორც თავისუფლება. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ საერთოდ თავისუფლებაზე მსჯელობის დროს უნდა ვიკითხოთ, რომელი კლასების თავისუფლებაზეა ლაპარაკი. ყოველი კლასი საკუთარ შინაარსს დებს თავისუფლების ცნებაში, რადგან თვითონვე ქმნის თავისი განვითარების პირობებს და სწორედ მათ მიიჩნევს ჭეშმარიტ თავისუფლებად. კულტურასაც ასევე კლასები ქმნიან. ამიტომაც ბურჟუაზიული საზოგადოების კულტურა უპირატესად ბურჟუაზიული კულტურაა და არც შეიძლება სხვაგვარი იყოს.

ახალაღმოცენებულ სოციალისტურ ცივილიზაციას, რასაკ-

ვირველია, არ შეეძლო პირველი ნაბიჯებიდანვე გამოევლინებინა თავისი შესაძლებლობები და საზოგადოების ყველა წევრისათვის განვითარების ოპტიმალური პირობები შეექმნა. თუნდაც იმიტომ, რომ, ჯერ-ერთი, რუსეთი შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანა იყო; მეორე, სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის უშუალო პროცესი მეტად არახელსაყრელ პირობებში, იმპერიალიზმის გააფთრებული შემოტევის ვითარებაში მიმდინარეობდა და მაინც, ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხების უდიდესი მსხვერპლისა და გაჭირვების მიუხედავად, სოციალიზმი აშენდა. ახლა ის საკუთარ ნიადაგზე ვითარდება.

მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე, როდესაც შექმნილია მყარი ეკონომიკური ფუნდამენტი და საზოგადოებრივი შენობა ურყევად დგას, როდესაც სოციალიზმი მსოფლიო მასშტაბით გადამწყვეტ ტენდენციად იქცა და შეუქცევადი ხასიათი მიიღო, დადგა იმ პრობლემების რიგი, რომელთა გადაწყვეტასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიზმის უმაღლესი მიზნის განხორციელება — ფართო მშრომელი მასის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება და ინდივიდის ყოველმხრივ განვითარება.

უკანასკნელი ათწლეულების განძილზე ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ჭეშმარიტად გრანდიოზული მიღწევების ფონზე საქართველოს კომუნისტებმ განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ იმ გარემოებას, რომ სწორედ ამ პერიოდში რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება შესამჩნევად ჩამორჩა საშუალო-საკავშირო დონეს. მაგალითად, IX ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოება ჩვენს ქვეყანაში საერთოდ 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 15 პროცენტით, საქართველოში კი მხოლოდ 5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება შესაბამისად — 12 პროცენტითა და 5 პროცენტით. რესპუბლიკა ხუთწლიანი გეგმის ჩაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში ნეგატიური ტენდენციები მტკიცდებოდა და, რადგანაც სუსტი იყო პარტიული ხელმძღვანელობა, საკმაოდ ფართოდ ვრცელდებოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 60-იან წლებში დაშვებული სერიოზული შეცდომები იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ-პარტიულ და საკადრო პოლიტიკაში, ხელის აღება სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაზე დაუსჯელობის პირობებს ქმნიდა პირწავარდნილი კომბინატორებისა და საქმოსნებისათვის: წლების მანძილზე გამოვლინდა ნამდვილი უდარდელობა და უმწეობა ისეთი ფაქტების კლასობრივ შეფასებაში, რომლებიც 'შემდგომ მასობრივი გახდნენ და ჩამოყალიბდნენ როგორც კერძომესაკუთრული ტენდენციები. ჯეროვნად არ ებრძოდნენ პროტექციონიზმს, ნათლიმამობას, ადამიანებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, მათი პირადი ღირსების გაქელვას და სხვ.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში სულ უფრო ძლიერდებოდა იმის შეგნება, რომ აუცილებელია გადამწყვეტი ღონისძიებების გატარება სოციალისტური ცხოვრების წესის დამახინჯების, მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გამოცოცხლებისა და სოციალისტური ურთიერთობების ბუნებისათვის უცხო სხვა მოვლენების წინააღმდეგ.

რესპუბლიკის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა 1972 წელს, როცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". მასში მოცემული იყო საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ხანგრძლივი პროგრამა. მკვეთრი შემობრუნება განხორციელდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის დაძაბული და თავდადებული მუშაობის მეოხებით.

შეუპოვარი ბრძოლა კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან არათუ ეწინააღმდეგება ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საერთო კურსს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მის განხორციელებას. აქ უნდა გავარკვიოთ მთავარი: კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევას არაფერი არ აქვს საერთო ასკეტიზმისა და „გათანაბრებითი კომუნიზმის" ქადაგებასთან, რო-

გორც ცდილობენ ამის წარმოდგენას თვით კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის მატარებელნი.

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ მშრომელი ადამიანები უფრო და უფრო უკეთესად ცხოვრობდნენ, რომ დღითი დღე, წლითიწლობით მაღლდებოდეს ხალხის ცხოვრების დონე. მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა გულისხმობს გადამწყვეტ ბრძოლას სოციალიზმის ეკონომიკური პრინციპების დარღვევების, საზოგადოებრივი სიმდიდრის „გადანაწილების" თაეის არსით ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის მიხედვით საზოგადოებრივი სიმდიდრის ნაწილი უნდა მიეკუთვნოს კერძომესაკუთრული მორალის მატარებელთ, რომელთათვისაც მთავარია წაგლეჯონ, რაც შეიძლება მეტი, შემდეგ კი თუნდ „ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა". უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური ცხოვრების წესის საყოველთაოდ განმტკიცების პირობებში მისი ნორმებისაგან გადახრა განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება.

ნეგატიურ მოვლენებს აქვთ მეორე მხარეც, მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანის ზნეობის სფეროსთან, მის წესებთან, ცხოვრებაზე შეხედულებებთან, სოციალურ ორიენტირებთან, ღირებულებების სისტემასთან, რომლითაც იგი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს. მარქსიზმი, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, უტოპიური სოციალიზმისაგან განსხვავდება უშეღავათო რეალიზმით ისტორიული პროცესის გაგებაში. დიდ უტოპისტებს სამართლიანი საზოგადოების მშენებლობა გააზრებული ჰქონდათ, როგორც სპეციალურად ამ მიზნისათვის „სათბურებში" გამოზრდილი ქველმოქმედი ადამიანების მოღვაწეობის შედეგი. მარქსიზმი კი მას მიიჩნევდა საქმედ, რომელიც ემყარება არსებულ „ადამიანურ მასალას", ადამიანის, რომელიც მუხლამდე ძველი სამყაროს სიბინძურეში იდგა და გარყვნილი იყო ათასწლეულების მანძილზე მონობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ბატონობით

რეალურმა გამოცდილებამ საქმით დაამტკიცა, თუ რა გიგანტური გარდამქმნელი სამუშაოს შესრულება ძალუძს ამ უდიდეს „ადამიანურ მასალას", თუ კი რევოლუციური ქარიშხალი ააღელვებს და აამოძრავებს, დამოუკიდებელი პოლიტი-

კური ცხოვრებისათვის გამოაფხიზლებს ხალხის მასებს. რევოლუციის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, მართვა-გამგეობის ფორმების შეცვლა არ არის მაინცდამაინც ძნელი... „მაგრამ ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი პირობების გარდაქმნა, იმ ჩვეულებებთან ბრძოლა, რომლებითაც ასეული და ათასეული წლების მანძილზე იმსჭვალებოდა თითოეული წვრილი მეურნე, ეს ისეთი საქმეა, რომელიც ექსპლუატატორული კლასების სრული დამხობის პირობებში, მოითხოვს მრავალი წელი შეუპოვარ ორგანიზაციულ მუშაობას“[1].

უბრალო მაგალითითაც შეიძლება ნათელვყოთ, თუ რაოდენ კონსერვატულია ჩვევა, რაოდენ დიდია ინერციის ძალა: ოციოდე წლის წინათ შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში ფასების მასშტაბი. ორი ათეული წელი თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო ახალ ფასებთან შესაჩვევად. ამავე დროს უფროსი თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ბოლო დრომდე ძველებურად ანგარიშობდა. ამით ანგარიში ძნელდებოდა, კურიოზებიც კი ხდებოდა, მაგრამ ჩვევას თავისი გაჰქონდა. თუ კი ეს სავსებით უწყინარი ჩვევა ასე მტკიცედ შემორჩა ადამიანებს (თუმცა ჩამოყალიბდა სულ რაღაც 13 წლის განმავლობაში — 1947 წლის დეკემბრიდან, როცა გატარდა ფულის რეფორმა, 1961 წლის იანვრამდე), ადვილი წარმოსადგენია რა კოლოსალური სიმტკიცე ახასიათებს სხვა, უფრო სერიოზულ და არცთუ უწყინარ ჩვევებს, რომლებიც საუკუნეების, ხშირად კი ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა და კლასების ძირითად ინტერესებთან იყო დაკავშირებული, გამოხატავდა არსებობის პირობებს, — გაბატონებული კლასის ცხოვრების წესს — თავიანთი ბედნიერება აეგოთ სხვების უბედურებაზე.

ბუნებრივია, რომ თითქმის სოციალურ ინსტინქტებად ქცეული ჩვევები მეტად გამძლეა, მათი დაძლევა ადვილი არ არის. მსგავსი ჩვევებისა და ტრადიციების დაძლევას უდიდესი, შეიძლება ითქვას, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს არის სოციალისტური შეგნებულობის ბრძოლა ბურჟუაზიულ-ანარქისტულ სტიქიურობასთან, რომელსაც დღენიადაგ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 621.

წარმოშობენ წვრილმესაკუთრული მისწრაფებები. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ კომუნიზმი ჭეშმარიტად უძლეველი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც განმტკიცდება გამარჯვება წვრილბურჟუაზიულ ჩვეულებებსა და კერძომეურნეობრივ ჩვევებზე, საკუთარ ეგოიზმზე, ჩამორჩენილობასა და უწესრიგობაზე, როდესაც შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი სოციალისტური დისციპლინა და ძველი სამყაროსაგან მემკვიდრეობით მიღებული ფორმულის — „ყველა თავისათვის, ღმერთი ყველასათვის“ — მაგივრად ადამიანები ისწავლიან კომუნისტური, ესე იგი კოლექტიური ზნეობის ნორმების დაცვას. „კომუნიზმი, — წერდა ლენინი, — იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დაბ-ძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თითოეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის და სხვა პროდუქტების დაცვაზე, რომლებიც ხვდება არა მომუშავეებს პირადად და არა მათ „მახლობლებს“, არამედ „შორეულებს“, ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებას“[1].

კერძომესაკუთრული ტენდენციები, რომელთა წინააღმდეგაც გვიხდება ბრძოლა, გაცილებით ნაკლებ საშიშია მთელი საზოგადოებისათვის, ვიდრე ცალკეული პიროვნების ზნეობრივი სიჯანსაღისათვის. ანგარება, სიხარბე, სიძუნწე, რომლებსაც კერძომესაკუთრული მისწრაფებები ბადებენ, ამახინჯებენ ადამიანს, მის სულს, ანგრევენ პიროვნებას. ხდება ინდივიდის გარდაუვალი გაუცხოება საზოგადოებისაგან, უორმლისოდაც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სრულფასოვანი პიროვნება. მაშასადამე, საქართველოს კომპარტიის ბრძოლას კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ ღრმა ჰუმანისტური საზრისი აქვს, რადგან ადამიანის დასაცავად არის მიმართული. ეს არის ბრძოლა ადამიანის თავისუფლების, სულიერი შემართების, ზნეობრივი მშვენიერებისათვის, მისი შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის, რომლებიც შეიძლება ამოქმედდეს მხოლოდ საზოგადოებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც პიროვნება არ არის გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 29, გვ. 499—500.

ორებული, როდესაც არ არსებობს ნიღბის ტარების აუცილებლობა.

ნეგატიური მოვლენების, კერძომესაკუთრული მორალის მატარებლების წინააღმდეგ ბრძოლას განვიხილავთ, როგორც ახალი ადამიანის აღზრდისა და ფორმირების პროცესის შემადგენელ ნაწილს. რაც უფრო მაღლდება ჩვენი საზოგადოება თავის განვითარებაში, მით უფრო ვერ ეგუება კომუნისტური მორალის გადახრას. ამავე დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს აქტუალობა ვ. ი. ლენინის მითითებისა, რომ „მილიონების და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა, ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია, თუ არა გყავს რკინისებური და ბრძოლაში გამოწრთობილი პარტია, ისეთი პარტია, რომელიც სარგებლობს თავისი კლასის ყველა პატიოსანი ელემენტის ნდობით, თუ არა გყავს პარტია, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასის განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე"[1].

2. მასების სათავეში

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას წამყვანი ადგილი უკავია. ის ამ სისტემის ბირთვია. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის როლი კი არ მცირდება, პირიქით, მაღლდება. მისი ხელმძღვანელი როლის ზრდა უნდა მივიჩნიოთ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფასთან დაკავშირებული მეტად რთული ამოცანების წარმატებით შესრულების ერთ-ერთ პირობად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე კიდევ ერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება პარტიის წამყვან როლზე, იმაზე, რომ „ხალხის ავანგარდში მუდამ იყო და არის ლენინური პარტია, კომუნისტთა პარტია. დღეს იგი მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს საყოველთაო-სახალხო მოძრაობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. საამისოდ საჭიროა, რომ უახლესი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 35—36.

და პერსპექტიული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში ჩაებას თითოეული პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი.

„ყრილობისათვის მზადება, — ითქვა პლენუმზე, — მომავალი ანგარიშგება-არჩევნები ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებას და საბოლოო ანგარიშით — პარტიის ხელმძღვანელი როლის გადიდებას“[1].

სულ სხვაგვარად ესმით ეს საკითხი ბურჟუაზიის იდეოლოგებსა და რევიზიონისტებს. ისინი თვლიან, რომ პარტიის საქმიანობა თანდათან უნდა შესუსტდეს, შენელდეს. მათი აზრით, სკკპ გავლენის სფერო მეტისმეტად გაფართოვდა, მან, თითქოს, მოახდინა საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგის ხელმძღვანელობის „უსურპაცია“, მაშინ როდესაც ეკონომიკური და სოციალური საკითხები, თითქოს, უცხო უნდა იყოს პოლიტიკური პარტიისათვის. ისინი ფიქრობენ, რომ პოლიტიკური პარტიის ამოცანაა მთელი ყურადღება მიაპყროს მხოლოდ იდეოლოგიურ მუშაობას. ასეთმა დასკვნებმა არავინ არ უნდა გააკვირვოს: ბურჟუაზიის იდეოლოგები და რევიზიონისტები მუდამ აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ მუშათა კლასის პარტიებს, ილაშქრებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ კომპარტიები მუშათა კლასის იდეური ბელადებისა და პოლიტიკური ავანგარდის როლს ასრულებდნენ.

პოლიტიკური პარტია ინტელექტი და ნებისყოფაა იმ კლასისა. რომლის ინტერესებსაც გამოხატავს. პარტიის ძალა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, კლასის ბუნებაზე, რომლის ხორცი ხორცთაგანიც ის არის. პროლეტარულ პარტიებს, როგორც თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე და რევოლუციური კლასის პარტიებს, ამ მხრივ უდავო უპირატესობა აქვთ ბურჟუაზიულ პარტიებთან შედარებით. მათი სოციალური ბაზა გაცილებით უფრო ფართოა და ერთგვაროვანი.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1985 წლის 23 აპრილი, გვ. 21.

მუშათა კლასის ბუნებისაგან და შრომის პირობებისაგან მომდინარეობს მისი მიდრეკილება დისციპლინისა და ორგანიზებულობისაკენ, რაც აისახება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით პარტიის აგებაში. გარდა ამისა, კომუნისტური პარტიები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ პოლიტიკურად ყველაზე შეგნებული მუშათა კლასის წარმომადგენლებს, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებზე მაღლა დგანან იმით, რომ ხელმძღვანელობენ მეცნიერებით, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით.

ეს ღირსებები არ ყოფილა თანდაყოლილი მუშათა მოძრაობის და კომპარტიებისათვის. ისინი ჩამოყალიბდა თანდათან, კლასობრივი ბრძოლის პროცესში. მსოფლიო მუშათა მოძრაობა სწავლობდა წარსულისა და აწმყოს გამოცდილებას, გაკვეთილებს იღებდა საკუთარი გამარჯვებებისა და დამარცხებებისაგან და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნის მომენტს.

შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი პარტიის დაბადება დაკავშირებულია XX საუკუნის რევოლუციებთან, უპირველესად დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთან. ისტორიამ მრავალი სხვადასხვა პარტია გამოსცადა და თავისი არჩევანი შეაჩერა ლენინის პარტიაზე, რომელსაც ძალა შესწევდა ურთულესსა და უმძიმეს პირობებში გამარჯვება მოეპოვებინა და საქმით დაემტკიცებინა, თუ როგორი პარტია უნდა ჰყოლოდა მუშათა კლასს სინამდვილეში.

მსოფლიო სოციალიზმის მთელი პრაქტიკა დამაჯერებლად მოწმობს, ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა და წარმატებული ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური პარტიის წარმმართველი საქმიანობის პირობებში. ყოველი ახალი ისტორიული ეტაპის დადგომისას პარტიის ხელმძღვანელი როლი იზრდება.

ახალი ტიპის პარტიის თავისებურებები ჭეშმარიტად რევოლუციურ, მარქსისტულ-ლენინური პარტიების აგების ზოგად პრინციპებად იქცა. ყოველივე ამის შეგნება არის მსოფლიო რევოლუციური, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უძვირფასესი მონაპოვარი — დიდმნიშვნელოვანი შედეგი პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთი ფორმის ძიებისა, რომლის

აღმოჩენამაც ამ მოძრაობას საშუალება მისცა განვითარების ახალ საფეხურზე ასულიყო, რუსეთის პროლეტარიატს (ამჟამად სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების პროლეტარიატსაც) — შეესრულებინა თავისი ისტორიული მისია, დაემხო ექსპლუატაციის ძველი სამყარო და აეშენებინა ახალი სოციალისტური საზოგადოების საფუძვლები.

და მაინც, როგორი დიდიც უნდა იყოს პარტიის როლი, თავის ძალას ინარჩუნებს ლენინის დებულება, რომ ვერც ერთ რევოლუციას პარტია ვერ მოახდენს, რევოლუციას მხოლოდ ხალხი ახდენს.

ამ თეზისის მნიშვნელობა ურყევია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას, რადგან მარქსიზმ-ლენინიზმის თანამედროვე კრიტიკოსები ცდილობენ კ. მარქსი დაუპირისპირონ ვ. ი. ლენინს; კ. მარქსს ახასიათებენ როგორც ეკონომიკური ევოლუციის მომხრეს, რომელსაც სწამდა მასების თვითმოქმედება, ვ. ი. ლენინს კი წარმოგვისახავენ როგორც ბლანკისტსა და შეთქმულების მომხრეს. მათი აზრით, იგი, თითქოს, პარტიას კლასზე მაღლა აყენებდა, პარტიას და არა კლასს მიიჩნევდა ისტორიის მამოძრავებელ ძალად.

ამ ვითომ ძიებათა საპირისპიროდ ლენინური მოძღვრება პარტიაზე არსებითად ამდიდრებს საკითხის მარქსისტულ გაგებას, იგი მთლიანად ეყრდნობა მატერიალისტურ კონცეფციას, რომელიც საზოგადოებრივ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ხალხის მასებს მიაკუთვნებს. ამასთან, როგორც კ. მარქსი მიუთითებდა, რაც უფრო ღრმა და საფუძვლიანია გარდაქმნები, მით უფრო მნიშვნელოვანი და ფართოა მათს განსახორციელებლად მოხმობილი მასების შემადგენლობა. წინსვლითს საზოგადოებრივ-ისტორიულ მოძრაობაში ხალხის მასების როლის ზრდის ამ კანონს თვალსაჩინოდ ამტკიცებს XX საუკუნის რევოლუციათა მსვლელობა.

ჩვენი საუკუნის გამოცდილებამ დაამსხვრია გულუბრყვილო წარმოდგენები, თითქოს რევოლუცია არის პროცესი, რომელსაც ვერავინ ვერ მართავს და ვერ უხელმძღვანელებს, რომ ის წმინდა სტიქიურობის გამოხატულებაა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია რევოლუციის ხელოვნურად გამოწვევა, იგი ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგად უნდა მომწიფ-

დეს საზოგადოების წიაღში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები გულხელდაკრეფილი ისხდნენ და ელოდნენ... არც რევოლუციონერები, რევოლუციის მხურვალე მომხრეები, და არც რეაქციონერები, რევოლუციის ბრმა მოწინააღმდეგეები, არ რჩებიან უმოქმედოდ: პირველნი ყველაფერს აკეთებენ, რათა მოაახლოონ რევოლუცია, მეორენი კი — რათა თავიდან აიცილონ იგი.

უკლებლივ ყველა რევოლუცია (ტრიუმფით დამთავრებულიც და დამარცხებულიც) ადასტურებს, რომ ძლევამოსილი რევოლუციის გადამწყვეტი პირობა არის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულ ძალთა უნარიანი ხელმძღვანელობა, რევოლუციის დამარცხების მიზეზი კი — ხელმძღვანელობის უქონლობა ან სისუსტე. უფრო კონკრეტულად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ბევრი რამ (თუ ყველაფერი არა) იმაზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ ვერა პარტიები მოიპოვონ მასების ნდობა, მიიმხრონ ისინი. ვ. ი. ლენინი რევოლუციის წარმატებით განვითარების წანამძღვრების განხილვისას სხვა პირობათა შორის გამოყოფდა პროლეტარიატის ავანგარდის უნარს: „დაუკავშირდეს, დაუახლოვდეს... რამდენადმე შედუღდეს მშრომელთა უფართოეს მასას, უწინარეს ყოვლისა პროლეტარულ, მაგრამ აგრეთვე არაპროლეტარულ მშრომელ მასასაც“[1].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის მასები მუდამ იყო და არის ის წყარო, საიდანაც იგი ნიადაგ ძალებს იკრეფდა, რაც საშუალებას აძლევდა გაეძლო უმძიმესი განსაცდელისათვის, ღირსეულად დაეღწია თავი კრიტიკული სიტუაციებისაგან, შეესრულებინა ურთულესი ამოცანები. პარტიის ავტორიტეტის წყარო ის არის, რომ თავისი საპატიო ავანგარდული როლი მან ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მშრომელთა ინტერესების ზუსტად გამოხატვით მოიპოვა. ჩვენს პარტიას არ აქვს არავითარი სხვა მიზნები, გარდა იმისა, რომ ემსახუროს საბჭოთა ხალხს, დაიცვას მისი ინტერესები, ყველაფერი გააკეთოს საიმისოდ, რომ საბჭოთა ადამიანები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ მშვიდობისა და უსაფრთხოების ვითარებაში. მთელი ხალხის პარტიად მისი გადაქ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31. გვ. 10.

ცევა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საკვანძო კანონზომიერია.

ამავე დროს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არ დაუკარგავს კლასობრივი ხასიათი. სოციალური ცვლილებები, მუშათა კლასთან კოლმეურნე გლეხობის დაახლოების ინტეგრაციული პროცესი მას ხელს არ უშლის შეინარჩუნოს კლასობრივი გარკვეულობა. არსებითი ის არის, რომ თუმცა კლასობრივი განსხვავების გაქრობა მუშათა კლასის სოციალური პორტრეტის შეცვლასაც ეხება, მაგრამ ამასთან საბჭოთა გლეხობის სოციალური იერსახის სერიოზულ ცვლილებებსაც გულისხმობს.

სკკპ არა მარტო ინარჩუნებს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელის როლს, არამედ, როგორც ხაზგასმით აღინიშნა პარტიის ბოლო ყრილობებზე, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეს როლი კიდევ უფრო ძლიერდება. ეს, ბუნებრივია, ზრდის მომთხოვნელობას პარტიული მუშაობისადმი, ზრდის ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობას. „ჩვენ წარსულისა და აწმყოს გამოცდილებით კარგად ვიცით, — აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, — რომ საზოგადოების წამყვანი ძალის როლი თავისთავად როდი მოდის. ეს როლი უნდა დაიმსახურო, მოიპოვო მშრომელთა ინტერესებისათვის მუდმივი, დაუცხრომელი ბრძოლის მსვლელობაში. და ამ როლს განამტკიცებს ის, რომ პარტია დღენიადაგ აღრმავებს კავშირს ხალხის მასებთან, სულდგმულობს მათი საჭიროებებითა და საზრუნავით“[1].

პარტიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, მისი მტკიცე კავშირი მასებთან, მათთან შერწყმის უნარი, რაზეც ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი, სკკპ ურღვევი ერთიანობა საბჭოთა ხალხთან, რომელიც მუდამ მხარს უჭერს პარტიის გაბედულ წამოწყებებსა და გეგმებს, წარმატების მტკიცე გარანტიაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის, იდეოლოგიური მუშაობის ყველა სფეროში. რევოლუციისა თუ ინდუსტრიალიზაციის წლებში, კოლექტივისტურ საწყისებზე სოფლის სოციალისტურად გარ-

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 322—323.

დაქმნისას თუ პირველ ხუთწლედებში, ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს — ყველგან და ყოველთვის გამარჯვების საწინდარი იყო პარტიის ურღვევი კავშირი მასებთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გაუძღო იმ უმძიმეს გამოცდას, რაც პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს ხვდა წილად; მან კიდევ უფრო მტკიცე წრთობა მიიღო და დაადასტურა, რომ უფლებამოსილია იყოს პოლიტიკური ბელადი იმ გზისმკვლევი ხალხისა, რომელიც არ უშიხდება სიძნელეებს.

სკკპ წმინდად იცავს ვ. ი. ლენინის ანდერძს და გახუხრეელად ამტკიცებს მასებთან კავშირს, მეტ მრავალფეროვნებასა და მრავალმხრივობას ანიჭებს მას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ იღვწის იმისათვის, რომ ყოველმხრივ ამაღლდეს ბრძოლისუნარიანობა პარტიის ძირეული რგოლების, მისი პირველადი ორგანიზაციებისა, რომლებიც საქმიანობენ ცხოვრების შუაგულში, შრომითს კოლექტივებში — ჩვენი საზოგადოების უჯრედებში — და ახორციელებენ პარტიის მითითებებს, მის პოლიტიკას უშუალოდ უკავშირებენ მასების შემოქმედებას.

არაერთხელ აღინიშნა ხაზგასმით, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცების საიმედო გზაა ლენინური ნორმებისა და პრინციპების, ლენინური სტილის თანამიმდევრული დაცვა პარტიული კომიტეტების, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში. ეს ბრძოლითა და აღმშენებლობით არის გამოცდილი და დღესაც უმნიშვნელოვანეს ორიენტირებად გვეელინება. ამ პრინციპების საყოველთაო დანერგვა შესაძლებელია სწორედ იმიტომ, რომ ისინი არსებითად გამოხატავენ ჩვენი ლენინური პარტიის ხასიათს, ჩვენი წყობილების, სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებას.

საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილება ყურადღებას ამახვილებს სწორედ რესუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლის ამაღლების, მათი საქმიანი ავტორიტეტისა და პოლიტიკური პრესტიჟის ზრდის აუცილებლობაზე. ნეგატიურ მოვლე-

ნებთან უკომპრომისო ბრძოლამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩაუდგა სათავეში, მოიტანა დადებითი შედეგები, რომელთა საწინდარი იყო მომავალი მუშაობის სწორად შერჩეული ძირითადი მიმართულება.

ნაკლოვანებათა დაძლევა, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენა და განმტკიცება ჩვენს რესპუბლიკაში უმეტესწილად პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის მნიშვნელოვანი ზრდით არის განპირობებული. სწორედ აქ, პირველადს პარტორგანიზაციაში, დავიწყეთ ბრძოლა რესპუბლიკის ცხოვრების ბევრ სფეროში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და შეცდომების წინააღმდეგ, რადგან სწორედ აქ, პირველადს ორგანიზაციაში, იყო ჩვენს წინაშე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის გასაღები.

ეკონომიკის მიღწევების, სოციალურ და კულტურულ სფეროებში დადებითი ცვლილებების, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის განმტკიცების შედეგად შესაძლებელი გახდა არა მარტო რესპუბლიკის პრესტიჟის აღდგენა, არამედ მისი გადაქცევა უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტების პოლიგონად. ეს ექსპერიმენტები ითვალისწინებს აგროსამრეწველო კომპლექსების დანერგვას, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიური რევოლუციის მიღწევების გამოყენებას, სოციალური პროცესების მართვის მექანიზმის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და პროგნოზირების პრობლემების შესწავლას და სხვ., რაც ემსახურება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარის სრულყოფას. ყოველივე ეს გაკეთდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამიმდევრული მუშაობის მეოხებით, რომელიც დაჟინებით ისწრაფვის, რომ თითოეულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას შეეძლოს გავლენა მოახდინოს თავის კოლექტივში საქმის ვითარებაზე, იმოქმედოს ეფექტიანად და აქტიურად გაატაროს ცხოვრებაში პარტიის პოლიტიკა, რათა თითოეულმა კომუნისტმა იგრძნოს მაღალი პერსონალური პასუხისმგებლობა და გახდეს საერთო საქმის, ხალხის ინტერესებისათვის სამსახუ-

რის ნიმუში, პირნათლად შეასრულოს თავისი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია შრომითი კოლექტივის პოლიტიკური ბირთვია. მან უნდა შეძლოს ადამიანების დარაზმვა შრომის დისციპლინის მკაცრად დასაცავად, გეგმურ დავალებათა შესასრულებლად; მან უნდა აღზარდოს ძომჭირნე დამოკიდებულება საზოგადოებრივი სიმდიდრ ს მიმართ, შეურიგებლობა ყოველგვარი უყაირათობის, თვალის ახვევის, უწყებრიობისადმი. პირველადმა პარტორგანიზაციებმა სხვებზე ადრე უნდა შეამჩნიონ ინიციატივა, თაოსნობა და მხარი დაუჭირონ მათ. მათი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს გავრცელება და დანერგვა მეურნეობრიობის იმ ახალი მეთოდებისა, რომლებიც ემთხვევა ჩვენი ეკონომიკის განვითარებას და ხელს უწყობს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებას. კერძოდ, ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ ორგანიზატორულ მუშაობას შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის გასაცრცელებლად, კოლექტიური იჯარის დასანერგავად, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს.

პირველადი პარტორგანიზაციის ავტორიტეტი დამოკიდებულია ძირითადად კომუნისტთა საქმიან თვისებებზე, მათს უნარზე იყვნენ ნამდვილი ლიდერები კოლექტივის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში, მოწინავენი სოციალისტურ შეჯიბრებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობის ამაღლებას, მათი ავტორიტეტის ზრდას.

1981—1985 წლებისათვის შემუშავებული ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად პარტორგანიზაციათა მდივნები და უფრო მაღალი დონის ხელმძღვანელი კადრები სწავლობენ, ეცნობიან დადებითს გამოცდილებას. ამ საქმეს ემსახურება კადრების მომზადების რესპუბლიკაში მოქმედი სისტემა. მასში შედის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი, მუდმივმოქმედი კურსები.

1982 წლის აპრილში ჩატარდა პირველადი პარტიული ორ-

განიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური შეკრება, რომლის მონაწილეებმა გულახდილად გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება, გაეცნენ პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს.

ამასთან ერთად საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციისათვის დიდი მოვლენა იყო სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც 1983 წლის აპრილში ჩატარდა თბილისში. იგი პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა აქტუალურ ამოცანებს მიეძღვნა და დიდი ინტერესი აღძრა პარტიული მშენებლობის, შინაპარტიული დემოკრატიის, კომუნისტთა ავანგარდული როლის ზრდისა და სხვა საკითხებისადმი.

ყველა გამოსვლის ლაიტმოტივი ამ კონფერენციაზე, სადაც თავი მოიყარეს პარტიული მუშაობის პრაქტიკოსებმა და პარტიული მშენებლობის სპეციალისტთა თეორეტიკოსებმა, იყო იდეა, რომ განუხრელად უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობის როლი, ამასთან, საჭიროა პარტიის ავტორიტეტის, ყოველი პარტიული ორგანიზაციის, ყოველი კომუნისტის ავტორიტეტის შემდგომი განმტკიცება.

კონფერენციამ ცხადყო, რომ კოლექტივების წამყვანი ძალისა და პოლიტიკური ბირთვის — პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ყოველმხრივ ამაღლების კურსი, რასაც თანამიმდევრულად და განუხრელად ატარებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ბოლო ათიოდე წლის მანძილზე, მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა მუშაობაში. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კომუნისტებს, მშრომელებს პერიოდულად წერილებით მიმართავს რესპუბლიკის კომუნისტებს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის, ცხოვრების საბჭოთა წესის შემდგომი განმტკიცებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გამო. ეს პრაქტიკა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნორმად იქცა; იგი ყველა კომუნისტს უშუალოდ აზიარებს აქტიურ საქმიანობას, უმუშავებს მათ შეურიგებლობის გრძნობას ნაკლოვანებებისადმი, უმაღლებს

მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი, ააქტიურებს პარტიის პოლიტიკის გატარებაში.

ეს პრაქტიკა შინაპარტიული დემოკრატიის, გაფართოების, პარტიის წევრების ინიციატივის განვითარების, პარტიის ძირეული რგოლების როლის ამაღლების საერთო კურსის ერთ-ერთი ასპექტია. საბოლოო ანგარიშით, პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობაზე, იმაზე, თუ როგორ ხდება მათი რეზერვების მობილიზება და გამოყენება, დამოკიდებულია მთელი პარტიის ძალა და ქმედითობა. სწორედ შინაპარტიული ცხოვრების ნორმებია გადაწყვეტილებათა ფართო განხილვა, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, საჯაროობა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში, მთელი პარტიული მასის აქტიური მონაწილეობა პარტიის პოლიტიკის შემუშავებაში, განხილვაში და მკაცრი დისციპლინა მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

ჩვენში ბევრი რამ კეთდება ამ მხრივ. ხელსაყრელი პირობებია შექმნილი მასების ინიციატივის გამოსავლენად, ნოვატორობის მხარდასაჭერად, მუშაობის ყოველ კონკრეტულ უბანზე კომუნისტების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. მაგრამ მიღწევებით დაკმაყოფილება მათს დაკარგვას ნიშნავს. კომუნისტების პოლიტიკური შეგნების ამაღლება, თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავანგარდული როლის ზრდა განამტკიცებს და გააღრმავებს იმ დადებითს პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმატებულ წინსვლას.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ კომუნისტები საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში, გაიზარდა მათი ხელმძღვანელი როლი სოციალურ-კულტურული საქმიანობის ყველა სფეროში. პირველადი პარტორგანიზაცია მთელი ჩვენი პარტიული მუშაობის, შინაპარტიული ცხოვრების სარკეა. ამიტომ პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და ფორმების სრულყოფა ბოლოდებულია საიმისოდ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანთა საქმიანობის ოპტიმიზაციის პირობები, განვითარდეს მათი შემოქმედებითი ინიციატივა, გამოვლინდეს და გონივრულად იქნეს გამოყენებული ყველა რეზერვი, რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის საერთო წარმატება. როგორც ჩანს, აქ მთავარია ადამიანებთან

მუშაობის უნარი, მათთან დარაზმვის ხელოვნება, იმ შესაბამისი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომითი დისციპლინის განმტკიცებას, კოლექტივის თითოეული წევრის შრომითს განწყობას.

შეგნებული დისციპლინის ფორმირება, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების აღზრდა, კოლექტივში საქმისადმი სერიოზული განწყობის შექმნა არსებითად არის გადამწყვეტი პირობა, საფუძველთა საფუძველი შრომითი კოლექტივის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის, მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის მტკიცე გარანტიაა. პარტიული ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფა გულისხმობს ჩვენი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების გეგმებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულებას, პრაქტიკული შედეგების მიღწევას.

თანამედროვე პარტიულ ხელმძღვანელს, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი იქნება თუ უფროსი მაღალი დონის ხელმძღვანელი, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება პარტიის წინაშე თავის კოლექტივში საქმის ვითარების გამო. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად არა მარტო თანაბრად აგებს პასუხს მიღებულ საბოლოო შედეგებზე, არამედ ვალდებულიც არის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის პროცესს. თანამედროვე პარტიული ხელმძღვანელი, საწარმოს კოლექტივის პარტიული ლიდერი ვალდებულია ღრმად ფლობდეს ეკონომიკის პრობლემებს, უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ კატეგორიებს, ვინაიდან ამჟამად პარტიის პოლიტიკის მთავარი რგოლია ეკონომიკა.

3. დისციპლინა და პასუხისმგებლობა

ჭეშმარიტად გრანდიოზული და შთამბეჭდავია პარტიის მიერ მეთორმეტე ხუთწლედისათვის დასახული მიჯნები. ხუთწლედის მთავარი ამოცანა — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფა გულისხმობს სახალხო მეურნეობის შეუნელებელ განვითარებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მისი მიღწევების ფართოდ დანერგვის, მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების

ინტენსიფიკაციის საფუძველზე. საესებით ცხადია, ყველა ამ საქმეთა განხორციელებას უდიდესი მეცადინეობა სჭირდება. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები მოწმობს, რომ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია წარმატებით ესახამენ ხორცს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

მიღწეულია სერიოზული წარმატებები. თუ გავიხსენებთ რა მძიმე პირობებში უხდებოდა რესპუბლიკას ბრძოლა გეგმების შესრულებისათვის, ცხადი გახდება, რაოდენ მნიშვნელოვანია მიღწეულის ხვედრითი წონა. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს შედეგები, ისინი ვერ დაგვაკმაყოფილებენ. ხუთწლედის საკონტროლო ციფრები უფრო მეტს გვისახავენ მიზნად. საქართველოს კომუნისტებმა კარგად იციან, თუ რა რთული, დაძაბული იქნება ხუთწლედის დავალებათა შესრულება.

სოციალისტური ეკონომიკა საერთოდ და, კერძოდ, თითოეული წარმოება გეგმიან საფუძველზე ვითარდება. მაღალი ორგანიზებულობა და წესრიგი უცილობელი მოთხოვნაა, რომელიც გულისხმობს მკაცრ პასუხისმგებლობას, საშემსრულებლო კულტურას და კლასობრივ შეგნებულობაზე დაფუძნებულ სოციალისტურ დისციპლინას. დისციპლინის განმტკიცება, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება წარმოების ეფექტიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია.

ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. თუმცა რესპუბლიკაში წარმატებით იძირკვება ნეგატიური მოვლენები, ხოლო ზოგიერთი ნაკლი, რომელიც წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული, იშვიათადღა გვხვდება, მაინც არ ძეიძლება არ ითქვას, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად რჩება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ გაცდენების, მთელი დღისა და ცვლისშიგა მოცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო, ადმინისტრაციისა, რომელიც ზოგჯერ სრულიად გაუგებარ ლიბერალიზმსა და უნიათობას იჩენს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბოროტად არღვევენ ელემენტარულ დისციპლინას და შრომის განაწესს, სამუშაო დროის დანაკარგებმა რესპუბლიკის მრეწველობაში პროდუქციაზე გადაანგარიშებით საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა შეადგინა.

ბუნებრივია, ამასთან შერიგება ყოვლად დაუშვებელია და, თუ ჩვენ მივისწრაფვით შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, უპირველეს ყოვლისა, მთელი ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქმის ასეთი ვითარება ადრეც იწვევდა კანონიერ შეშფოთებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში არაერთხელ განუხილავთ შრომის დისციპლინის განმტკიცების და კადრების დენადობის შემცირების საკითხები. მიღებული იყო შესაბამისი ზომები, საბოლოოდ ყველგან ჩამოყალიბდა დისციპლინის მართვის ერთიანი მწყობრი სისტემა — დაწყებული ცენტრალური ორგანოებით და დამთავრებული შრომითი კოლექტივებით. საქართველოს პროფსაბჭოსთან შექმნილია რესპუბლიკური შტაბი, რომელიც სწავლობს ოპერატიულ ვითარებას, აანალიზებს შრომის დისციპლინის დარღვევის, კადრების დენადობის გამომწვევ მიზეზებს, იმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს შესაბამისი სამსახურებისათვის, რათა შრომითი რესურსები რაციონალურად იქნას გამოყენებული.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგების დიდი ნაწილი მოდის მთელი დღის და ცვლისშიგა მოცდენებზე და გამოწვეულია შეფერხებებით მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში და სხვა მსგავსი ფაქტორებით. ამრიგად, საქმე ეხება მიზეზებისა და შედეგების ისეთ შერწყმას, რომელსაც უბრალო ადმინისტრაციულ-დისციპლინური ჩარევა ვერ უშველის. აქ საჭიროა მძლავრი ეკონომიკური ბერკეტების ჩართვა და გამოყენება.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილების წიღების შემდეგ, როცა რესპუბლიკა ეკონომიკაში ჩამორჩენის დაძლევას, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრას მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას შეუდგა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის არსენალიდან დაუყოვნებლივ მიმართა ისეთ ნაცად იარაღს, როგორიცაა დისციპლინა. დისციპლინის განმტკიცება გახდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტისას პარტიული საქმიანობის მთავარი ღერძი.

ცხადია, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი კონ-

ტროლის ახლანდელი მწყობრი, განშტოებული და მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც მოქმედებს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე — დიდ საწარმოებში, აგრეთვე მცირერიცხოვან კოლექტივებში, ერთბაშად როდი შეიქმნა. ახლანდელი სახით იგი ჩამოყალიბდა სხვადასხვა ფორმის მრავალგზისი შემოწმების და ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის არჩევის შემდეგ. რა თქმა უნდა, ამჟამად მოქმედი სისტემა, ალბათ, დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ ეს ათვგან, რომლებიც გამოიცადა, ყველაზე უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა.

ამგვარად, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, კომუნისტთა ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები ბოლო ათი წლის მანძილზე მუდამ არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, საშემსრულებლო კულტურისა და პასუხისმგებლობის ამაღლების კურსის პრინციპულმა და თანამიმდევრულმა განხორციელებამ გახადა რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა. შრომითი გამარჯვებები იოლად როდი მოდიოდა. ამ შრომითი გამარჯვებების უკან დგას მიზანსწრაფული იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც პარტია გულმოდგინედ ატარებდა მასებში, ამიტომ შრომითი გამარჯვებები — ეს არის აგრეთვე უდიდესი ზნეობრივი გამარჯვებაც. ამასთან დაკავშირებით შეიძლება პირდაპირ მივუთითოთ იმ დიდ სახელმწიფოებრივ და ფსიქოლოგიურ ეფექტზე, რომელიც მოჰყვება დისციპლინის განმტკიცებას. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს სახალხო მეურნეობაში უკეთ წავიდა საქმე. დავძლიეთ მთელი რიგი ნეგატიური ტენდენციები. ამის მიღწევაში დაგვეხმარა ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა წარმოებაში, მართვის ყველა რგოლში და საერთოდ ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა უბანზე წესრიგის დამყარების, ორგანიზებულობის და დისციპლინის განმტკიცების მიზნით. აქ უხდა აღინიშნოს მეორე მხარეც. საქმე ის არის, რომ დამატებით თავისი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ გაუმჯობესდა ადამიანთა გუნება-განწყობილება. ჩვენმა ხალხმა მყისვე გამოიტანა სწორი დასკვნა, რომ მეტი წესრიგიც უკეთ ცხოვრებას ნიშნავს.

საბჭოთა ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებით შეძენილი გამოცდილება ფართო მასების კუთვნილება გახდა, იგი დაიხვეწა საზოგადოებრივ შეგნებაში, შეიძინა ძალა პოლიტიკური მიზანდასახულობების და ეთიკური ნორმებისა, რომლებიც დამკვიდრდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და რინტელიგენციის მასაში. ამაში ღრმად რწმუნდები, როცა ეცნობი თბილისის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მიმართვას, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა წამოწყებას, რომელთა სასურსათო პროგრამის განხორციელება ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების თითქმის ერთიორად გადიდებას; ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში შობილ მოძრაობას სანიმუშო დისციპლინისათვის, მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობისათვის; ანდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა მიერ დიმიტროველების თაოსნობის მხარდაჭერას და ა. შ.

სწორედ ეს გარემოება გვაძლევდა საშუალებას დაუყოვნებლივ და სრული ძალით მოგვეკიდა ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ჩვენ რაიმე საგანგებო მოსამზადებელი დრო არ გვჭირდებოდა გარდაქმნისათვის. საჭირო იყო ათი წლის წინათ წარმატებით დაწყებული საქმე მეტი ოპტიმიზმითა და დარწმუნებით გაგვეგრძელებინა. ჩვენი მზადყოფნა აიხსნება უბრალო და ამავე დროს ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტით, რომელიც აფართოებს სოციალიზმისათვის უცხო ანტიპოდური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის დიაპაზონს, საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის უფრო ღრმა ფაქტორებს და მოვახდინოთ მათზე მეტი პოზიტიური გავლენა.

რესპუბლიკაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა დღეს განსაკუთრებით სასიკეთო პირობებში ვითარდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგ ამ პროცესმა მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა. ეს მასშტაბურობა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის მიღწეულის განმტკიცების უტყუარი გარანტია და ახალი ინი-

ციატივის განვითარების მძლავრი სტიმულია. სწორედ ამ პირობების არსებობა უქმნის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ფართო სარბიელს.

იმისათვის, რომ წინ ვიაროთ და ახალ მიჯნებს მივაღწიოთ, საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის რანგში ავიყვანოთ ბრძოლა უყაირათობის, უდისციპლინობის გამოვლინებათა წინააღმდეგ. მიზანსწრაფულად უნდა მივაღწიოთ სამუშაო დროის დანაკარგების, მუშათა კადრების დენადობის შემცირებას, რაც პირდაპირ უბედურება გახდა ზოგი ადგილობრივი საწარმოსათვის. მარტოოდენ ადმინისტრაციული დასჯის ზომების გამოყენება, მხოლოდ ბრძანებები ვერ მოგვიტანს რამდენადმე სერიოზულ შედეგებს. ამგვარი საშუალებები, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ სულაც არ არის საკმარისი ხანგრძლივი წარმატებისათვის. მათ გარდა, ჩვენ უნდა ავამოქმედოთ საკუთრივ ეკონომიკური ბერკეტები, უფრო სრულად გამოვიყენოთ, მაგალითად, პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები, სამეურნეო ანგარიშურთიერთობა, სახელშეკრულებო ვალდებულებანი, ბრიგადული იჯარა და ა. შ.

სამეურნეო კადრების წინაშე დიდი და პრინციპულად ახალი ამოცანები დადგა. ეს მოითხოვს მათგან საქმის მიმართ თვისებრივად ახალ მიდგომას. დღეს მათ, როგორც პარტიულ ხელმძღვანელებს, არანაკლებ მოეთხოვებათ უზენაესი პარტიულობა და იდეურობა, ადამიანებთან მუშაობის უნარი, კომპეტენტურობაზე და პასუხისმგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ. მოთხოვნა, რომ აზროვნებდნენ ეკონომიკურად, თანადროულად, ორიენტირად ისახავდნენ ეფექტიანობას, ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღნიშნა: „ახლა საკმარისი აღარ არის მარტოოდენ გულმოდგინება, თუმცა ზოგჯერ მისი ნაკლებობაც იგრძნობა. სულ უფრო იზრდება ისეთი საქმიანი თვისებების მნიშვნელობა, როგორიც არის კომპეტენტურობა, ახლის გრძნობა, ინიციატივა, გაბედულობა და მზადყოფნა — იკისრო პასუხისმგებლობა, გამოიჩინო უნარი — დასვა ამოცანა და ბოლომდე გადაწყვიტო იგი, მუდამ თვალ-

თახედვის არეში იქონიო შეურნეობრიობის პოლიტიკური აზრი"[1].

კარგად არის ცნობილი, რომ სამუშაო დროის დანაკარგები და მუშახელის დენადობა ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლებია იმ ბრიგადებში, რომლებმაც შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების კოლექტიური ფორმა დანერგეს, განსაკუთრებით კი ეგრეთ წოდებულ კომპლექსურ გამჯელ ბრიგადებში, რომლებიც ერთიანი განაწესით, საბოლოო შედეგების მიხედვით ხელფასის განაწილების მეთოდით მუშაობენ. მაგრამ ამ ფორმას ჩვენში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. რესპუბლიკის მრეწველობაში ამგვარად ჯერჯერობით მუშათა 40 პროცენტზე ნაკლები მუშაობს, მაშინ როცა საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 10 პროცენტით მეტია. მაშასადამე, ჩვენ მოწინავე რეგიონებთან შედარებით საგრძნობლად ჩამოვრჩებით შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმებისა და საზოგადოებრივი წარმოების გაძღოლის მეთოდის გამოყენებაში.

საქმე მოითხოვს, რომ შეიქმნას ისეთი პირობები — ეკონომიკური და ორგანიზაციული, რომლებიც სტიმულს მისცემდა ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივას, თაოსნობას. და პირიქით, ცუდი მუშაობა, უნიათობა, უპასუხისმგებლობა ყველაზე უშუალოდ და გარდაუვალად უნდა აწდეხდეს გავლენას მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებაზე, სამსახურებრივ მდგომარეობაზე და მორალურ ავტორიტეტზე.

სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში მოწმობს, თუ რაოდენ დიდია თავისუფალი შრომის ძალა, რა შეუძლია ხალხს, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ იგი საკუთარი კეთილდღეობისათვის მუშაობს. წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში ეს შეგნება განსაკუთრებით მტკიცე უნდა იყოს, ვინაიდან საჭიროა, რათა მუშამ, მშრომელმა ადამიანმა გამოავლინოს თავისი ნიჭი, უნარი, ინიციატივა. ეს კი მოითხოვს მის დაინტერესებას. ამისათვის არსებობს ერთადერთი ნაცადი და უტყუარი გზა: უშუალო მწარმოებლის მდგომარეობა უნდა

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1985 წლის 23 აპრილი. — თბ., 1985, გვ. 25—26.

იყოს დამოკიდებული მის შრომაზე. ჩვენი საზოგადოებისათვისაც მართებულია ვ. ი. ლენინის დასკვნა, რომ „განაწილება არის წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საშუალება“[1].

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემის სრულყოფას, რომელზედაც დამოკიდებულია მუშაკის პირადი დაინტერესების გაძლიერება. მთელი თავისი მნიშვნელობით სადღეისო ამოცანაა უზრუნველყოთ ხელფასის მკაცრი დამოკიდებულება შრომის შედეგებზე, მის ხაყოფიერებასა და პირობებზე. დაუშვებელია, რომ ხელფასის ზრდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას უსწრებდეს. ამას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკაზე და ხალხის კეთილდღეობაზე, არამედ საგრძნობ ზიანს აყენებს საერთოდ სოციალურ სამართლიანობას და, კერძოდ, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ზნეობრივ მხარეს, როდესაც ადამიანები თავიანთ საწარმოო საქმიანობაში აშკარად უკეთეს შედეგებს აღწევენ და ამისათვის არ იღებენ სათანადო გასამრჯელოს, გასაგებია, რომ ისინი ამის გამო სამუშაოზე გულს იყრიან და სერიოზულად შრომითს ენთუზიაზმზე ზედმეტია ლაპარაკი.

თავისთავად ცხადია, დროით ნაკარნახევი მოთხოვნების შესრულება გულისხმობს უნარს — იჩენდე ინიციატივასა და გერგილიანობას ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის, სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებაში, შეუპოვრად და გაბედულად ნერგავდე წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეებს, მოწინავე ტექნოლოგიურ გამოცდილებას და სხვ. აქ ჯერ კიდევ ძლიერია ინერცია, ძველის ჩვევა. პრაქტიკოსები იშვიათად ბედავენ ექსპერიმენტებს, სწავლული ეკონომისტები კი, რომლებიც მათ უნდა ეხმარებოდნენ, დუმილს ამჯობინებენ. ჩანს, ბევრი მათგანი მეტისმეტად დაშორდა ეკონომიკური სიხამდვილის ცოცხალ, კონკრეტულ საკითხებს და ამიტომ ვერ გრძნობს მათი გადაწყვეტის გადაუდებელ საჭიროებას. დრო

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 572.

კი მოითხოვს დავუახლოოთ თეორია პრაქტიკას, ეკონომიკის მეცნიერება — განვითარებული სოციალიზმის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის უმწვავეს პრობლემებს. სწავლულმა ეკონომისტებმა თავს უნდა იდონ დაგროვილი პრობლემების ანალიზისა და განზოგადების ამოცანის გადაწყვეტა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ამრიგად, ცხოვრება მოითხოვს ამაღლდეს მშრომელთა აქტიურობა, მთელი ძალები მოხმარდეს საზოგადოებრივ საქმეს. ნაყოფიერი შრომის საწინდარს უპირველესად, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სრული წესრიგი, შეგნებული დისციპლინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნიადაგ ხელმძღვანელობს პრინციპით, რომელიც გამოთქმულია ვ. ი. ლენინის საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებში — სოციალიზმი ძლიერია მასების შეგნებულებით. მასების მხარდაჭერისა და თანადგომის მეოხებით პარტიამ დაამტკიცა, რომ ძალუძს დასძლიოს გაუგონარი სიძნელეები, შეძლოს შეუძლებელი. ასე ხდებოდა ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის ყველა გადამწყვეტ ეტაპზე, ფაშიზმის წინააღმდეგ დიად ბრძოლაში.

მსოფლიო ისტორიის მოძრაობის თანამედროვე პირობებში სოციალიზმი წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლეს, ყველაზე პროგრესულ ტიპს. დასძლია რა წინააღმდეგობები, რომელთა გადალახვა ვერ შეძლეს კლასობრივი ანტაგონიზმის, სხვისი შრომის მითვისების, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური ჩაგვრის საფუძველზე დამყარებულმა წინამავალმა საზოგადოებებმა, სოციალიზმი ქმნის მატერიალური წარმოებისა და სულიერი კულტურის ყველა სფეროს განვითარების უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს. ექსპლუატატორულ საზოგადოებათა პირობებში პროგრესისაგან გაუცხოებულ მშრომელ მასებს, რომელთა ინტერესებიც წინათ მსხვერპლად ეწირებოდა უმნიშვნელო პრივილეგიურ უმცირესობას. ახლა ფართო ასპარეზი ეძლევა საკუთარი ინიციატივის გამოსავლენად დამოუკიდებელი შემოქმედებისათვის.

არსებითი ის არის, რომ წარმოების სოციალისტური წესის უპირატესობა, საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკის გეგმიური ხასიათი ერთხელ და სამუდამოდ ავტო-

მატურად კი არ იძლევა სოციალიზმის უპირატესობის გარანტიას. უნდა გამოვლინდეს და ამოქმედდეს ის კოლოსალური შესაძლებლობები, რომლებიც ძევს ამ წყობილების ბუნებაში, დაფარულია მის წიაღში. ამ ამოცანის შესრულებას კი მშრომელი მასების გარდა ვერავინ ვერ იკისრებს. რაგინდ დიდი შესაძლებლობებიც ჰქონდეს საზოგადოებას, იგი ვერ შეძლებს მათს რეალიზაციას. თუ მასებმა არ იმოქმედეს შეუპოვრად, მტკიცედ, მიზანსწრაფულად. ამასთან დაკავშირებით გასაგები უნდა იყოს, თუ რა დიდი შესაძლებლობა არსებობს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებაში, მის სრულყოფაში უნდა ვხედავდეთ ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი პროგრესის ამოუწურავ რეზერვს.

სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი ღირსება, რაც საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფს მასში ობიექტურად არსებულ უპირატესობას კაპიტალიზმზე, ის არის, რომ იგი ფართო ასპარეზს აძლევს მასების აქტიურობას, თაოსნობასა და ნოვატორობას. ამ თავისუფლების დონე თანდათან მაღლდება: სოციალიზმის განვითარების კვალდაკვალ მტკიცდება მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების კოლექტივისტური საწყისები, იზრდება საზოგადოების ცხოვრებაში მასების სულ უფრო უშუალო და პირდაპირი მონაწილეობა როგორც წარმოების, ისე მართვის სფეროში.

ამასთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა სახის წინააღმდეგობები. შეცდომას დავუშვებთ, თუ არ შევნიშნავთ ჩრდილოვან მხარეებს, წარსულის გამოვლინებებს, ინერციის ძალას. მიღწეულის გაიდეალება საბოლოოდ მხოლოდ აბრკოლებს წინსვლას, ამუხრუჭებს ახლის გამარჯვებას. საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობათა რიცხვს განეკუთვნება ხარვეზები განაწილებით ურთიერთობებში, რაც გამოწვეულია განაწილების სოციალისტური პრინციპის დარღვევით. ამის შედეგია, რომ თავს იჩენს კერძომესაკუთრული ტენდენციები, მეშჩანური ფსიქოლოგია და მორალი. სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების გვერდით შეიმჩნევა უყაირათობა, ადამიანთა ერთი ნაწილის მისწრაფება, მოიწყონ კეთილდღეობა სხვების, საზოგადოების ხარჯზე. ყოვე-

ლოგე ეს მოითხოვს სერიოზულად სრულვყოთ განაწილებითი ურთიერთობანი, დავამყაროთ მტკიცე წესრიგი და დისციპლინა, გავაძლიეროთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა.

ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობა მიმართულია მთავარი მიზნისაკენ — ემსახუროს მშრომელ ადამიანს, მის ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებას, აღზარდოს მასში კომუნიზმის მაღალი იდეალების ერთგულება. თანამედროვე პირობებში ჩვენი საზოგადოების, მისი სრულყოფის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იდეოლოგიური მუშაობის ძირეული გაუმჯობესება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ითქვა, რომ „საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა შეუძლებელია, თუ არ შეიცვალა თვით ადამიანი. და ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს იმით, **რომ ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური მშენებლობის არა მარტო უმნიშვნელოვანესი მიზანი, არამედ აუცილებელი პირობაც არის**“[1].

პოლიტიკურ-მასპრივი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამგვარი გაგება, რომელსაც იგი არ დაჰყავს მხოლოდ და მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობამდე, ამდიდრებს, ბევრად მეტ ეფექტიანობას ანიჭებს მას. ამასთან, ეს მუშაობა გაცილებით საგნობრივი და შეუდარებლად პროდუქტიული ხდება.

ჩვენი რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის დადგენილებაში აღნიშნული ეკონომიკური და სოციალური განვითარების წარმატებები, პირველ რიგში, დაკავშირებულია რესპუბლიკის სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებასთან, პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტის ზრდასთან, დისციპლინის განმტკიცებასთან. პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ლენინური

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1983 წლის 14—15 ივნისი. — თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 32.

სტილისა და მეთოდების აღდგენით, დემოკრატიული საწყისების გაფართოებით, მასებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეძლო მიეღწია შრომითი კოლექტივების მიერ იმ ღონისძიებათა ფართო მხარდაჭერისათვის, რომელთა განხორციელებამ უზრუნველყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა.

სოციალიზმი და დემოკრატია

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „სახელმწიფო, ხელისუფლება ჩვენში, რუსეთში პირველად არის მსოფლიოში იმგვარად აგებული, რომ მხოლოდ მუშები, მხოლოდ მშრომელი გლეხები, ექსპლუატატორების გამოკლებით, შეადგენენ მასობრივ ორგანიზაციებს — საბჭოებს, და ამ საბჭოებს აქვთ გადაცემული მთელი სახელმწიფოს ძალაუფლება"[1]. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად საზოგადოებაში გაბატონებულ ძალად პროლეტარიატის გადაქცევა და მისი დიქტატურის დამყარება, არსებითად, მოასწავებდა დემოკრატიის მოპოვებას.

1. არ არსებობს სოციალიზმი დემოკრატიის გარეშე

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილება, დემოკრატიისა და დიქტატურის შეუთავსებლობის შესახებ ბურჟუაზიულ იდეოლოგთა მტკიცების საპირისპიროდ, ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური დებულების სისწორეს, რომ ხელისუფლებას კლასობრივი ხასიათი აქვს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რაგინდ დემოკრატიულიც უნდა იყოს მათი რეჟიმი, ყოველთვის ხორციელდება უმცირესობის უფლება უმრავლესობაზე, ექსპლუატატორებისა — ექსპლუატირებულებზე, ბურჟუაზიის კლასისა — მუშათა კლასზე, მშრომელებზე. ერთი სიტყვით, ხორციელდება ბურჟუაზიის დიქტატურა. იმის მიხედვით, თუ არსებობის რა კონკრეტული პირობებია, როგორია ძალთა თანაფარდობა, პირველ რიგში კი, გამწვავებულია თუ არა ძირითადი სოციალური წინააღმდეგობანი, ბურჟუაზია, თავისი მდგომარეობის სტაბილიზაციის

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 283.

მიზნით საზოგადოების მართვის განსხვავებულ, მათ შორის დემოკრატიულ, პოლიტიკურ ფორმებსა და მეთოდებს იყენებს.

ამასთან, ბურჟუაზიული დემოკრატიის დონე, მის ინსტიტუტთა ეფექტიანობა მშრომელთა მიერ საკუთარი უფლებებისათვის ხანგრძლივი, საუკუნეთა მანძილზე წარმოებული ბრძოლის შედეგია და არა გაბატონებული კლასის თავისუფალი ნების გამოვლინება. ეს არის, საბოლოოდ, იძულებითი დათმობები, რომლებზედაც ბურჟუაზია მიდის, რათა შეინარჩუნოს პოზიციები, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი რეალური საფრთხე დაემუქრება მის პრივილეგიურ მდგომარეობას, თვით მისი ბატონობის ფაქტს, ის მკვეთრად ცვლის მეთოდებს: მიმართავს სამხედრო გადატრიალებებს, პუტჩებს, რათა ძლიერმოქმედი საშუალებებით შეინარჩუნოს ძალაუფლება და განამტკიცოს თავისი ბატონობა.

XX საუკუნეში მრავლად არიან დიქტატორები: ჰიტლერები, სალაზარები, პინოჩეტები, შაპი პოლკოვნიკები და სხვები, ვისაც ძალაუფლების, თანაც თავისი, კერძო საკუთრების დაკარგვის შიშით თავგზადაბნეული ბურჟუაზია ანდობს ხელისუფლების საჭეს, ვინც მისთვის დასაყრდენი ხდება. მაგრამ ბურჟუაზიული კლასი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უშვებს ცერბერებს და მიმართავს მმართველობის აშკარად რეპრესიულ, ტირანულ მეთოდებს. უხეში ძალადობა თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი გაბატონებული კლასი იგრძნობს, რომ ნიადაგი ეცლება და მას ეკარგება ხვალინდელი დღის რწმენა. სხვა შემთხვევებში ბურჟუაზია კლასობრივი ინსტინქტის კარნახით ამჯობინებს არ მოახდინოს თავისი მთავარი კერძომესაკუთრული ინტერესების დასაცავად აუცილებელი დიქტატურის, თავისი პოლიტიკური ძალაუფლების აფიშირება, მოხერხებულად ნიღბავს მას ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით საერთოდ დემოკრატიის უპირატესობათა და საერთოდ დიქტატურის ნაკლოვანებათა შესახებ.

მუშათა კლასს არ სჭირდება ასეთი მანევრირება და სოციალური დემაგოგია. იგი ძალაუფლებას იღებს არა საზოგადოების სხვა რომელიმე კლასის დასამონებლად, არამედ, პირიქით, იმისათვის, რათა ყველა მშრომელი კლასის ინტერესების შე-

საბამისად მოსპო ექსპლუატაციისა და ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული, პოლიტიკური ჩაგვრის ყოველგვარი ფორმა. ამიტომ არ ეშინია მას სახალხოდ, საჯაროდ განაცხადოს, რომ მტკიცე ხელისუფლების, მუშათა კლასის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გარეშე მშრომელები ვერ შეძლებენ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებას, თავიანთი ინტერესების დაცვასა და სოციალიზმის აშენებას. სწორედ ამ ამოცანას ისახავს მიზნად პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე ამას აშკარად აცხადებდა და მუდამ მშრომელთა უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობდა. მშრომელებმა ცნეს იგი საკუთარ ხელისუფლებად, რომელიც „შესაძლებლობას აძლევს იმათ, ვისაც ჩაგრავდნენ, ამაღლდნენ და თვითონ სულ უფრო და უფრო აიღონ ხელში სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა, მეურნეობის მთელი მართვა-გამგეობა, წარმოების მთელი მართვა-გამგეობა“[1]. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო, იქცა ნამდვილი სახალხო ხელისუფლების გამოხატულებად, ესე იგი დემოკრატიად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მან ხელში აიღო საზოგადოების მართვა თვით საზოგადოების ინტერესთა შესაბამისად.

სოციალიზმი და დემოკრატია განუყოფელია ერთმანეთისაგან. სოციალიზმი ათავისუფლებს შრომას, სპობს ექსპლუატაციას, სოციალურ უთანასწორობას, ეროვნულ ჩაგვრას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ღრმად დემოკრატიულ საფუძველზე შენდება. ამიტომაც დემოკრატია, რაც ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს, ორგანულია სოციალიზმისათვის და ნამდვილად ამ საზოგადოების ბუნების ადეკვატური მმართველობის ფორმას წარმოადგენს. მაშასადამე, სოციალიზმი მასში პოტენციურად არსებულ უპირატესობას ახორციელებს დემოკრატიის მეშვეობით.

სოციალისტური დემოკრატია, ბურჟუაზიულისაგან განსხვავებით, კი არ იფარგლება სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებებისა და სხვა თავისუფლების ფორმალური გამოცხადებები, არამედ ამ თავისუფლებათა გარანტიას იძლევა. ამასთან

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 29, გვ. 284.

ერთად უზრუნველყოფს რეალიზაციას ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური უფლებებისა, როგორიც არის შრომის, განათლებისა და სხვა უფლებები. ერთი სიტყვით, სოციალისტური დემოკრატია მიზნად ისახავს ინდივიდების თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარების ყველაზე ოპტიმალური პირობების შექმნას. ეს გულისხმობს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების ჰარმონიულად შეხამებას. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში გარანტირებული შრომის უფლება ითვალისწინებს, რომ ყოველი მოქალაქე მოვალეა კეთილსინდისიერად იშრომოს; წარმოებისა და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობის უფლება შეთავსებულია მინდობილ საქმეზე პასუხისმგებლობის, საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტისა და სხვა შეგნების აუცილებლობასთან. საერთოდ, დემოკრატიული პრინციპების სრულყოფა, ხალხის თვითმმართველობის საწყისების განვითარება, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი ქვეყნის მართვაში მასების როლის გაძლიერება, ერთი სიტყვით, უფლებათა და უფლებამოსილებათა გაფართოება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოვალეობათა ზრდასთან, საწარმოო, სახელმწიფო და ყველა სხვა სახის დისციპლინის განმტკიცებასთან, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმათა დაცვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან.

სოციალიზმი წარმოუდგენელია უდემოკრატიოდ, ვინაიდან ის შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მილიონთა შემოქმედების შედეგი. არ არსებობს ასეთი საზოგადოების შემქმნელი სხვა ძალა იმ ხალხისა, რომელიც თავისუფალია ეკონომიკური ექსპლუატაციის, სოციალური ჩაგვრის, რელიგიური დაბეჩავებისაგან და მოწოდებულია შექმნას დამოუკიდებელი საქმიანობისა და ცხოვრების ახალი საზოგადოებრივი ფორმები. სოციალისტური საზოგადოება არ არის მხოლოდ სიბნელის, უვიცობის, მონობისა და ადამიანთა სოციალური ცხოვრების სხვა წარმავალი მახინჯი ფორმებისაგან თავისუფალი საზოგადოება. ის, პირველ რიგში, არის საზოგადოება, რომელიც გათავისუფლდა, რათა დაამკვიდროს ახალი ურთიერთობები ადამიანთა შორის, დამყარებული არა კერძო საკუთრებასა და ჩაგვრაზე, არამედ იმაზე, თუ რა არის თავად ადამიანი, რას

წარმოადგენს ის როგორც პიროვნება, როგორია მისი შრომითი წვლილი საერთო საქმეში, როგორ ემსახურება კოლექტივს. ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობების ცოცხალ ქსოვილს ვერ შექმნის ვერავითარი დეკრეტები, ინსტრუქციები, ზემდგომ ინსტანციათა მითითებები და დირექტივები. იგი შეიძლება იყოს საზოგადოების ყველა წევრის ყოვლისმომცველი, ყველაზე ენერგიული, სისტემატური და მასობრივი მოქმედების შედეგი. სწორედ ფართო მასობრივი ინიციატივის გამოსაელინებლად აუცილებელი პირობების შექმნა არის სოციალისტური დემოკრატიის უპირველესი და უმთავრესი ამოცანა.

სოციალიზმი თავიდანვე მყისეულად კი არ უზრუნველყოფს ყველა დემოკრატიულ პრინციპს. მაგალითად, ეს შეუძლებელი იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველ პერიოდში, როდესაც დამარცხებულ ექსპლუატატორულ კლასთა ნაშთები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. კლასობრივი ბრძოლა არ ნელდებოდა და მწვავედ იდგა საკითხი „ვინ ვის". საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ წაქეზებულ კონტრრევოლუციურ იატაკქვეშეთს კი ჯერ კიდევ ჰქონდა კაპიტალისტური წეს-წყობილების რესტავრაციის იმედი. ყოველივე ეს, ბუნებრივია, აისახა იმით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო — საბჭოები — 1924 წლის კონსტიტუციამ განსაზღვრა როგორც მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების საბჭოები. ხელისუფლების კლასობრივი კუთვნილების საცსებით ზუსტმა დახასიათებამ განაპირობა დროებითი საარჩევნო პოლიტიკური პრივილეგიები, რომლებითაც მუშათა კლასი სარგებლობდა და, შესაბამისად, შეზღუდვები, რომლებიც ყოფილ ექსპლუატატორებზე და მათ მსახურებზე ვრცელდებოდა.

1936 წელს მიღებულ კონსტიტუციაში საბჭოები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას და შეადგენენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძველს, უკვე დახასიათებულია, როგორც მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. ეს ფორმულირება ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში ამ მომენტისათვის მომხდარ დიდ სოციალურ ცვლილებებს, სახელდობრ, სოციალისტური მუშათა კლასის შექმნას, კოლმეურნე

გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის გაჩენას. ექსპლუატატორული კლასების გაქრობის, მეგობრული მშრომელი კლასების დაახლოების, მათი ინტერესების ერთობის შედეგად ზედმეტი გახდა საბჭოების მუშაობაში მათი წარმომადგენლობისა და მონაწილეობის დიფერენცირება.

გარდაიქმნა საზოგადოება, სოციალისტური წყობილება სულ უფრო მტკიცდებოდა, მან ჩააბარა უმძიმესი გამოცდა, გაუძლო ისტორიის გაუგონარ ტვირთს და დაამტკიცა თავისი ეკონომიკური ცხოველმყოფელობა, პოლიტიკური გამძლეობა, სოციალური დინამიკურობა. სოციალიზმის საბოლოო გაშარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში დაადასტურა XX საუკუნის სოციალური პროგრესის მიღწევათა შეუქცევადობა.

60-იან წლებში საბჭოთა კავშირი იწყებს განვითარებული სოციალიზმის საფუძველთა მშენებლობას. ჩნდება გიგანტური სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, რომელიც მთელ ქვეყანას მოიცავს. იქმნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისი მძლავრი ეკონომიკა, რომელიც ემყარება თანამედროვე მრეწველობასა და კოლექტიური სოფლის მეურნეობას. ხდება კლასთა შემდგომი დაახლოება, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათ შორის განსხვავება შეიძლება დაძლეულ იქნეს მომწიფებული სოციალიზმის ფარგლებშიც. მტკიცდება და ვითარდება საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ყოველივე ეს სათანადოდ იქნა ასახული საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციაში, რომელიც 1977 წელს იქნა მიღებული.

სოციალური სტრუქტურის შეცვლისა და სოციალური ერთგვაროვნების ზრდის შედეგად პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა. მოხდა პოლიტიკური სისტემის შემდგომი ევოლუცია. საბჭოები, რომლებიც გაჩნდა როგორც მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომლის შეშვეობითაც ხორციელდებოდა პროლეტარიატის დიქტატურა, ახლა მთელი ხალხის სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს და განისაზღვრება როგორც სახალხო დეპუტატების საბჭოები, საბჭოთა სახელმწიფო კი — როგორც „სოციალისტური საერ-

თო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს"[1].

ამრიგად, პოლიტიკური სისტემის განვითარება, რომელიც უშუალოდ საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დინამიკით არის გამოწვეული, განუხრელად მიდის სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური ბაზის გაფართოების გზით. ეს გარემოება გადამწყვეტ როლს ასრულებს იმ მიზეზთა გაგებაში, რომელთაც ისტორიულად განაპირობეს პროლეტარიატის დიქტატურის გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. ამ უმნიშვნელოვანესმა ცვლილებამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკურ ურთიერთობათა, პოლიტიკურ ნორმათა და წარმოდგენათა მთელ სფეროზე. მის სასიკეთოდ გავლენას კიდევ დიდხანს განიცდის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარე, იგი, რასაკვირველია, კიდევ ბევრ ცვლილებას გამოიწვევს თვით პოლიტიკის სფეროში.

ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში, როგორც აღნიშნეთ, მდიდრდება სოციალისტური დემოკრატიის შინაარსი, ქრება ისტორიულად დამკვიდრებული შეზღუდვები, უფრო მრავალფეროვანი ხდება სახალხო ხელისუფლების განხორციელების ფორმები. ოღონდ ეს პროცესი არ მიმდინარეობს თავისთავად, სტიქიურად, ავტომატურად. სოციალისტური დემოკრატია ვითარდება და იხვეწება. მას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, რადგან მისი დაუშრობელი წყაროა მასები, მათი შემოქმედება. ისინი უნდა ეზიარონ სახელმწიფო საქმეებს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მნიშვნელოვან პრობლემათა გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აიყვანოს საბჭოთა მოქალაქე, ყველა მშრომელი ავანგარდის დონემდე შეგნების, საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და თანამედროვე პოლიტიკის გაგების, სოციალური აქტიურობის მხრივ. ამ საქმეში, როგორც წინათ, უდიდესი როლი ეკუთვნის იდეოლოგიურ მუშაობას, სოცი-

---

[1] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია. თბ., 1977, გვ. 7.

ლისტური შეგნების შეტანას მასებში. ეს თავისი არსით ღრმად დემოკრატიული ამოცანაა.

ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, უფრო მეტი კეთდება. კომუნისტური პარტია წმინდად ასრულებს ლენინის ანდერძს, დიდ ყურადღებას უთმობს მასების თვითმოქმედების შემდგომი განვითარების, მათ უფლებათა გაფართოების, პოლიტიკური აზროვნების კულტურისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის შეგნების დონის ამაღლების საკითხებს. ამ თვისებების დანერგვა შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტული, ლექციური, საგანმანათლებლო მუშაობით. მათი შეძენა ხდება ხალხის უშუალო მონაწილეობით ქვეყნის მართვაში, პრაქტიკულ საქმიანობაში, რომელიც სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ამოცანის გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული. სხვაგვარად სოციალიზმი ვერ განმტკიცდება, რადგან, ვ. ი. ლენინს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი არის თვით ხალხის მასების ქმნილება“. ამიტომაც ყველაფერი, რაც ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას, ხელს უშლის სოციალიზმის განვითარებას; ყველაფერი, რაც ამუხრუჭებს ინიციატივას, ახშობს მასების გაქანებასა და ენთუზიაზმს, ჩვენი საზოგადოების შემდგომი სრულყოფის საქმესაც აფერხებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, პირველ ხუთწლედებში სოციალიზმს უნდა დაემტკიცებინა თავისი ეკონომიკური სისტემის ცხოველმყოფელობა, დინამიკურობა. ბურჟუაზიული პოლიტიკური მეცნიერება მაშინ იდეოლოგიური ფრონტის ამ უბანს უტევდა. მრავალჯერ იწინასწარმეტყველა მან, რომ ხუთწლიანი გეგმები უსაფუძვლოა, სოციალისტური ეკონომიკა უმწეოა, საბჭოთა ხელისუფლება კი თიხისფეხებიანი გოლიათია. კარგად არის ცნობილი, თუ რა სამარცხვინო ბედი ეწია ამ ბურჟუაზიულ „წინასწარმეტყველთ“.

ახლა, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, როდესაც ჩვენი ქვეყანა წარმატებით წყვეტს პოლიტიკური სისტემის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს, ბურჟუაზიული პროპაგანდა განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს, რათა ცილი დასწამოს სოციალიზმს და ანტიდემოკრატიულ, ტოტალიტარულ

წყობილებად წარმოადგინოს იგი. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ეს ცდებიც — დაამახინჯოს საქმის ნამდვილი ვითარება — ისევე სამარცხვინოდ დასრულდება, როგორც მისი ეკონომიკური „პროგნოზები“.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ ძლავრი ბაზა შექმნა დემოკრატიის განვითარებისათვის. თვით კონსტიტუციის მიღების პროცესი 1977 წელს, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო განხილვა, რაც წინ უძღოდა კონსტიტუციის მიღებას და ოფიციალურად ჩვენი სახელმწიფოს ძირითად კანონად გამოცხადებას, იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ უნდა ჩაებან მასები უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში. ეს პრაქტიკა ახლა ფართოდ დანერგილია და ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ნორმად არის გადაქცეული. კონსტიტუციის შემდეგ იმ კანონთა მიღება, რომლებიც მშრომელთა ძირითად ინტერესებს ეხება, საჭირო განხილვის საგანი ხდება, რათა კანონის საბოლოოდ ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნეს საბჭოთა ადამიანების წინადადებები და შენიშვნები. ასე იქნა მიღებული, მაგალითად, კანონები სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისა და შრომითი კოლექტივების შესახებ. საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის პროექტი. მსგავსი ღონისძიებები ნათლად ამტკიცებს რეალობას საბჭოთა დემოკრატიზმისა, რომლის შემდგომ სრულყოფაზედაც განუწყვეტლივ ზრუნავენ ჟარტია და სახელმწიფო.

სკკპ უურადღებით სწავლობს ყოველივეს, რასაც წარმოშობს ხალხის შემოქმედება, ყოველმხრივ უწყობს ხელს დემოკრატიის განვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის უშუალოდ წარმოებაში. ამრიგად, საქმე ეხება იმას, რომ რაც შეიძლება ფართო მასები იქნენ ჩაბმული საერთო-სახელმწიფოებრივ მუშაობაში, ასპარეზი მიეცეს ადგილობრივ ინიციატივას, შეიქმნას პირობები შრომითი კოლექტივების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, საზოგადოების ყოველი წევრის შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად.

პარტია არა მარტო მოუწოდებს საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებისაკენ, არამედ ისეთი კანონების მიღების სტიმულებსაც ქმნის, რომლებიც ამის აუცილებელ გარანტიას იძლევიან. სწორედ ამას გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, კანონები ადგილობრივი საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში მათ უფლებამოსილებათა გაზრდის, საბოლოო სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღებაში შრომითი კოლექტივების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ, რაც წარმოების მართვაში დემოკრატიულ საწყისთა შემდგომ განვითარებას მოწმობს.

საგრძნობლად გაფართოვდა საბჭოების უფლებანი და უფლებამოსილებანი. ახალი მოვალეობები დაეკისრათ მათ სხვადასხვა უწყებათა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის, რაიონის საწარმოებში საქმის ვითარების კონტროლის გასაძლიერებლად. ამასთან ერთად, მათ დიდი სტიმული მისცეს საბჭოებს სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმვასა და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ეფექტიანი ხელმძღვანელობის საინტერესო გამოცდილება დაგროვდა ჩვენს რესპუბლიკაში. საყოველთაოდ ცნობილია ამ მხრივ აბაშელთა და მახარაძელთა მიღწევები. „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ წარმოების მართვისას ისინი შემოქმედებითად მიუდგნენ დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების რაციონალური შეხამების საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის გაძლიერებას. ხაზგასმით არის მითითებული, რომ „ქალაქ ფოთში და ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონში ხორციელდება სახალხო დეპუტატთა საბჭოების მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების გაძლიერების კონკრეტული ფორმების ექსპერიმენტული ძიება. საბჭოების ალ-

მასკომებთან და მათს საგეგმო ორგანოებთან შექმნილია დარგთაშორისი ქვეგანაყოფები, რომლებიც ყურადღებას მიაპყრობენ მეურნეობის კომპლექსური განვითარების საკითხების გადაწყვეტას, წარმოების გეგმების შესრულების უზრუნველყოფას, ადგილობრივი რესურსების უფრო ფართო გამოყენებას, მოსახლეობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ჩვენი წარმატებები თვალსაჩინოა და უდავო. მათი უარყოფა არავის შეუძლია, მაგრამ მაღალი შეფასება, მოწინავე გამოცდილების განზოგადება კიდევ უფრო მეტს გვავალებს. პარტია გვასწავლის, არ უნდა გავაზვიადოთ მიღწევები, მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა წინსვლა, სიძნელეთა გადალახვა. სოციალისტური დემოკრატიის განვითარების გზაზე კი გვხვდება სიძნელეები და დაბრკოლებები, რომლებსაც აწყდება ცოცხალი ინიციატივა და შემოქმედებითი დამოკიდებულება. ესენია ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, ადამიანთა მოთხოვნილებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, საქმის გაჭიანურება, „ორგანიზაციული ზედმეტობა“ და სხვა. დიდი მოთმინება და გულმოდგინებაა საჭირო მათთან ბრძოლაში. უნდა გამოვნახოთ ახალი ფორმები და მეთოდები საბჭოთა დემოკრატიზმის განსამტკიცებლად, რომლის განვითარებაც ნიშნავს ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის საყოველთაოდ დამკვიდრებას და რომლისგანაც პერსპექტივაში უნდა აღმოცენდეს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შემცველი საზოგადოებრივი თვითმმართველობა.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, რომელიც გვავალებს, რომ დემოკრატიის შემდგომი განვითარების გზებსა და ფორმებს ვეძიებდეთ არა აბსტრაქტულად, არამედ ვიხელმძღვანელოთ ცხოვრებისეული მოთხოვნებითა და საჭიროებებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჭეშმარიტად ხალხის პარტია, თავად გვაძლევს ამის მაგალითს. იგი არის ხალხის ავანგარდი და მასთან მჭიდრო კავშირში პოვებდა და პოვებს თავის უძლეველობას. ლენინური იდეების ერთგული სკკპ ცენტრალური კომიტეტი თანამიმდევრულად ატარებს ცხოვრებაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს, შემ-

დგომ ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, სისტემატურად ზრუნავს მასების პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

პარტია დაინტერესებულია იმით, რომ ფართოდ გამოხატავდეს საბჭოთა ხალხის, ჩვენი საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, მუშების, კოლმეურნე გლეხობის და ინტელიგენციის ინტერესებს, უხსნიდეს ფართო ასპარეზს მათ თვითმოქმედებას. ამ მიზნების განხორციელების საიმედო გზაა პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების დაცვა, მუშაობის ლენინური სტილის თანამიმდევრული დანერგვა. ხალხთან ერთიანობის განსამტკიცებლად არსებობს გამოცდილი საშუალებები. პირველ რიგში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება გულისხმობს თვით შინაპარტიულ ცხოვრებას, ვინაიდან პარტია არის წამყვანი პოლიტიკური ძალა. ამ საქმეში მაგალითს გვაძლევს პარტია, უწინარეს ყოვლისა, შინაპარტიული მუშაობის ორგანიზაციით, შინაპარტიული ურთიერთობის მოწიფულობით, თვით პარტიული ხელმძღვანელობის სტილით. ამას, უდავოდ, ხელს უწყობს დამკვიდრებული პარტიულ გადაწყვეტილებათა ფართო განხილვა, საჯაროობა პარტიის მთელი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში. გარდა ამისა, მთელი პარტიული მასის აქტიური მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებასა და განხილვაში, მკაცრი დისციპლინა მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში ამ უმნიშვნელოვანეს მიზანს ემსახურება.

ხალხთან ერთიანობა ჩვენი პარტიის უდიდესი მიღწევაა. იგი მოპოვებულ იქნა მისი გმირული ბრძოლით, ხალხის ინტერესებისა და სოციალიზმის იდეალებისათვის კომუნისტთა უანგარო და თავგანწირული სამსახურით. ისტორია არ იცნობს სხვა პარტიას, რომლის პოლიტიკურ ლიდერობასაც ისეთი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოჰყოლოდა, როგორითაც ლენინის პარტიის მოღვაწეობა დაგვირგვინდა. ამან განაპირობა ის ავტორიტეტი და ნდობა, რომლითაც სარგებლობს პარტია საბჭოთა ხალხში.

სოციალისტური დემოკრატიის კრიტიკოსები ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ დემოკრატიამ აუცილებლად უნდა დაუშვას განსხვავებულ პოლიტიკურ პარტიათა არსებობა. ითი

მტკიცებით, იქ, სადაც არ არსებობს მრავალპარტიულობა, პოლიტიკური სისტემა არ შეიძლება დემოკრატიული იყოს. კერძოდ, ვინაიდან საბჭოური სახელმწიფოს არსებობის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ოპოზიციური პარტია, რომელიც მზად იქნება თავის ხელში აიღოს ხელისუფლების ხელმძღვანელობა, ეს, კრიტიკოსების აზრით, საკმაო საფუძველია, დასკვნისათვის, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში არ არის დემოკრატია, უფრო მეტიც, რომ დემოკრატია თითქოს საერთოდ შეუძლებელია სოციალიზმის დროს.

ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიის შინაარსი განისაზღვრება არა ხელისუფლებისათვის მებრძოლი პარტიების რაოდენობით, არამედ იმით, თუ როგორ იცავს ეს ხელისუფლება ხალხის ინტერესებს, როგორ პირობებს ქმნის ხალხის ნიჭისა და პოტენციალის გამოსავლენად, და ბოლოს, რამდენად ფართოა და მრავალმხრივი ადამიანთა მასების მონაწილეობა ჰეშმარიტად საერთო-სახალხო, საერთო-ეროვნული მასშტაბის მქონე გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და დამტკიცებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატიის შინაარსი განისაზღვრება ხალხის თვითმმართველობის განვითარების დონით. თუ ამ (ერთადერთ სწორ) საზომს მივმართავთ, ცხადია, საბჭოთა დემოკრატიის კრიტიკოსებს სათქმელი არაფერი დარჩებათ.

რაც შეეხება ერთპარტიულობის სისტემას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჯერ ერთი, სოციალისტური დემოკრატიის კრიტიკოსები განგებ „ივიწყებენ“, რომ საბჭოთა კავშირის გვერდით არსებობენ სოციალისტური ქვეყნები, სადაც ხელისუფლებას განაგებს რამდენიმე პარტია, რომლებიც მშრომელთა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს გამოხატავენ. ამრიგად, არავინ მარქსისტ-ლენინელთაგან, მათ შორის საბჭოთა კომუნისტები საბჭოეთის გამოცდილების აბსოლუტიზაციას არ ახდენენ, დაჟინებით არ მოითხოვენ მის ბრმად მიბაძვასა და სოციალიზმის მშენებელ სხვა ქვეყნებზე მექანიკურად გადატანას. სოციალისტურ ქვეყნებში განსხვავებულ პარტიათა არსებობა, მათი პოლიტიკური თანამშრომლობა იმაზეა დაფუძნებული, რომ ყოველ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს ახალი საზოგადოების მშენებლობის საერთო საქმეში,

ყოველი მათგანი, როგორც მშრომელთა გარკვეული ფენის ინტერესების გამომხატველი, რაზმავს მოსახლეობის შესაბამის ფენას სოციალისტური საზოგადოების საერთო ამოცანების შესასრულებლად.

ამასთან ერთად კრიტიკოსები განგებ „ივიწყებენ", რომ რუსეთის კომუნისტების „ბრალი" არ არის, რომ სხვაგვარად წარიმართა სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. არსებითად, ოქტომბრის რევოლუციამდელი რუსეთის ყველა დემოკრატიულმა პარტიამ უღალატა რევოლუციის საქმეს და მტრის ბანაკში გადაბარგდა. ვერც ერთმა ვერ გაბედა გაეზიარებინა ლენინის პარტიასთან ერთად ისტორიული პასუხისმგებლობა. მხოლოდ ერთადერთმა ჩვენმა პარტიამ კოლოსალური პასუხისმგებლობა იტვირთა. მხოლოდ და მხოლოდ ის გაუძღვა მასებს წინ თვითმპყრობელობაზე იერიშის ბოლომდე მისატანად, სათავეში ჩაუდგა სოციალიზმის მშენებლობას. შემდგომში მან გამოჭედა გამარჯვება დიდი სამამულო ომის ცეცხლოვან წლებში და ახლა წარმატებით ხელმძღვანელობს სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ამ თავისებურებას, რომელიც განსაზღვრულია მისი ქმნადობის კონკრეტული ისტორიული პირობებით, ყოველთვის იყენებდნენ პარტიათა სწრაფ ცვლას შეჩვეული ბურჟუაზიული იდეოლოგები საბაბად, რათა ანათემა გამოეცხადებინათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ანტიდემოკრატიზმი დაეწამებინათ მისთვის. დასავლეთის გაწაფული პროპაგანდა აქაც ყველაფერს თავდაყირა აყენებს: მას, რაც კომუნისტური პარტიის ძალასა და ღირსებას შეადგენს, მანკიერებად წარმოსახავს, რათა ბურჟუაზიულ პარტიათა სისუსტე და ეფემერულობა დემოკრატიის ნიმუშად გაასაღოს.

სკკპ უკვე მეშვიდე ათეული წელია, უცვლელად ხელმძღვანელობს საბჭოთა სახელმწიფოს. ვერც ერთი ბურჟუაზიული პარტია ვერ შეედრება ამ მხრივ ჩვენს ლენინურ პარტიას. მთელი ამ ხნის მანძილზე პარტიამ ხალხის უსაზღვრო ნდობა მოიპოვა. მისი ერთიანობა ხალხთან, კომუნისტთა და უპარტი-

ოთა ურღვევი კავშირი გაითავისეს საბჭოთა ადამიანებმა, მათი პოლიტიკური შეგნების უცილობელ ფაქტად იქცა.

კომუნისტური პარტიის — საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება. ის ახალ შემოქმედებითს ამოცანებს წყვეტს და წინანდებურად მასებს მიმართავს, მილიონთა გამოცდილებას იყენებს, თავის პოლიტიკაში მათ მუდმივ მხარდაჭერას ეყრდნობა. პარტიის ძლიერების წყაროა მისი კავშირი ხალხთან. სწორედ ამ კავშირის გაღრმავებისა და განმტკიცების საშუალებაა დემოკრატიის ყოველმხრივი გახვითარება, რაც სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის მძლავრ ბერკეტს, არსებითად, წინსვლის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

2. არასახელმწიფოებრივი, ხალხის მმართველობისაკენ

საბჭოებში გაერთიანებული ხალხი უნდა მართავდეს სახელმწიფოს, ამბობდა ვ. ი. ლენინი. ეს მოთხოვნა თანამიმდევრულად სრულდება ჩვენს ქვეყანაში. ბოლო მოწვევის ყველა რგოლის საბჭოების დეპუტატთა 40 პროცენტზე მეტი მუშაა, 29 პროცენტზე მეტი კოლმეურნე. დაახლოებით ასეთივე წარმომადგენლობა იყო საბჭოების წინა მოწვევის შემადგენლობაში. ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლება მშრომელებს ეკუთვნით. ამ ჭეშმარიტების სიცხადე არ თხოულობს კომენტარს, მაგრამ ლენინური პარტია არ კმაყოფილდება ამით. ის ახალ ამოცანებს სახავს, როდესაც სოციალისტური დემოკრატიის ქმედითობის გაზრდას მოითხოვს. ცხადია, ვის ხელშია ძალაუფლება, ესაა მთავარი. მაგრამ დღეს გაიზარდა იმის მნიშვნელობა, თუ როგორ ვიყენებთ მას. საკმარისი არ არის ვაღიაროთ, რომ ხელისუფლება მშრომელებს ეკუთვნით. საჭიროა, ხალხმა სრულად გამოიყენოს ძალაუფლება, უფრო აქტიურად ჩაებას საკანონმდებლო საქმიანობაში, მართვისა და კონტროლის პროცესში.

საბჭოთა სახელმწიფოებრიობის გადაზრდა საზოგადოებრივ თვითმმართველობად ხორციელდება საერთო-სახალხო სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზით, რაც

კონკრეტულად გულისხმობს მართვაში მშრომელების უფრო ფართოდ ჩაბმას, მათი პოლიტიკური შეგნების, პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებას. საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის ზრდა, რაც დაკავშირებულია სოციალისტური დემოკრატიული სისტემის ჯერაც ამოუწურავი რეზერვების გამოყენებასთან, ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის პოლიტიკური კულტურის მუდმივ სრულყოფას მოითხოვს.

სსრ კავშირი პირველად ისტორიაში გახდა საერთო-სახალხო სახელმწიფო. ბურჟუაზიული იდეოლოგები და რევიზიონისტები ამტკიცებენ, რომ, თუკი არსებობს და სანამ არსებობს სახელმწიფო, მას საერთო-სახალხოდ გახდომა პრინციპულად არ შეუძლიაო. ეს თითქოს ეწინააღმდეგებაო (სახელმწიფოს) მარქსისტულ გაგებას. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ კრიტიკოსების მსჯელობა მართლაც გასათვალისწინებელია. სახელმწიფოს წარმოშობის მთავარი მიზეზი ხომ საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფაა; უმცირესობას მესაკუთრეთა კლასი შეადგენდა, ხოლო უმრავლესობას კლასი, რომელსაც არ ჰქონდა თავის განკარგულებაში წარმოების საშუალებანი. ამიტომ საზოგადოების უმრავლესობა' იძულებული იყო კაბალურ დამოკიდებულებაში ეცხოვრა და უმცირესობის ინტერესებისათვის წელში მოღუნულს ეშრომა.

ეკონომიკურად რამდენადაც პრივილეგიური ჯგუფის ინტერესები მუდამ მუქარის ქვეშ იმყოფებოდა, წარმოიშვა საჭიროება მათი დაცვისათვის. სახელმწიფო ზუსტად ის ორგანიზაციაა, რომელიც იქმნება იმ მიზნით, რომ კერძო საკუთრება დაიცვას. მისი პირველი რიგის ამოცანა ისაა, რომ ექსპლუატატორულ უმცირესობას საიმედო ბურჯის სამსახური გაუწიოს და მის საარსებო ინტერესებს, ესე იგი საკუთრებას, ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინაიდან იგი კლასებს შორის ურთიერთობის რეგულირებას ახდენს, ეწევა ისეთი საკითხების რეგულირებას, რომლებიც მათი ყოფნა არ ყოფნის ფაქტს შეეხება.

ერთი შეხედვით სახელმწიფოს თითქოს შუამავლობა ევალება. მაგრამ ეს ფუნქცია, როგორც წესი, ხორციელდება აშ-

კარად ექსპლუატატორი უმცირესობის სასარგებლოდ ექსპლუატირებული უმრავლესობის გამოსვლების ჩახშობის მეშვეობით. ამიტომაც სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი ეჭვს არ იწვევს: ის გაბატონებული, ეკონომიკურად ძლიერი კლასის პოლიტიკური ორგანოა. გაბატონებული კლასი მისი მეშვეობით თავის ეკონომიკურ ბატონობას პოლიტიკური ბატონობით განამტკიცებს. ამიტომაც სახელმწიფო, არსებითად, წარმოადგენს ერთი კლასის დიქტატურას მეორის მიმართ. ექსპლუატატორული სახელმწიფოს დანიშნულებაა არა მხოლოდ დამორჩილოს მასები, არამედ მათი მონური მდგომარეობა სამარადისო გახადოს.

თუმცა მხოლოდ სახელმწიფოს როდი ეკისრება ასეთი როლი. ზედნაშენის ყველა ელემენტს შესაბამისი ფუნქციები აქვს. განსხვავება ის არის, რომ სახელმწიფოს რეპრესიული როლი ცხადად ჩანს. სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან (მაგალითად, პარტიასთან) შედარებითაც კი სახელმწიფო გამოირჩევა თავისი „მუსკულატურით", ძალადობის ორგანოებით. აქ გასაკვირი არაფერია — სახელმწიფო, თუ მოკლედ განვსაზღვრავთ მის არსს, იძულების აპარატია, აქედან გამომდინარე ხელისუფლების ყველა ატრიბუტითურთ, როგორიცაა არმია, საპყრობილეები და სხვ.

ამასთან, ყოველი ზედნაშენური მოვლენა, ეს იქნება სამართალი, მორალი, ხელოვნება, რელიგია თუ ფილოსოფია, მოწოდებულია ემსახუროს მოცემულ საზოგადოებრივ წყობილებას, დაიცვას არსებული წესრიგი, განამტკიცოს საზოგადოების არსებული მდგომარეობა იმ საშუალებებითა და ხერხებით, რომლებსაც ფლობს. ეს აშკარად ჩანს სამართლის სფეროში. იგი მოწოდებულია კანონების, ნორმების, დებულებების, სასამართლო ორგანოების, პროკურატურის საშუალებით მოაწესრიგოს საზოგადოების წევრთა ქცევა.

რაც შეეხება მორალს, ლიტერატურასა და ხელოვნებას, რელიგიას თუ ფილოსოფიას, წმინდა იდეოლოგიურ წარმონაქმნებს, რომლებიც, თითქოს, შორს დგანან პოლიტიკისაგან და რომლებისთვისაც, თითქოს, სრულიად უცხოა სახელმწიფოსა და სამართლის რეპრესიულ-დაცვითი ფუნქციები, ისინიც — რელიგიური ქადაგებით, ფილოსოფიური თეორიებით, ზნეობ-

რივი სენტენციებით თუ ლიტერატურული გმირების მეშვეობით — აყალიბებენ ისეთ საზოგადოებრივ შეგნებას, რომელიც უმთავრესად და ძირითადად უპასუხებს ეპოქის სულისკვეთებას და საზოგადოებრივი ცხოვრების არსებულ ყაიდას გახამტკიცებს.

რა თქმა უნდა, ზედნაშენის ელემენტები არ არსებობენ განცალკევებით. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგალითად, ლიტერატურა და ხელოვნება რელიგიის უძლიერეს გავლენას განიცდის (გავიხსენოთ, ვთქვათ, შუა საუკუნეების მხატვრობა), ასევე შეუძლებელია მათი წარმოდგენა ზნეობრივი პრობლემატიკის გარეშე (კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურა). ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ელემენტებშიც: სწორედ მათი ურთიერთგადაჯაჭვა შეადგენს მთლიან ზედნაშენს.

ამასთან, ყველაზე ძლიერია პოლიტიკის ზემოქმედება, იგი პირდაპირ იგრძნობა ზედნაშენის თითოეულ ნაწილში, რაც უნდა შორს იდგეს იგი პოლიტიკის გავლენისაგან. ეს გასაგებია. პოლიტიკა ხომ ყველაზე ახლოს დგას ეკონომიკურ ბაზისთან, უშუალოდ უკავშირდება მას, ყველაზე სწრაფად და მწვავედ რეაგირებს საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლის ყოველგვარ ცვლილებაზე. გარდა ამისა, იგი სხვა ზედნაშენურ მოვლენებზე უფრო ღრმად გამოხატავს ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ძირეულ ინტერესებს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც პოლიტიკა დაახასიათა როგორც ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება. პოლიტიკაში ყველაზე განზოგადებულად წარმოჩინდება ძირეული კლასობრივი ინტერესები, არა ჯგუფების, ვთქვათ, სამრეწველო მაგნატების, მემამულეების, ფინანსური წრეებისა და ა. შ., არამედ მათი, როგორც ერთიანი კაპიტალისტური კლასის წარმომადგენლების, საყოველთაო ინტერესები და ნებისყოფა.

მაშასადამე, ზედნაშენის თითოეული ნაწილი საზოგადოების ბაზისის განმტკიცებას ემსახურება, მაგრამ ამ საქმის ძირითადი სიმძიმე პოლიტიკას აწევს. იგი, ჯერ ერთი, ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას საკუთარი ბაზისის მიმართ და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ზედნაშენის სხვა ელემენ-

ტების ფუნქციონირებას, წარმართავს და კოორდინაციას უწ-ევს მათს განვითარებას. კერძოდ, მეტწილად პოლიტიკის სანქციით ხდება ამა თუ იმ ნორმატიული აქტის შემუშავება და მიღება, რაიმე ზნეობრივი პოსტულატის აქტუალიზაცია გარკვეული ფილოსოფიური თუ რელიგიური შეხედულებე-ბის და ა. შ. გავრცელება, ზოგჯერ პირდაპირ და უხეშად, ზოგ-ჯერ ჩუმი მხარდაჭერით და მოწონებით, ან აშკარა ძალდატა-ნებით და მოსყიდვითაც კი, ზოგჯერაც — დაპირებებით. ზე-მოქმედების მეთოდები საზოგადოებაში შექმნილ კონკრე-ტულ ვითარებაზეა დამოკიდებული.

ვისაც უნახავს, თუ როგორ აკეთებენ კასრს, ეცოდინება. რომ ფიცრების შესაკრავად გვერგვებია საჭირო. მათგან ყვე-ლაზე მტკიცე უნდა იყოს სალტე, რომელიც ერთმანეთთან აკავ-შირებს ფსკერს და წიბოებს. სიმტკიცე უნდა იზრდებოდეს შინაგანი წნევის ზრდასთან ერთად, რათა ჭურჭელი არ დაი-შალოს. ზედნაშენის ელემენტები, შეიძლება ითქვას, გვერ-გვების როლს ასრულებენ. მათი მოვალეობაა უზრუნველყონ საზოგადოებაში პროცესების მოცემული ტემპით ნორმალური მიმდინარეობა, არ დაუშვან მისი ფუნქციონირების რიტმის ჩავარდნა და რეჟიმის მოშლა. ზედნაშენში შემავალი თითოეუ-ლი ელემენტი — გვერგვი ამტკიცებს, აწესრიგებს, ადუღაბებს განსაკუთრებულ სფეროს, ყველანი ერთად კი ანდენენ მთლი-ანად სოციალური ორგანიზმის ცხოვრების წარმართვას და სტაბილიზაციას.

პოლიტიკის წამყვანი და წარმმართველი როლი პროლეტა-რიატის დიქტატურის ეპოქაში კი არ სუსტდება, პირიქით, ძლიერდება. ვ. ი. ლენინის შესანიშნავი ფორმულა — პოლი-ტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება — სწორედ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკისა და პოლიტიკის თანაფარდობის განზოგადების შედეგად შეიქმნა. მისი პოლი-ტიკური შინაარსის თვალსაზრისით, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი ახორციელებს საზოგადოების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ეს ისტორიული პერიოდი შეუძლებელია იყოს სხვა რამ, თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა.

აღნიშნული პერიოდის ფარგლებში ერთმანეთს ებრძვის ახალი და ძველი; დამხობილი, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნადგურე-

ბელი და ძალის მქონე ექსპლუატატორული კლასები ებრძვიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ცდილობენ აღადგინონ ძველი, რევოლუციამდელი წესები, ამიტომაც არის პროლეტარიატის დიქტატურა ყველაზე უკომპრომისო და დაუნდობელი ბრძოლა ძველ სამყაროსთან, რომელიც გააფთრებით ეწინააღმდეგება ახალს. ამასთან, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, პროლეტარიატის დიქტატურა არ არის მარტო ძალადობა, მისთვის ძირითადია არა ძალადობა მშრომელი უმრავლესობისა უმცირესობაზე. მხოლოდ რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში წამოიწია წინა პლანზე საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დათრგუნვის ამოცანებმა. სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქცია. რევოლუციის მეორე დღესვე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მან აღმშენებლობით-სამეურნეო საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

წლების განმავლობაში, სოციალიზმის საფუძვლების განმტკიცებასთან, საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შეცვლასთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურა თანდათან კარგავს დათრგუნვის ფუნქციას, რომელიც სახელმწიფოს განმასხვავებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში დათრგუნვის ფუნქცია განმსაზღვრელი აღარ არის და სამეურნეო ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს საქმიანობას უთმობს ადგილს.

ამ გადამწყვეტი ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სოციალისტური სახელმწიფო პრინციპულად განსხვავდება ადრინდელი ექსპლუატატორული სახელმწიფოებისაგან. ჯერ ერთი, იმით, რომ ის არის დიქტატურა უმრავლესობისა უმცირესობის მიმართ. უკვე ამით ვლინდება მისი ჭეშმარიტად დემოკრატიული ბუნება.

მეორე, ის გარემოება, რომ პროლეტარიატის დიქტატურა მშრომელი უმრავლესობის ხელისუფლებაა და მის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს, მოწმობს, რომ იგი არ არის მარტო ძალადობა ან პირველ რიგში ძალადობა; ის კისრულობს სამეურნეო-ორგანიზატორულ მოვალეობებსაც, რაც პირდაპირ გამომდინარეობს იმ კლასების ბუნებისაგან, რომლებიც თავი-

ანთ ხელისუფლებას ამყარებენ საზოგადოებაში. ექსპლუატატორთა უმცირეს ჯგუფს კი, რომელიც უშუალოდ წარმოებით საქმიანობას არ ეწევა, ძალაუფლება მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ დაიცვას თავისი პრივილეგიები, თავის საკუთრება. ეს უკანასკნელი მისი შრომით კი არა, უმრავლესობის შრომით არის შექმნილი.

შიშით შეპყრობილი უმცირესობა ერთიანდება და სპეციალურ მანქანას ქმნის, რომელმაც ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა კლასებს შორის ურთიერთობის რეგულაცია უნდა მოახდინოს. ამიტომაც ეს მანქანა თუ ორგანიზაცია წმინდა პოლიტიკური ინსტრუმენტია. მის ამოცანას შეადგენს კლასობრივი პრეტენზიებისა და კლასობრივი ურთიერთობების მოწესრიგების საშუალებებისა და მეთოდების ძიება და გამოყენება იმ კლასის ინტერესების შესაბამისად, ვისი წარმომადგენლობითი ორგანოც თვით მოცემული სახელმწიფოა.

სრულიად სხვა მისია აქვს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს. იგი წარმომადგენლობს კლასს ან კლასებს (მუშებსა და გლეხებს), რომლებიც თვითონ ქმნიან მატერიალურ დოვლათს. მათი საარსებო წყარო თვით მათი შრომაა. ისინი არ ითვისებენ სხვის შრომას. სახელმწიფოს, რომელიც იცავს და გამოხატავს მათ ინტერესებს, აუცილებლად უნდა გაუჩნდეს ახალი — სამეურნეო და ორგანიზატორული ფუნქციები, ამიტომ იგი, როგორც ვიწრო პოლიტიკური ორგანო (როგორიც იყვნენ ადრინდელი სახელმწიფოები) თანდათან კარგავს ძველ თვისებრიობას და იძენს ახალს.

თუ გავითვალისწინებთ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ძირეულ, თვისებრივ გარდაქმნებს, ცხადი ხდება მისი უპირატესობა: ის გვევლინება აღმშენებელ ძალად, მაშინ როდესაც ადრინდელი ისტორიული ტიპის სახელმწიფოების მთავარი ფუნქცია პოლიტიკური თვალსაზრისით ნგრევას გულისხმობდა, ვინაიდან არ აძლევდა გასაქანს ხალხის საზოგადოებრივ თვითმოქმედებას.

ექსპლუატირებულმა უმრავლესობამ პროლეტარიატის სახით თავისი განთავისუფლებისა და ექსპლუატაციის მოსპობისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოსპოს ექსპლუატატორული სახელმწიფო და შექმნას თავისი პოლიტიკური ხელი-

ხუფლება. ეს ხელისუფლება არ შეიძლება სხვა რამ იყოს, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა. ამ ძლიერ მოქმედ საშუალებას მუშათა კლასი მიმართავს განსაკუთრებული მიზნებით, რომ სოციალისტური რევოლუცია მიიყვანოს გამარჯვებამდე, მაგრამ ადრინდელი ექსპლუატატორული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო თავისთავს არ უკვდავყოფს. როგორც კ. მარქსი გვასწავლის, მისი ისტორიული დანიშნულება ისაა, რომ იყოს უკლასო საზოგადოების აშენების საშუალება.

ბურჟუაზიული და რევიზიონისტი კრიტიკოსები ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ, რომ, სანამ არსებობს სახელმწიფოს აუცილებლობა, ის უნდა დარჩეს კლასობრივ ორგანიზაციად, ვინაიდან, მარქსისტების გაგებით, თავისი არსით ის ხომ კლასის პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს. საერთო-სახალხო სახელმწიფო, მათი აზრით, შეუძლებელია, თუ გავიზიარებთ, რომ სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია და გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანოა. იქ, სადაც კლასები არ არის, ესე იგი არ არის პოლიტიკური ურთიერთობა, არ უნდა იყოს სახელმწიფო. თვით ცხება საერთო-სახალხო სახელმწიფო მათ მიაჩნიათ გაუგებრობად, ჰეშმარიტი მარქსისტებისთვის მიუღებლად, ვინაიდან ის თითქოს შეიცავს წინააღმდეგობას და უარყოფს სახელმწიფოს ძირითად პრინციპს — მის კლასობრივ ხასიათს. რეალური სოციალიზმის კრიტიკოსები (როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდანაც) უალრესად სწორხაზოვნად, დოგმატიკურად მსჯელობენ. ჯერ ერთი, ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ სოციალისტური კლასების თავისებურებას, მათ შორის მეგობრული ურთიერთობას და თანამშრომლობას. ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს არ ესმით, თუ რას წარმოადგენს საერთო-სახალხო სახელმწიფოს ტიპი, რომ ეს სახელმწიფო მუშების, გლეხებისა და იინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს. რომ მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

არსებობს თუ არა შეუსაბამობა ხალხის გამგებლობასა (საერთო-სახალხო სახელმწიფოსა) და მუშათა და გლეხთა ხელი-

სუფლებას (პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს) შორის?

საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც ჭეშმარიტად ხალხის გამგებლობას ნიშნავს, მის კლასობრივ ხასიათს არ გამორიცხავს და მას არა აქვს უკლასო, მით უფრო ზეკლასობრივი ბუნება. საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მთელი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველია, ასახავს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალ საფეხურს. სოციალიზმის თანამედროვე განვითარების ეტაპზე მასში კანონზომიერად გადაიზარდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო. იგი არ კარგავს თავის ამოსავალ კლასობრივ ბუნებას და თავისი საქმიანობის ხასიათით მუშათა კლასის სახელმწიფოდ რჩება. ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი და ფენა განვითარებული სოციალიზმის პირობებში მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციაზე იმყოფება. ბუნებრივია, რომ ანალოგიურ ცვალებადობას განიცდის პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტი. კერძოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გადაიქცა მთელი ხალხის პარტიად და ამავე დროს თავისი კლასობრივი ხასიათი არ დაუკარგავს, დარჩა მუშათა კლასის პარტიად.

საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია უკლასო საზოგადოების აშენება, რომელშიც საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა განვითარდება. თუ საერთო-სახალხო სახელმწიფო კომუნისტურ თვითმმართველობად უნდა გადაიზარდოს, მაშინ რატომ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი იზრდება, რომ ის არის ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა? ხომ არ უპირისპირდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როგორც წამყვანი ძალის როლის ზრდა სოციალისტური სახელმწიფოს თვითმმართველობის ორგანოდ გადაზრდის პერსპექტივას?

სწორედ ასე მსჯელობენ ბურჟუაზიული იდეოლოგები. მათ არ ესმით სოციალიზმის განვითარების თავისებურება და, კერძოდ, მისი პოლიტიკური სისტემის სრულყოფის დიალექტიკა. საქმე ის არის, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ამოცანების ხასიათი თვისებრივად ახალ მიდგომას, უზარ-

მაზარი ძალების კონცენტრაციას და მიზანდასახულ მართვას მოითხოვს. სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასთან ერთად მოხდება ჩვენი სახელმწიფოებრიობის თანდათანობით გადაზრდა საზოგადოებრივ თვითმმართველობად.

იმ ამოცანების ზრდის კვალობაზე, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგება სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ-აღმზრდელობითი ცხოვრების ყველა სფეროში — მაღლდება სუბიექტური ფაქტორის როლიც. ამავე დროს მეტისმეტად რთულდება ადამიანთა რესურსების გამოყენების, მილიონთა ენერგიის მობილიზაციისა და მისი გონივრული, მიზანმიმართული ხარჯვის ამოცანები. ყოველივე ეს განაპირობებს პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდას, რომელმაც თავისი თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობით უნდა უზრუნველყოს ჩვენი საზოგადოების გეგმაზომიერი პროგრესი. განვლილ ისტორიულ გზაზე მოპოვებული წარმატებანი და მიღწევები განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უნართან შეიმუშაოს სწორი გენერალური პოლიტიკური ხაზი და განახორციელოს იგი ცხოვრებაში.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის კონსტატირება არის მისი უდიდესი დამსახურების აღიარება და ნდობის გამოხატულება. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ფართო მასების პოლიტიკური თვითშეგნების ფორმირებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცება არა მარტო არ აფერხებს სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ თვითმმართველობად გადაზრდის პროცესს, არამედ, პირიქით, მის დაუბრკოლებლად გარდაქმნის მტკიცე გარანტიას ეძლევა. მოკლედ რომ ვთქვათ, პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა და სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება ერთიან, მთლიან, კანონზომიერ პროცესს წარმოადგენს. სახალხო ხელისუფლების განხორციელების ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი საშუალებების ძიებასთან ერთად დღეს მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადადის იმ ფართო უფლებათა სრულ და თანამიმდევრულ რეალიზაციაზე, რომლითაც აღჭურვილია საბჭოები,

მშრომელთა კოლექტივები, ჩვენი დემოკრატიული სისტემის ყველა არსებული რგოლი.

უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა თვისებრივად გაუმჯობესდეს პოლიტიკური სისტემის მუშაობა, დაძლეულ იქნეს ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი. ამ სისტემის სრულყოფის გზით, ე. ი. სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებით, მტკიცდება მყარი კავშირი ფართო მასებთან. სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება პირველ რიგში საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის აქტივიზაციას ნიშნავს. ცხოვრება გვიჩვენებს: რაც უფრო სრულად გამოხატავენ ადგილობრივი საბჭოები, პროფესიული კავშირები და ა. შ. მოსახლეობის ინტერესებს, მით უფრო იზრდება მასების პოლიტიკური შემოქმედება, მით უფრო აქტიურად ებმებიან ისინი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის საქმეში.

ეს საფუძველს გვაძლევს კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მოხდება თვითმმართველობაზე გადასვლა, როცა საზოგადოებრივი ორგანიზაციები იმ ფუნქციებს შეასრულებენ, რომლებიც დღესდღეობით სახელმწიფოს საქმიანობის საფუძველს შეადგენენ. ეს ნიშნავს ნამდვილ და სრულ სახალხო გამგებლობას. პრაქტიკულად ამას ემსახურება მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. პარტია იმისათვის ისწრაფვის, რომ ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური, სამეურნეო და კულტურული საკითხები განიხილებოდეს და წყდებოდეს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის უშუალო მონაწილეობით.

პარტიის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის კურსი, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია ხელისუფლების ორგანოთა ფორმირების მეთოდებზე. ეს, კერძოდ, ვლინდება სოციალისტური სახალხო ხელისუფლების განვითარებისა და სრულყოფის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში მშრომელი მასების უფრო მეტი თანამიმდევრულობით ჩაბმით, მათი პოლიტიკური აქტიურობის ამაღლების ნიშნით.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსა და საერთოსახალხო სახელმწიფოს შორის არსებობს მემკვიდრეობითობა.

ახალ ისტორიულ პირობებში საერთო-სახალხო სახელმწიფ.. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მისიას განაგრძობს. კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ პროლეტარიატი, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება და თავისი პოლიტიკური დიქტატურა დაამყარა, ძირითად ამოცანად ისახავს ამ ძალის გამოყენებით შექმნას კლასების გაქრობის ობიექტური პირობები და ააშენოს უკლასო საზოგადოება.

ახლა, როდესაც სოციალიზმი განვითარების ეტაპის დასაწყისში იმყოფება, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას უკვე დაეტყო თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც განიცადეს კლასებმა და სოციალურმა სტრუქტურამ საერთოდ. პრინციპულად სხვა გახდა მათი პოლიტიკური დამოკიდებულება, რაც თავის მხრივ გაელენას ახდენს პოლიტიკური სისტემის ხასიათზე. ამჟამად იგი გამოხატავს მეგობრული კლასების და ფენების ინტერესებს, ემსახურება მათს დაახლოებას და შეკავშირებას. ამ გზით წარმართავს პოლიტიკური სისტემა სოციალისტური საზოგადოების განვითარებას. კლასთა შორის ანტაგონიზმის ლიკვიდაციის შემდეგ მის წინაშე დგას ისტორიულად დიდმნიშვნელოვანი პრობლემა—დაძლიოს უმთავრესად და ძირითადად კლასობრივი განსხვავებები.

საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება, როშელშიც განვითარდება საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა. სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი ამოცანებია: განამტკიცოს განვითარებული სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულყოს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, აღზარდოს ახალი ადამიანი, აამაღლოს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

დიადი მიზნების განსახორციელებლად საჭიროა, რომ გათვალისწინებული იყოს ადამიანების, საზოგადოებრივი ჯგუფების, კლასების სპეციფიკური ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ დიადი მიზნები სოციალური ჯგუფების ინტერესების გამოხატულებას წარმოადგენენ (სხვა შემთხვევაში ისინი დიადი არც იქნებოდნენ), აუცილებელია მათი დაკონკრეტება, პრაქტიკულ პოლიტიკასთან სწორი დაკავშირება; ამის გარეშე შეუძლებელია იდეალების განხორციელება, სოციალური გარდაქმნე-

ბი. ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალისტური პოლიტიკა უნდა გამოდიოდეს იმ ინტერესებიდან, რომლებსაც „მოძრაობაში მოჰყავს ადამიანთა დიდი მასები, მთელი ხალხები, ხოლო თითოეულ ხალხში, თავის მხრივ, მთელი კლასები“[1].

ჩვენი სახელმწიფოს ჰუმანისტური მისია ისაა, რომ მისი, როგორც ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტის გამოყენებით ხდება საზოგადოების განვითარება, წინსვლა სოციალური ერთგვაროვნებისაკენ. ამ მიზნის მიღწევისათვის საჭიროა შესრულდეს დიდი მოცულობის სამუშაოები. ეს პირველ რიგში არის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული მართვის სისტემის შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

ამ ამოცანათა შესრულებისათვის პარტია მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს: შრომის პირობების გაუმჯობესებას, მის მეცნიერულ ორგანიზაციას, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირებას, ხოლო შემდეგ სრულ გამოდევნას საწარმოო პროცესებიდან კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ერთი სიტყვით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების გამოყენების საფუძველზე.

ეს არის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის დაახლოების გზა, კლასობრივ განსხვავებათა გაქრობისა და ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა, აგრეთვე გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების დაძლევის კურსი. სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულყოფა შეადგენს სოციალური პოლიტიკის შინაარსს და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას.

სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვის საგანია აგრეთვე ახალი ადამიანის აღზრდა, მტკიცე ინტერნაციონალისტის, პოლიტიკურად შეგნებული, საზოგადოებრივად აქტიური, კომუნიზმის იდეალების ერთგული, მეცნიერული მსოფლმხედველობით შეიარაღებული ადამიანის ჩამოყალიბება. ერთი სიტყ-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 21, გვ. 308 (რუს.).

ვით, ყოველივე იმის უზრუნველყოფა, რაც კულტურულ-აღ-მზრდელობით ფუნქციაში შედის.

სოციალური განვითარების მოთხოვნათა შესაბამისად კომუნისტური პარტია ისწრაფვის აამაღლოს მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური კულტურის დონე, აზიაროს ისიანი სულიერ ღირებულებებს, რათა საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოვლინებისა და გამოყენების, თავისი თავის ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა.

საბჭოთა კულტურის ერთიანობა და მრავალფეროვნება

1914 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ცხობილი სტატია „ველიკორუ'ების ეროვნული სიამაყის შესახებ". ექსპლუატატორული კლასების მიერ შეგნებულად გაღვივებული შოვინისტური განწყობილებების წინააღმდეგ მიმართული ეს ნაწარმოები მშრომელ მასებს და, პირველ რიგში, შეგნებულ პროლეტარებს მოუწოდებდა თავი არ მოეტყუებინათ მყვირალა ფრაზებით ეროვნულობისა და ეროვნული თავმოყვარეობის, სამშობლოსა და ეროვნული დამოუკიდებლობის სიდიადის შესახებ და ა. შ. ამის ქადაგებით პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელი იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ შეენიღბათ თავისი დამპყრობლური პოლიტიკა.

„საკუთარ", „თანამემამულე" მებატონეთა და კაპიტალისტთა მხარეზე გადაბარგებულ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ომამდელ ლიდერთა ღალატი მოწმობდა უდიდეს საფრთხეს, რომელიც საერთაშორისო რევოლუციურ მუშათა მოძრაობას ემუქრებოდა და ცხადყოფდა, თუ რაოდენ საჭირო იყო ამ ომის მიმართ მისი კლასობრივი პოზიციის მკვეთრად განსაზღვრა, პროლეტარიატის მიერ ეროვნული კუთვნილებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეგნება.

„ობორონცების" საწინააღმდეგოდ, რომლებმაც ეროვნულ ინტერესებს ანაცვალა სოციალურ-კლასობრივი ინტერესები, ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ „ველიკორუსების (არა მონურად გაგებული) ეროვნული სიამაყის ინტერესი თანაემთხვევა ველიკორუსი (და ყველა სხვა) პროლეტარების სოციალისტურ ინტერესს"[1]. სურდათ რა ცარიზმის დამარცხება და ყველა

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 115.

ლონეს ხმარობდნენ რა მისი აღსასრულის მოსაახლოებლად, ბოლშევიკებს ყველაზე ძეტად შესტკიოდათ გული მშრომელ მასებზე, რომლებსაც ექსპლოატატორები აბუჩად იგდებდნენ და არაადამიანურად ჩაგრავდნენ. ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ მათი ადამიანური ღირსების შელახვის, ძალმომრეობისა და მონობის სამყაროს წინააღმდეგ, რათა შეექმნათ „თავისუფალი და დამოუკიდებელი, თავისთავადი, თვითმყოფადი, თვითმყოფი, რესპუბლიკური, ამაყი ველიკორუსეთი", რომელიც თავის ურთიერთობას მეზობლებთან ააგებს თანასწორობის ადამიანურ პრინციპზე და არა პრივილეგიების ბატონყმურ დიდი ერის დამამცირებელ პრინციპზე"[1].

ლენინი გვასწავლიდა, რომ ეროვნული სიამაყის გრძნობას არ შეიძლება იწვევდეს ყოველივე ის, რაც „მშობლიურია", „სამამულოა" მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „ჩემია". ეროვნული სიამაყის ნამდვილი გრძნობა სამშობლოს, დედაენის, მშობელი ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული იმათი წილხვედრია, ვინც დეკაბრისტების მსგავსად თავს სწირავდა თვითმპყრობელობის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეს.

ის გარემოება, რომ ბოლშევიკები 1914 წელს „ობორონცები" არ გამხდარან და „სამშობლოს დაცვის" ლოზუნგის მხარდაჭერის ნაცვლად თავიანთ წმიდათაწმიდა საქმედ რევოლუციონერთა დარად ყოველგვარ ომში ცარიზმის დამარცხება მიიჩნიეს, სულაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს ისინი მოკლებული იყვნენ ეროვნულ სიამაყეს, პატრიოტიზმის გრძნობას და არ აწუხებდათ ეროვნული საკითხი. პირიქით, ცარიზმის დროს ხალხთა საპყრობილედ ქცეული მრავალეროვნული საბელმწიფოს პირობებმა განსაზღვრეს ამ საკითხისადმი ბოლშევიკების განსაკუთრებული ყურადღება.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ვ. ი. ლენინს ეკუთვნის ამ საკითხის შემდგომი თეორიული დამუშავების დაწყება. მის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული მწყობრი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო სკკპ პოლიტიკას ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში. ბოლშევიკები ყველაზე თანამიმდევრული რევოლუციონერები, იბრძოდნენ

---

[1] ვ. ი. ლენინი. ოხზ., ტ. 21, გვ. 115.

თვითმპყრობელობის დასამხობად, ბატონყმობის, შუასაუკუნეობრივობისა და კაპიტალისტური ექსპლუატაციის მოსასპობად, მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის, თავისუფალი შრომისათვის, ილაშქრებდნენ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელიც ჩაგვრის ყველა დანარჩენი ფორმის საფუძველია; მათი მიზანი იყო „მუშების ხანგრძლივი აღზრდა უსრულესი ეროვნული თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით“[1].

ამ საკითხში (ისევე როგორც ყველა სხვა პირნციპულ საკითხში) ისინი მარქსისა და ენგელსის ერთგულნი რჩებოდნენ და თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ მათი დებულებით, რომ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს“. შრომის განთავისუფლება ჩაგვრის ყველა სხვა სახის მოსპობის პირველსაფუძველი და წანამძღვარია. იგი ეროვნული საკითხის ჭეშმარიტად სრული და ნამდვილად თანამიმდევრული გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა. ამ საკითხის გადაწყვეტა მარქსისტ-ლენინელებს გაგებული ჰქონდათ და აქვთ როგორც ყველა ერისა და ხალხის სრული თანასწორუფლებიანობა, მათი შეუფერხებელი და ყოველმხრივი განვითარება.

დიდი ოქტომბრით დაიწყო ერთაშორისი ურთიერთობების თვისებრივად ახალი ეპოქა. სოციალიზმმა ფართო გზა გაუხსნა ერებისა და ეროვნული კულტურების ინტენსიურ განვითარებას. ამის განხორციელების რეალურ საწინდრად გვევლინება კულტურული რევოლუცია, რომელიც საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ორგანული ნაწილი იყო. ეს პროცესი არ მიმდინარეობდა სტიქიურად, სპონტანურად, ავტომატურად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ იყო და არის ამ პროგრესის მამოძრავებელი ძალა, რომელიც წინსვლას მაღალი ტემპით წარმართავდა და წარმართავს. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად მან თითქმის შეუძლებელი შეძლო. ჩვენმა ქვეყანამ შემჭიდროებულ ვადაში გადალახა კოლოსალური სიძნელეები, თავი დააღწია ჩამორჩენილობის მარწუხებს და არა

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 115.

მარტო დაეწია დასავლეთის ტექნიკურად განვითარებულ მოწინავე ქვეყნებს, არამედ ბევრ მათგანს გაუსწრო კიდეც. „სასწაული“ მოხდა საბჭოთა რესპუბლიკების მონოლითური ერთიანობის, მათი ინტერნაციონალური ძმობის, ყველა ადამიანის ერთობლივი კოლექტიური შრომის მეოხებით.

ბურჟუაზიული სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც კონკურენციის კანონით ძლიერის უფლება იმისათვის გამოიყენება, რომ საბოლოოდ დაასამაროს ჩამორჩენილი და მის ხარჯზე აღზევდეს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე განუხრელად ხორციელდებოდა ჩვენს დიად სოციალისტურ სახელმწიფოში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური დანაყოფების, ყველა ხალხის მატერიალური და სულიერი პოტენციალის სისტემატური ზრდის კურსი. სკკპ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ეროვნული განაპირა მხარეების რაც შეიძლება სწრაფად განვითარებას, არ შეიძლებოდა ნაყოფი არ გამოეღო. ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობენ ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარეები. ეს არის სოციალიზმის უღიდესი მონაპოვარი, რასაც, უწინარეს ყოვლისა, ბრძხულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას უნდა ვუმადლოდეთ. მოძმე საბჭოთა ხალხების და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ინტერნაციონალური დახმარების მეოხებით საქართველოს მშრომელებმა რესპუბლიკის ცხოვრებაში ძირეულ გარდაქმნებს მიაღწიეს; 1940 წლისათვის რესპუბლიკამ რეოლუციამდელ დონეს სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით გადააჭარბა ათჯერ და მეტად, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა — 2,5-ჯერ. ომისშემდგომ პერიოდში პროგრესი კიდევ უფრო სწრაფი იყო.

ამავე საწყის დონესთან შედარებით მისი სამრეწველო წარმოების მოცულობა 304-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობისა კი — 13,5-ჯერ გაიზარდა. ანალოგიურად ვითარდებოდა სხვა რესპუბლიკებიც. სამრეწველო წარმოების მოცულობა დროის იმავე ისტორიულ მონაკვეთში გაიზარდა, მაგალითად, უკრაინაში — 300-ჯერ, ყაზახეთში — თითქმის 100-ჯერ. უზბეკეთში — 428-ჯერ, სომხეთში — 1036-ჯერ.

ორი უკანასკნელი ხუთწლედით რომ შემოვიფარგლოთ,

ცვლილებები კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი ამ წლებში გაორკეცდა. ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში, ძირითადი საწარმოო ფონდები, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

შეიცვალა საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურა, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ყოფილი გლეხური განაპირა მხრიდან იგი ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად იქცა. მიღწეულმა დონემ შესაძლებლობა მისცა მას გაბედულად აეღო კურსი იმ დარგების უპირატესი განვითარებისაკენ, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავენ.

ამან, თავის მხრივ, ღრმა სოციალური ცვლილებები გამოიწვია. საკმარისია აღინიშნოს, რომ რევოლუციამდე სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო თვითმოქმედი მოსახლეობის დაახლოებით 80—85 პროცენტი. 80-იანი წლების დამდეგისათვის ეს მაჩვენებელი იმდენად შემცირდა, რომ სოფლის მეურნეობაში სატყეო მეურნეობასთან ერთად თვითმოქმედი მოსახლეობის 30 პროცენტზე ცოტა მეტია დასაქმებული.

ეკონომიკურ სიმძლავრეთა ზრდა, რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების უახლესი დარგების შექმნა, რომლებსაც საფუძვლად უდევს თანამედროვე ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, სათანადო სამეცნიერო პოტენციალსა და მის შემდგომ განვითარებას ითვალისწინებს. ჩვენი რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობის 90 პროცენტი 1939 წლისათვის წიგნიერი იყო, მთლიანად წიგნიერ რესპუბლიკად იქცა. ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, რომელთა რიცხვმაც 4.400-ს მიაღწია, 1 მილიონ 25 ათასი მოსწავლე სწავლობს (რევოლუციამდე საქართველოს 180 სკოლაში 157 ათასი მოსწავლე სწავლობდა), სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ 2 მილიონ 329 ათასი კაციდან უმაღლესი განათლება (1981 წლის მონაცემებით) ჰქონდა 298 ათასს. ამასთან, მათი აბსოლუტური უმრავლესობა რესპუბლიკის იმ 19 უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია, რომლებშიც ამჟამად 90 ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

არანაკლებ თვალსაჩინოა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებები. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით საერთოდ სსრ კავშირში დასაქმებულ მოსახლეობას შორის უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ჰქონდა 80,5 პროცენტს. შუა აზიის რესპუბლიკებსა და ყაზახეთში ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია, თურქმენეთში — 82,3, ხოლო უზბეკეთში — 84,6 პროცენტი. ასეთი ნახტომის წარმოსადგენად საკმარისია აღინიშნოს, რომ ახლანდელი უზბეკეთის ტერიტორიაზე რევოლუციამდე მხოლოდ 100-მდე მეცნიერი მუშაკი იყო. 1940 წელს უკვე 3 ათასი, ხოლო 80-იანი წლების დამდეგს მათი რიცხვი ათჯერ მეტად გაიზარდა და 36 ათასს მიაღწია. დაახლოებით ასეთი ტემპით ვითარდებოდნენ სხვა რესპუბლიკებიც. ეს პროცესი ტიპური მოვლენაა სოციალიზმისათვის და სწორედ ამიტომ არის იგი ესოდენ შთამბეჭდავი და მრავალმნიშვნელოვანი.

რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს, მათს ავტორიტეტს მოწმობს თუნდაც ის, რომ აკადემიკოსების ნ. ი. მუსხელიშვილისა და ი. ნ. ვეკუას შრომებმა დასაბამი მისცეს ქართულ მათემატიკურ სკოლას, აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის შრომებმა — ფიზიოლოგიის ქართულ სკოლას; დ. ნ. უზნაძის განწყობის თეორიამ ქართველ ფსიქოლოგებს მსოფლიოში გაუთქვა სახელი და ა. შ. აქ უნდა მოვიხსენიოთ მეცნიერ ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა, ენათმეცნიერთა, აღმოსავლეთმცოდნეთა მთელი პლეადა, რომელთა წვლილმა მეცნიერებაში დიდი ავტორიტეტი შესძინა ქართულ მეცნიერებას.

სოციალიზმი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ერების განვითარებისა და მათი კულტურების აყვავებისათვის ექსპლუატატორული წყობილების პირობებში გაუგონარ და სრულიად წარმოუდგენელ პერსპექტივებს სახავს. ცხადია, ახალ წყობილებას ერთბაშად არ შეეძლო სრული მასშტაბით განეხორციელებინა კულტურული მშენებლობის პროგრამა. გარკვეულ მომენტამდე მთავარი ყურადღება ეთმობოდა სოციალისტური ეკონომიკის შექმნას,

რომელიც ამავე დროს ფართო გაგებით სოციალისტური კულტურის საძირკველს შეადგენდა.

თავისი განვითარების ახლანდელ ეტაპზე, სიმწიფის საფეხურზე სოციალიზმი, რომელსაც მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს, კომპლექსურად წყვეტს ამოცანებს და შესწევს უნარი უზრუნველყოს ერების ნამდვილად ყოველმხრივი განვითარება. საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების ეკონომიკურ დონეთა გათანაბრება და სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების არნახული კულტურული ზრდა, დადებითს გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, ერების ინტენსიურ განვითარებაზე, მათი თავისთავადი კულტურების აყვავებაზე, ეროვნულ თვითშეგნებაზე, მეორე მხრივ, იმ ტენდენციების გაღრმავებაზე, რომლებიც მათი დაახლოების პროცესს განაპირობებენ.

განაზოგადებდა რა ამ პროცესებს, პარტია მიუთითებდა, რომ ერების ყოველმხრივი განვითარება ამავე დროს უნდა განვიხილოთ როგორც ნაყოფიერი საფუძველი ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთშესაღწევად, „...თითოეული ჩვენი რესპუბლიკის ინტენსიური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, — აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, — აჩქარებს მათი ყოველმხრივი დაახლოების პროცესს“. ეროვნული აყვავება, კულტურების ურთიერთგამდიდრება და, მაშასადამე, დაახლოება ერთდროულად მიმდინარეობს, ერთმანეთს ავსებს. ამრიგად, ერებისა და, პირველ რიგში, მათი ეროვნული კულტურების ყოველმხრივი განვითარება იწვევს არა განკერძოებასა და იზოლაციას, არამედ, პირიქით, აძლიერებს შემოქმედებითს ურთიერთზემოქმედებას და აჩქარებს მათი დაახლოების პროცესს. აღნიშნავდა რა ამ პროცესის დიალექტიკურ ხასიათს, ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ საჭიროა „ნიადაგ ვეძებოთ ერებისა და ეროვნებების ერთაშორისი ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების, ყოველნაირი სრულყოფის, მათი ინტერნაციონალური შეკავშირების, აყვავებისა და დაახლოების — აყვავების საფუძველზე მათი

დაახლოებისა და დაახლოების საფუძველზე აყვავების ახალი გზები"[1].

სულ სხვაგვარად აფასებენ ამ ტენდენციებს ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი. ახლო წარსულში ბურჟუაზიული იდეოლოგები ყველა გზაჯვარედინზე გაჰყვიროდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ გახხორციელებული პოლიტიკა მხოლოდ რუსეთის ინტერესებს შეესაბამება და უგულებელყოფს სხვა ერებისა და ეროვნებების წარმომადგენელთა მოთხოვნებსო, რომ არარუსული კულტურების ნიველირება რუსული კულტურის სასარგებლოდ აღრე თუ გვიან მათს ასიმილაციასა და სრულ გაქრობას გამოიწვევსო.

ეროვნული კულტურების აყვავების, ეროვნული თვითშეგნების ზრდის ფაქტისა და იმის გამოც, რომ საბჭოთა კულტურა მრავალეროვნულია და ამ თვალსაზრისით მისი ინტერნაციონალური ხასიათი უდავო ხდება, ანტიკომუნისტები სულ უფრო ნაკლებად ქადაგებენ „რუსიფიკაციის" საფრთხის შესახებ. ბოლო დროს ისინი ამჯობინებენ ილაპარაკონ იმ საფრთხის თაობაზე, რომელიც თითქოს რუსულ კულტურას ემუქრება სლავური სულისკვეთებისათვის უცხო ეთნოკულტურების მხრივ. მათ არ ესმით და არც უნდათ გაიგონ, რომ საბჭოთა სოციალისტური კულტურა შინაგანად ინარჩუნებს ინტერნაციონალურ შინაარსს თვითმყოფად ეროვნულ ფორმაში.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდისტებს არ აწუხებთ ის, რომ მათი პროგნოზები არ მართლდება, რომ ისინი წარამარა ეწინააღმდეგებიან თავიანთ თავს. მათ არ ანაღვლებთ ხალხებისა და ეროვნული კულტურების ბედი, რომელთა ქომაგებადაც ცდილობენ გაასაღონ თავი. მათ არ აინტერესებთ ჭეშმარიტება. მათი მოწოდებაა ფალსიფიკაცია, რის მეშვეობითაც ცდილობენ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის აღორძინებას, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა ხალხის შემდგომ კონსოლიდაციას.

გარდა ამისა, ეგრეთ წოდებული „რუსიფიკაციის", ეროვნული კულტურების „დათრგუნვის", ერების გაქრობის პროპა-

---

[1] საქართველოს კომუნისტი, 1984, № 7, გვ. 14.

განდისტული „საქონელი“ განკუთვნილია აგრეთვე, შესაძლოა უფრო მეტადაც, კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო ბაზრისათვის, თავიანთი ობივატელობის მოსახმარად. მასების თვალში სოციალიზმისათვის სახელის გატეხის მიზნით ბურჟუაზიული პრესა ცდილობს დააჯეროს მკითხველი, რომ სოციალისტურ, განსაკუთრებით მრავალეროვნულ ქვეყნებში ეროვნულ უმცირესობათა მომავალი ისეთივეა, თუ გაცილებით უარესი არა, როგორც დასავლეთ სამყაროში. ასეთი ხერხებით იგი თავისას ესწრაფვის: არა მარტო შთააგონოს სოციალიზმისადმი ანტიპათია, არამედ თავისი ობივატელი კიდევ უფრო მომთმენი გახადოს იმ ჩვეულებრივი და თვალშეჩვეული „უხერხულობისადმი“, რომლებიც შეიძლება პროტესტის წყაროდ იქცნენ.

მაგრამ ასეთი ფორმულა — „ჩვენზე უკეთ არც მათ აქვთ საქმე“ (თუ უარესად არა) — შეიცავს თავიანთი არაკეთილდღეობის აღიარებას (მართალია ხშირად არცთუ აშკარად). კაპიტალისტურ სამყაროს არ ძალუძს დაფაროს, რომ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი მომხვეჭელობას ემორჩილება და ძარცვა-გლეჯაზეა დაფუძნებული, ეროვნული საკითხის გადაჭრა შეუძლებელია, ან მისი „გადაწყვეტის“ ერთადერთი გზაა ასიმილაცია. ეს ნათლად ვლინდება ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, რომელთა არსებობას კაპიტალისტურ სამყაროში თავიანთ თავისთავად კულტურებთან და დედაენასთან ერთად გაქრობა ემუქრება.

ყველაზე მდიდარი და ეკონომიკურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებსაც თავი მოაქვთ თავიანთი დემოკრატიზმით და ადამიანის უფლებებზე ქადაგებენ, არავითარ საესრებს არ გამოყოფენ ეროვნულ უმცირესობათა მხარდაჭერისა და განვითარებისათვის, მათი კულტურული დაწესებულებებისა და სკოლების დასაფინანსებლად. უფრო მეტიც, ხშირად ამ ხალხთა წარმომადგენლებსა და მათს კულტურას დამახინჯებულად, განზრახ პრიმიტიულად წარმოადგენენ. კულტურული გენოციდის ამგვარი გამოვლინებანი თითზე ჩამოსათვლელი როდია.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე სრულიად სხვაგვარად წარიმართა მცირე ხალხების

ბედი. თავისი არსებობის ყველაზე ძნელ, შიმშილობის წლებში. როცა ქვეყანას ბევრი აუცილებელი რამ აკლდა, საბჭოთა სახელმწიფომ მართლაც რომ სასწაულებრივად გამოხახა ძალები, რათა დაეცვა და გადაერჩინა ეროვნული უმცირესობანი, მხარი დაეჭირა მათთვის ომის მიუხედავად, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი — უკიდურეს ჩრდილოეთში, შორეულ აღმოსავლეთში, შიდა რუსეთში თუ მის განაპირა მხარეში — ყველას ერთნაირად ჰქონდა გახსნილი სოციალური პროგრესისა და კულტურული აღორძინების გზა.

სოციალიზმი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეძლია მათი დაბეჩავებულობა, სიბნელე, უმეცრება, გამოეთავისუფლებინა ადამიანთა დათრგუნვილი აზრი, გამოეფხიზლებინა ისინი საუკუნეობრივი ძილისაგან და კულტურულ-ისტორიული შემოქმედებისათვის ეზიარებინა. შენდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, თეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები, იხსნებოდა ეროვნული სკოლები და ცალკეული კლასებიც კი რამდენიმე მოსწავლისათვის. სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლება კონსტიტუციურად უზრუნველყოფილია არა მარტო უფასო სწავლებით, სახელმწიფო სტიპენდიებით, მოსწავლეებისა და [1]ტუდენტებისათვის შეღავათების მინიჭებით, არამედ მშობლიურ ენაზე სწავლების შესაძლებლობებითაც.

ამ უფლების გამოყენების დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის მაგალითით, სადაც სწავლა 7 ენაზე — ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ბერძნულ ენებზე წარმოებს. მრავალენოვანია აგრეთვე წიგნის გამოცემა, რადიომაუწყებლობა, რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია საქართველოს ისტორიის რვატომეული, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მრავალტომეული, რომლის 8 ტომი უკვე გამოვიდა, ქართული პროზა 30 ტომად, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების სამტომეულები, აფხაზეთის ისტორია ორ წიგნად. გამოსაცემად მომზადებული თანამედროვე აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი და ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი 4 ტომად. ეს და მრავალი სხვა მაგალითი არის ნიმუში იმ შეუნელებელი

ყურადღებისა და დიდი ზრუნვისა, რასაც ლენინური პარტია ეროვნულ კულტურათა მიმართ იჩენს.

კაპიტალის სამყაროში ასეთ მიდგომას სახსრების სრულიად გაუმართლებელ და არარაციონალურ ფლანგვად, არარენტაბელურ კაპიტალდაბანდებად ჩათვლიდნენ. იქ მიღებული ლოგიკისა და კრიტერიუმების თანახმად, არარენტაბელურად, უბრალოდ ისტორიული პროგრესის ფუჭ ხარჯებად მიაჩნიათ არა მარტო ეროვნული სკოლები ან მცირერიცხოვანი კლასები, თეატრები, რომლებიც სახელმწიფო დოტაციას საჭიროებენ, არამედ ეგრეთ წოდებული მცირე ერებისა და მათი კულტურების თვით არსებობა.

სოციალისტურ სინამდვილეს ამ სამყაროს რომ ადარებ, გჯერა სოციალიზმის სიდიადისა და მისი მაღალი ჰუმანური მისიისა. ეს მისია უფრო სრულად ვლინდება მისი განვითარების თანამედროვე საფეხურზე, როცა იგი საკუთარ კოლექტივისტურ საწყისებზე ვითარდება.

ამის საუცხოო ილუსტრაციაა ნ. ა. ტიხონოვის სიტყვები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც რესპუბლიკისათვის სამშობლოს ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა. მაღალი შეფასება მისცა რა საქართველოს კომუნისტთა მუშაობის გამოცდილებას ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის, რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის საქმეში, მან თქვა: „სწორად იქცევით, როცა ნიადაგ ზრუნავთ რუსული ენის შესწავლის გაუმჯობესებისათვის სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, მშობლიური ენების სწავლების დონის ამაღლებისათვის, ეროვნული კულტურის განვითარების, საბჭოთა საქართველოს ყველა ერისა და ეროვნების ისტორიის ძეგლების დაცვისათვის“[1].

ეს მისია ბოლომდე ვლინდება აგრეთვე ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებაში. სოციალიზმმა ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა. მან გამორიცხა უნდობლო-

---

[1] კომუნისტი, 1984 წლის 18 ნოემბერი.

ბა და შუღლი ერებს შორის ურთიერთობაში. სოციალისტური ერები, საბჭოთა სოციალისტური ერები თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას თანამშრომლობასა და ძმურ ურთიერთდახმარებაზე აგებენ.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტა, როგორც იგი სოციალიზმს წარსულისაგან ერგო, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროში აღარ არის პრობლემები და დაძლეულია ყველა სიძნელე. პარტიის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად ნათელია. „საბჭოთა ერების ერთიანობა, — აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, — არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც დღეს არის. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს ეროვნული ურთიერთობის სფეროს ყველა საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყოს. ჩვენნაირი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების დინამიკა ბევრ ისეთ პრობლემას შობს, რომლებიც პარტიის გულისხმიერ ყურადღებას მოითხოვს"[1]. ამასთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ითქვა, რომ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, აუცილებლად მოითხოვს გააზრებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ეროვნულ პოლიტიკას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მაგალითისამებრ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო შესაბამისად ახორციელებენ ენერგიულ ღონისძიებებს ავტონომიურ ფორმირებათა — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და სხვა რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის.

რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების შედეგად შეიქმნა ატმოსფერო, რომელიც ყოველნაირად უწყობს ხელს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ათწლეული აღინიშნა ქართული ლიტერატურის, თეატრის, კინოს, საქართველოს კომპოზიტორების, მხატვრებისა და მოქანდაკეების მიერ შექმნილი ნაწარმოებების პოპულარობის ზრდით. გაცილებით სისხლ-

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 87.

სავსე გახდა რესპუბლიკის სულიერი ცხოვრება. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ქართველი ხალხის უძველესი კულტურის ფართო აღიარებამ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში და „ისტორიით აღზრდის“ საქმეში რუსეთისა და საქართველოს ხალხებს შორის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების ღადების 200 წლისთავის იუბილეს. ამ თარიღთან დაკავშირებით განსაზღვრავდა რა ისტორიული შეგნების ზნეობრივ მნიშვნელობას, ე. ა. შეყარდნაძემ აღნიშნა, რომ „ჩვენს ისტორიას ისტორიისათვის როდი მივმართავთ“. გეორგიევსკის ხელშეკრულების უდიდესი პროგრესული როლის შეგნება, რომლის წყალობითაც ჩვენი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა და ეროვნული აღორძინების შესაძლებლობა მისცა, გვავალებს სათანადო დასკვნები გაკეთოთ, რომ საჭიროა ყოველნაირად განვამტკიცებდეთ ურღვევ მეგობრობას დიდ რუს ხალხთან. საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური შეგნება, კომუნისტური ზნეობა, რომელიც განსაზღვრავს მის პოზიციას და სოციალურ პასუხისმგებლობას, ყალიბდება მთელი რიგი კომპონენტებისაგან. მათ შორის წარსულის ხსოვნა არც ისე უმნიშვნელოა.

ამასთან, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სრულყოფა, ამ მიმართულებით ბოლო ათ წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის გამოცდილება კიდევ ერთხელ ადასტურებს ლენინური დასკვნის სამართლიანობასა და სისწორეს იმის შესახებ, რომ ეროვნული თვითშეგნების ზრდა მისი სწორად ფორმირების დროს არათუ არ ეწინააღმდეგება კლასობრივ შეგნებას, არამედ ემთხვევა მას და ავსებს კონკრეტული შინაარსით. ეროვნული სიამაყის გრძნობა, რომლის ფესვებიც ხალხის ღრმა ისტორიულ მეხსიერებაში მიდის, მშრომელთა ინტერნაციონალისტურ სოლიდარობას განამტკიცებს.

ჩვენი ქვეყნის პირობებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურ ერებს შორის დამოკიდებულების კულტურის, საბჭოთა ადამიანებს შორის ურთიერთობის კულტურის სრულყოფაა. თვით კულტურის არსის ძირეული ცვლილებები, ის გარემოება, რომ მის

ღირებულებათა ბირთვია სოციალისტური სისტემა, ეროვნულ კულტურას ამავე დროს გარდაქმნის ინტერნაციონალიზმის იდეების მატარებლად და ხდის საბჭოთა ხალხის დაახლოების ეფექტიან საშუალებად.

ინტერნაციონალური კულტურა, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, ცარიელ ადგილას კი არ ვითარდება, არამედ ყოველი ეროვნული კულტურისაგან თანამიმდევრულად იღებს დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს. ამ მხრივ საბჭოთა კულტურა უნიკალურია, წარმოადგენს რა მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური ერთობის კულტურას, გვევლინება როგორც მრავალფეროვნების ერთიანობა და ამავე დროს როგორც ერთიანობის მრავალფეროვნება. იგი თვითონ გვიჩვენებს ზოგადისა და ეროვნულ-განსაკუთრებულის დაპირისპირების სრულ უსაფუძვლობას კულტურაში. მსოფლიო ისტორია არ იცნობს და არც შეიძლება იცნობდეს სხვა ისეთ მაგალითს, სადაც ეროვნულ კულტურათა თავისუფალი ურთიერთგავლენა (და არა ინტეგრაცია, რომელიც დაშლიდა განუმეორებელ ხასიათსა და თვითმყოფადობას) ხელს უწყობს მათს გამდიდრებასა და მრავალფეროვნებას, როგორც ეს სოციალიზმის პირობებში ხდება.

ისტორიით აღზრდა

თანამედროვე პოლიტიკური ცნობიერება წარმოუდგენელია ისტორიული აზროვნების, წარსულისადმი მიმართვისა და მისი გააზრების გარეშე. ამავე დროს წარსულის შესწავლის ამოცანა არამც და არამც არ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ შემეცნებითი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მის რეკონსტრუქციაზე, რეპროდუქციაზე. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, მოვლენა რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ როგორ წარმოიშვა იგი, რა ძირითადი ეტაპები გაიარა ქმნადობინ პროცესში და რად იქცა. ისტორიული დროის ფენებში ჩაწვდომა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ თანამედროვეობის ურთულეს პერიპეტიებში, მივაგნოთ მრავალი დახლართული პრობლემის გადაწყვეტას.

და მაინც საქმე მხოლოდ ის როდია, რომ წარსულის ცოდნა ხელს გვიწყობს აწმყოს გააზრებაში. ყველაფერ სხვასთან ერთად ეს ცოდნა აღზრდის უძლიერესი საშუალებაც არის. იგი აყალიბებს მოქალაქეობრივ პოზიციას და გამოიმუშავებს ქვეყნის, საზოგადოების, კლასის, პარტიის ბედზე პასუხისმგებლობის გრძნობას. ამრიგად, ისტორიული აზროვნება განაპირობებს აგრეთვე პოლიტიკურ შეგნებას და პოლიტიკურ ნებას.

პოლიტიკურ კულტურაზე და ღირებულებათა შესაბამის სისტემაზე მსჯელობისას შეუძლებელია ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ არსებობს მათი ათვლის, უკეთ რომ ვთქვათ, საყრდენი წერტილი, რომელიც განსაზღვრავს ამ კულტურის თვით არსებას, გამსჭვალავს მის კულტურულ ღირებულებას. თეორიული მნიშვნელობითა და სისტემის შემქმნელი როლით ასეთი ფუძემდებელი ადგილი მიეკუთვნებათ დიდ მოვლენებს, რომლებიც მსოფლიო ისტორიის ნიშანსვეტებად იქცევიან

ხოლმე. ისინი კოლოსალურ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და ახდენენ მთელი ისტორიული ეპოქის პოლიტიკური ორიენტაციის ფორმირებას.

ასე, მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ მთელი XIX საუკუნე 1789—1793 წლების საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ზეგავლენით მიმდინარეობდა. XX საუკუნის უდიდესი მოვლენაა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლითაც დაიწყო მსოფლიოს სოციალისტურად გარდაქმნის ეპოქა. ჩვენი საუკუნის ყველა მოვლენა — ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული — შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ ოქტომბრის შუქზე. ისევე, როგორც ერთ დროს შუა საუკუნეების, ფეოდალურ-მემამულური წესებისა და რელიგიური ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ მებრძოლები გაერთიანდნენ განმანათლებლებისა და საფრანგეთის რევოლუციის იდეების ალაგლივ, ახლაც კაცობრიობის ყველა მოწინავე და პროგრესული ძალისათვის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენს შუქურას, მათს ბრძოლას რომ უნათებს გზას. მასთან მიმართება მკაფიოდ მიჯნავს პროგრესისა და რეაქციის, ძმვიდობისა და ომის ძალებს. ის არის პოლიტიკური აზროვნების სასინჯი ქვა, დღევანდელი პოლიტიკური ორიენტაციის ფაქტი.

1. „ჩვეულებრივი ისტორიული რიგის... სახეცვლილებები"

ტრუიზმად იქცა მტკიცება მეოცე საუკუნის შფოთიანი ბუნების შესახებ. მართლაც, ეს საუკუნე მდიდარია ისეთი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით, რომლებმაც პლანეტის სოციალურ-პოლიტიკური სახის ღრმა, შეუქცევადი ცვლილებები გამოიწვიეს. ჩვენი დროის დინამიზმის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით ასმაგად გაძლიერებულმა შეგრძნებამ მთლიანად მოიცვა საზოგადოებრივი აზრი: არა მარტო მოწინავე პროგრესული ფრთა, ახლა კონსერვატორებიც კი აღიარებენ გარდაქმნების გარდაუვალობას.

კაპიტალიზმი რომ „მძიმე დღეებს" განიცდის, ამას ბურჟუაზიული იდეოლოგებიც არ უარყოფენ, მაგრამ თავგამოდე-

ბით ეწინააღმდეგებიან სოციალიზმს, როგორც არსებულის ჭეშმარიტ ალტერნატივას. მომავალი ხან ესახებათ „ტექნოტრონულ საზოგადოებად“, ხან „პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციად“, ხან კიდევ რაღაც ამგვარად. ამ ფუტუროლოგიური კონსტრუქციების გაცნობისას ვლინდება მათი აპოლოგეტური ბუნება. „ტექნოტრონული საზოგადოება“, „პოსტინდუსტრიული ცივილიზაცია“ და ა. შ. იგივე კაპიტალიზმია, მხოლოდ ტექნიკურად მაქსიმალურად მოდერნიზებული და სოციალურად მცირეოდენად შელამაზებული. რარიგ შეკვეცილადაც უნდა გამოისატოს თანამედროვე სოციალური დიხამიკის ეს აღიარება, იგი მშვენივრად მოწმობს ჩვენ მიერ განცდილი ეპოქის შემობრუნებითი ხასიათის ყოველმხრივობის შეგრძნებას, კაპიტალიზმის უპერსპექტივობასა და იმ ახალი ალტერნატივის არჩევის აუცილებლობას, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარება ბურჟუაზიის წინაშე აყენებს.

თავისთავად გასაგებია, რომ პროგრესული საზოგადოებრივი პოლიტიკური აზრი მიმდინარე ცვლილებების მიმართ გაცილებით მგრძნობიარეა. იგი უფრო ხედება მათ არსს და შორეულ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. ბურჟუაზიული კლასობრივი ტენდენციური დასკვნების წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმმა, როგორც ყველაზე თანამიმდევრულმა და ჭეშმარიტად რევოლუციურმა მოძღვრებამ, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში თეორიულად დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია და მომაკვდავი კაპიტალიზმია. მონოპოლისტურმა განვითარებამ ყველა წანამძღვარი მოამზადა უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებაზე გადასასვლელად. XX საუკუნეში შეუძლებელია წინსვლა, თუ სოციალიზმისაკენ არ წახვედი, რომ „იმპერიალიზმი პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინა დღეა“ (ვ. ი. ლენინი).

ჩვენი საუკუნის განვლილი რვა ათეული წელი ნათლად ადასტურებს ამ დასკვნების სისწორეს: სოციალიზმი ვითარდება ისე, როგორც იწინასწარმეტყველა ვ. ი. ლენინმა. იგი გადაიქცა ეპოქის გადამწყვეტ ტენდენციად. რეალური სოციალიზმის მიღწევების დამახინჯების, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შიგნით განხეთქილების გაღვივებისა და ამით

მუშათა კლასის პარტიის ბრძოლისუნარიანობის დასუსტების მიზნით ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ ანტისოვეტიზმის გაძლიერებას. ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრულ, ინტერნაციონალურ პოლიტიკას ისე წარმოსახავენ, თითქოს იგი მარქსიზმ-ლენინიზმს იმისათვის იყენებს, რომ თავს მოახვიოს სხვა ქვეყნებს საბჭოთა გამოცდილება, როგორც სოციალიზმის ეტალონური მოდელი.

ისტორიული პრაქტიკა ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ქვეყნის გადასვლა სოციალიზმზე, ამ ქვეყნებში სოციალისტური გარდაქმნების ფორმებისა და საშუალებების ცალკეული ფაზების გაელის თანამიმდევრობა და სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის ტემპები, საზოგადოების ბაზისისა და ზედნაშენის შექმნა, კულტურული რევოლუციის განხორციელების მეთოდები და სხვ. არათუ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამის გარდა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნილ ჩარჩოებში, როცა მიმდინარეობს ინტეგრაციის პროცესი წარმოებისა და კულტურის სფეროში, ხდება სოციალისტურ სახელმწიფოთა დაახლოება, ამასთან, ამ ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა სხვადასხვაობა მაინც შენახულია. ეს პროცესი არ შლის სოციალიზმის ქვეყნების ეროვნულ და ისტორიულ თავისებურებებს.

ვ. ი. ლენინი ამას წინასწარმეტყველებდა. იგი რომ მიუთითებდა, სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით დამყარების დროსაც ძალიან დიდხანს დარჩება ხალხებს შორის ეროვნული სახელმწიფო განსხვავებანი, აკეთებდა დასკვნას — „ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას... არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს კერძო შემთხვევებში, სწორად შეუსაშებდა, შეუფარდებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებას"[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 98.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური რევოლუციის საერთო კანონზომიერებანი გზას იკაფავენ სპეციფიკურ გარემოებათა მთელ გროვაში, რაც ზემოქმედებას ახდენს პროცესის განვითარების ფორმაზე და სახეს უცვლის მას. ვ. ი. ლენინი ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, რომ ზოგადი არასოდეს წმინდა სახით არ გვხვდება, არამედ მოცემულია ემპირიულ მოვლენათა ცოცხალ ქსოვილში, კონკრეტულთან განუყრელ ერთიანობაში.

ამ მეთოდოლოგიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო თანამედროვე პირობებში. ამოცანების სირთულე ყოველი კომპარტიისაგან პასუხსაგებ გადაწყვეტილებებს, არატრივიალურ სიტუაციებში დამოუკიდებლად გარკვევის უნარს, კონკრეტულ გარემოებათა სპეციფიკის ზუსტ შეცნობას, შაბლონზე უარის თქმას და სოციალიზმის გამარჯვების შესაბამისი მეთოდების გამომუშავებას მოითხოვს. აქ მათ შეუძლიათ დაეყრდნონ რევოლუციური პროცესის ხელმძღვანელობისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მართვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას. ჩვენ, კომუნისტები, წერდა ამის შესახებ არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხ. ა. ალვარესი, ვდგავართ იმ ერთადერთ სწორ მეცნიერულ პოზიციაზე, რომელიც სავსებით ითვალისწინებს ზოგადისა და ცალკეულის დიალექტიკას რევოლუციურ განვითარებაში. ამიტომ ცოტა იქნება თქვა, რომ ოქტომბრის გამოცდილებით მხოლოდ რევოლუციის საყოველთაო კანონებს ვსწავლობთ. იგი გვაძლევს აგრეთვე გაკვეთილებს, თუ როგორ გამოვიყენოთ სწორად და ეფექტიანად სპეციფიკური გარემოებანი კონკრეტულ ისტორიულ და ეროვნულ სიტუაციებში.

სკკპ XXVI ყრილობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენი პარტია განუხრელად ახორციელებს ლენინურ მითითებას, „სხვისი გამოცდილების მექანიკური გამეორების“ წინააღმდეგია, ვის მიერაც და სადაც უნდა იყოს იგი. „არც ისე დიდი ხნის წინათ, — აღინიშნა ყრილობაზე, — ზოგიერთი კომპარტიის ხელმძღვანელობამ ენერგიულად დაიცვა სოციალიზმისა და სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლის გზებისა და ფორმების ეროვნული სპეციფიკის უფლება. მაგრამ, თუ

საკითხს მიუკერძოებლად მივუდგებით, უნდა ვაღიაროთ, რომ არავინ არავის თავს არ ახვევს არავითარ შაბლონსა და სქემას, რომლებიც უგულებელყოფენ ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებებს"[1].

ამასთან დაკავშრებით უნდა შევჩერდეთ ერთ ეპიზოდზე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გავაშუქოთ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ზოგიერთი საკითხი, შევეხოთ მსოფლიო რევოლუციური პროცესის პერსპექტივებს და შევაფასოთ ლენინიზმის უნარი — იყოს ამ პროცესის იდეური მეგზური.

ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რიგითი ეპიზოდია. იგი უკავშირდება ვ. ი. ლენინის წერილებს ამიერკავკასიის ბოლშევიკებისადმი, რომლებიც დაწერილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის სულ ახალი შთაბეჭდილებებით. საკითხები, რომლებიც ამ წერილებშია დაყენებული, მუდამ იხსენიება მაშინდელი წლების ლენინურ მიმოწერაში და ეხება სოციალისტური რევოლუციის შემდგომი განვითარების, მისი გამარჯვების და განმტკიცების პრობლემებს. 1921 წლის 2 მარტით დათარიღებულ წერილში გ. კ. ორჯონიკიძისადმი ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა საქართველოს დაბადებას და იქვე იძლევა გაფრთხილებას: „გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას"[2].

ერთი თვის შემდეგ, 1921 წლის აპრილში, ვ. ი. ლენინი შემდგომ ავითარებს ამ თეზისს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი მიმართვაში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნასთან დაკავშირებით. კვლავ ეღერს ნაცნობი გაფრთხილება — თავი შევიკავოთ იმ ტაქტიკის ბრმა გადაღებისა-

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 24.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 190.

გან, რომელმაც ცოტა ხნით ადრე სოციალისტური რევოლუცია რუსეთში სწრაფ გამარჯვებამდე მიიყვანა.

საბჭოთა ხელისუფლების ჭეშმარიტად ტრიუმფულ მსვლელობას შეეძლო, ვისთვისაც გნებავთ, თავბრუ დაეხვია, მაგრამ ვ. ი. ლენინი განსაცვიფრებელ რეალისტურ მიდგომას ინარჩუნებს. მტკიცედ მოითხოვს პარტიულ თანამებრძოლთაგან ტრაფარეტის დაუშვებლობას. რევოლუციური ბრძოლის მეთოდების სწორხაზობრივი ექსტრაპოლაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე ბრწყინვალედ გაამართლა რუსეთის სინამდვილეში. ამიერკავკასიის კომუნისტებს აფრთხილებს მუდამ მხედველობაში ჰქონდეთ „თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით“[1]. და ააგონ თავიანთი ტაქტიკა მათი რეგიონის კონკრეტული პირობების შესაბამისად. ამავე დროს იგი აბსტრაქტული სურვილებით კი არ იფარგლებოდა. არამედ განსაზღვრავდა იმ ფაქტორებს, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ სამოქმედო პროგრამების შემუშავების დროს. კერძოდ, იგი წერდა, რომ კომუნისტებმა უნდა ისარგებლონ უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობებით, რომლებიც შეიქმნა სოციალისტურ ღონისძიებათა განსახორციელებლად 1921 წელს ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მკაცრ წლებთან შედარებით. იმ დროს, როცა უდიდესი რევოლუციისათვის აომდგარ რუსეთს მარტოდმარტო უხდებოდა ანტანტისა და გერმანიის არმიების შემოტევების თავგანწირულ ბრძოლებში მოგერიება, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შეეძლოთ ჰქონოდათ საბრძოლო სოლიდარობისა და უანგარო დახმარების იმედი. იმპერიალისტებისაგან ძნელად მოპოვებული მშვიდობა იფარავდა მათ უცხოეთის შემოსევის გამეორებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის შიშისაგან. რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეში რევოლუციურ ნაკადში შედარებით ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების დროს, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭირო არ იყო გადაუდებელი ამოცანების გადაჭრის მეტისმეტი დაჩქარება. უფრო მეტიც, იგი რეკომენდაციას იძლეო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32. გვ. 397.

და თავი შეეკავებინათ შესაძლო დამღუპველი აჩქარებისაგან და დიდი სიფრთხილე გამოეჩინათ სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებაში. ლენინის აზრით, ამგვარი თავშეკავების მიზეზი კიდევ ის იყო, რომ „კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი“[1] და ამ მდგომარეობას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. უმეტესად ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა მოითხოვდა, რომ აქაურ კომუნისტებს გამოეჩინათ „მეტი სირბილე, წიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“[2].

ვ. ი. ლენინი სრულად უწევდა ანგარიშს იმას, რომ წარმოების თვალსაზრისით საშუალოდ განვითარებულ რუსეთში მისი პერიფერიის ეკონომიკური დონე გაცილებით დაბალი იყო, სადაც ამავე დროს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და სხვა წინააღმდეგობანი აღრმავებდნენ ისედაც რთულ მდგომარეობას, — ასეთი შემადგენლობის მრავალეროვნული და ეკონომიკური თვალსაზრისით სხვადასხვაგვარ ქვეყანაში რევოლუციის წარმატებით განვითარებისათვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი ხდებოდა ამოცანათა გადაჭრის სხვადასხვა ხერხის გამონახვა. მისთვის უაღრესად ნათელი იყო, რომ რუსეთის სინამდვილეში სავსებით ტიპობრივი განსხვავებანი ეკონომიკურ დონეში, პოლიტიკურ ტრადიციებში, რასობრივ და ეროვნულ ურთიერთობებში, ყოფა-ცხოვრებაში და ა. შ. უაზროს, არაგონივრულს ხდიდა ერთი და იგივე საშუალებების გამოყენებას, ერთი და იგივე გადაწყვეტილებების გამეორებას.

თუ რამდენად იყო დამოკიდებული რევოლუციის ბედი ბოლშევიკური პარტიის უნარზე — ემოქმედა საქმის ცოდნით, რამდენად საჭირო იყო დახელოვნება ტაქტიკის აგებაში, ადგილობრივი პირობების გააზრება, მომენტის სპეციფიკურობის რაც შეიძლება სრულყოფილად, კლასობრივი ძალების განლაგების თავისებურების, გარეგანი ზეგავლენისა და სხვა გათვალისწინება, — ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ კავკასიის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 399.
[2] იქვე.

კომუნისტებისადმი მოკლე მიმართვაში ვ. ი. ლენინი ყოველთვის უბრუნდება აზრს, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა: კომუნისტებმა უნდა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის თავისებურება, არ შეიძლება რუსული ნიმუშის მექანიკურად გადატანა. საჭიროა არა მიბაძვა, არამედ „სახეცვლილება“ და მისი ახალ გარემოებებთან შეხამება

ეს მოსაზრებანი გაერთიანებულია დასკვნით: „ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზი, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917—1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები“[1]. აბსოლუტურად დაუშვებელია წარსულისადმი მონური მორჩილება, მისი უკრიტიკო ათვისება. უნდა დავემორჩილოთ ნოვატორული მიდგომის მომთხოვნ გარღაუვალობას. მიემართოთ ძრსებული გარემოებების შემაჯამებელ, ღრმა და ყოველმხრივ შესწავლაზე დაფუძნებულ მოქნილ ტაქტიკას.

ს. ორჯონიკიძისადმი წერილიც და კავკასიის კომუნისტებისადმი მ-მართვაც მხოლოდ და მხოლოდ პატარა ეპიზოდია ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიაში. მაგრამ ლენინი დღენიადაგ ფიქრობდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თეორიის კავშირი პრაქტიკასთან, კერძოდ, ისტორიაში საერთოსა და განსაკუთრებულის დიალექტიკა, საბოლოო ანგარიშით კი მარქსიზმის თეორიული პოტენციალისა და მასთან რევოლუციონერთა დამოკიდებულების შესახებ.

თავისი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდახვე ვ. ი. ლენინი მარქსიზმს მიმართავდა, როგორც ცოცხალ მოძღვრებას, მისთვის ყოველთვის უცხო იყო მკვდარი სქოლასტიკა. „ჩვენ სრულებით არ ვუყურებთ, — ამბობდა იგი, — მარქსის თეორიას, როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწიონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვრებას ჩამორჩნენ. ...აუცილებელია მარქსის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, ეს. 399.

თეორიის დამოუკიდებელი დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა ზოგად სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც, კერძოდ, ინგლისის მიმართ სხვანაირად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთის მიმართ, საფრანგეთის მიმართ სხვანაირად, ვიდრე გერმანიის მიმართ, გერმანიის მიმართ სხვანაირად, ვიდრე რუსეთის მიმართ"[1].

ასე წერდა ვ. ი. ლენინი 1899 წელს. ეს ანტიდოგმატური ხაზი არასოდეს არ გაწყვეტილა. იგი მეთოდურად მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა. მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, როცა უკვე უშუალოდ ჰქონდა განცდილი სამი — ერთიმეორეზე გრანდიოზული — რუსული რევოლუციის გიგანტური გამოცდილება, ვ. ი. ლენინი პირველი იმაღლებდა ხმას ისტორიული მოძრაობის გამარტივების წინააღმდეგ. „იტალიაში რევოლუცია სხვანაირად წარიმართება, ვიდრე რუსეთში. ის სხვაგვარად დაიწყება... ჩვენ არასოდეს არ გვინდოდა, რომ სერატის იტალიაში რუსეთის რევოლუციისათვის წაებაძა, ეს სისულელე იქნებოდა"[2].

იმ ჩანაწერში, რომელიც მან 1922 წელსა და 1923 წლის პირველ თვეებში უკარნახა, კვლავ ვხვდებით მარქსიზმში, სახელდობრ, მის რევოლუციურ დიალექტიკაში გადამწყვეტ, დომინირებულ აზრს, რომელიც საშუალებას იძლევა გავიგოთ მოწინააღმდეგე მხარეთა დამთხვევა და ურთიერთგადასვლა, კერძოდ, განუყოფელი ერთიანობა ისეთი კატეგორიებისა, როგორიცაა ზოგადი და ცალკეული. შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წერილებსა და სტატიებში ვ. ი. ლენინი მსჯელობს „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანზე" და ხმამაღლა გვიზიარებს ყველაზე უძვირფასეს ფიქრებს, თუ რა მოხდა რუსეთში, როგორ უნდა ააშენოს მან სოციალიზმი, როგორ წაიყვანოს წინ შემდგომში ისტორიის განვითარება და სად უფროა მოსალოდნელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის შესაძლებლობანი. უცვლელად მეორდება დასკვნა — იმისდა მიხედვით, თუ შემდგომში აქტიურ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში როგორ ჩაერევიან აზიის მრავალმილიონიანი ხალხები და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 4, გვ. 252—253.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 592—594.

ვამოღვიძებული აღმოსავლეთი ამოძრავდება, განუსაზღვრელად ამაღლდება რევოლუციის თავისებურებათა მნიშვნელობა. ესმოდა რა, როგორი ალტერნატივის წინაშე დადგებოდნენ უახლოეს მომავალში რევოლუციონერები, ვ. ი. ლენინს აწუხებდა აზრი იმაზე, რომ საჭირო მომენტში მათ ეყოთ „ბოლომდე მოფიქრებული და შეგნებული... მაქსიმალურად მოქნილი ტაქტიკის აუცილებლობა“[1].

ვ. ი. ლენინის ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო II ინტერნაციონალის კრახმა, რომლის ლიდერებმაც — წარსულში მარქსიზმის თვალსაჩინო თეორეტიკოსებმა და მსხვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბელადებმა — ვერ შეძლეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თავისებურების გამო ამაღლებულიყვნენ მისი ჰეშმარიტი ხასიათისა და მსოფლიო-ისტორიული აზრის შეგნებამდე. ამან გაუგებარი გახადა მათთვის ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობის ძირითადი ნიშნები, მათი გამეორების გარდაუვალობა მსოფლიო-ისტორიული მასშტაბით. ეს მაშინ, როცა მსოფლოში უკვე კარზე მომდგარი რევოლუციები გაცილებით უფრო თავისებური უნდა ყოფილიყვენ. ამის გამო პროპორციულად დიდდებოდა იმ შეცდომების გამეორების საფრთხე, რომელიც ასე საბედისწეროდ აისახა II ინტერნაციონალის რეპუტაციაში.

მუშათა კლასის პარტიების იდეური გამოწრთობისა და მომზადების საქმეში მომავალი გადატრიალებების, ისტორიის მოულოდნელი მკვეთრი ზიგზაგების დროს ამ პარტიების ტაქტიკის სწრაფი ცვლების გამომუშავების, ყოველგვარი მოულოდნელობისას ბრძოლის ერთი ფორმის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობის, რეფორმისტული და ოპორტუნისტული გადაგვარებისაგან მათი დაცვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა II ინტერნაციონალის იდეოლოგიისა და ტაქტიკის ლენინურ კრიტიკას. II ინტერნაციონალის დაშლის მიზეზების ანალიზსა და აქედან გამომდინარე დასკვნებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

პარალელების მოუძიებლადაც ხვადასხვა სახის თანამედ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი., თხზ., ტ. 31, გვ. 111.

როვე თეორიულ შეხედულებებში უხვად არის ასახული ოქ-
ტომბრის რევოლუციის შეუფასებლობის ტენდენცია. ზოგი-
ერთ კომპარტიაში ერთხანს გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთა
მთელი თეორიული მოღვაწეობის ამოსავალი იყო რეალური
სოციალიზმის მიღწევების, მისი საერთაშორისო მნიშვნელო-
ბის უარყოფა. სოციალისტური მშენებლობის, უპირველეს ყო-
ლისა, საბჭოური გამოცდილება მათ თანამედროვე პრობლემე-
ბისაგან ძალზე დაშორებულად გამოაცხადეს. ცხადია, ამის
შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ლენინიზმის საყოველ-
თაო მნიშვნელობის საკითხი. არსებითად ამის შესაბამისად
ფიგურირებენ ისეთი იდეოლოგიური წარმონაქმნები, როგო-
რიც არის „დასავლეთის" და „აღმოსავლეთის" მარქსიზმი.
მსგავსი შეხედულებანი პრაქტიკულად წარმოშობენ ანალო-
გიურ კონცეფციებს, რომლებსაც შემდეგი წლების განმავლო-
ბაში ავრცელებენ მარქსიზმის გარეთ მდგომი თეორეტიკო-
სები.

სოციალისტური რევოლუციის შესახებ ძალზე საეჭვო და
მარქსიზმისათვის მიუღებელი წარმოდგენებით შეიარაღებული
დასავლელი ავტორები დისტანციას მარქსსა და ლენინს შო-
რის იმგვარად ადიდებენ, რომ ლაპარაკობენ მათი თეორიული
დოქტრინების ურთიერთწინააღმდეგობასა და მნიშვნელოვან
იდეოლოგიურ დაშორიშორებაზეც კი.

ა. ბროკეს (დასავლეთ გერმანია) წიგნში „ბოლშევიზმის
წარმოშობა" ეკითხულობთ, რომ სოციალიზმი თითქმის არ იყო
რუსული საზოგადოების წიაღში წინააღმდეგობებით მომწიფე-
ბული შინაგანი მოთხოვნილება. ამის დამადასტურებლად ავ-
ტორი მიუთითებს იმაზე, რომ მუშათა კლასი რუსეთში არც
იყო, როცა გერცენი, ბაკუნინი, ლავროვი და სხვები უკვე
სოციალიზმს უკავშირებდნენ სამშობლოს განახლებისა და
მისი განსაკუთრებული მისიის იმედებს. ა. ბროკე განზრახ
ავიწყებს მარქსამდელი სოციალიზმის, კერძოდ, „გლეხური
სოციალიზმის" უტოპიურ ხასიათს, რათა შესაძლებლობა
ჰქონდეს განაცხადოს, რომ მეცნიერული სოციალიზმი შემოტა-
ნილი იქნა გარედან როგორც პასუხი ქვეყნის ეროვნულ ბედზე.
ეს ეროვნული მოტივი, მისი აზრით, ლენინთან ძალზე ძლიერია,
ბოლო მისი პარტიული თანამებრძოლები სოციალიზმს განი-

ხილავდნენ, როგორც „დასავლეთის დაწევის“ შესაძლებლობის დიდი ხნის აღთქმულ მიზანს.

ასეთი მოსაზრებებით სურთ ლენინის შემოქმედების მნიშვნელობა რუსეთის ფარგლებით შემოსაზღვრონ. მათ ლენინიზმის გენეზისი იმისათვის გამოიყენეს, რომ იგი წარმოედგინათ „სპეციფიკურ პირობებში გამარჯვების საშუალებად“. მათი თვალსაზრისით, იგი მიუღებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, რომელთა მუშათა მოძრაობამაც. რუსეთისაგან განსხვავებით, სოციალიზმისაკენ მიმავალი თავისებური გზა აირჩია.

ამ და სხვა მსგავს წიგნებზე გამოცემის წელი რომ არ ეწეროს, ძნელია დაიჯერო, რომ ეს წიგნები 70-იანი წლების დამლევს გამოიცა. მათში გამოთქმული იდეები ზუსტად ეშთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ 60 წლის წინათ გამოქვეყნებულ მსგავს ლიტერატურას. მტკიცებებს ოქტომბრის რევოლუციის უწანამძღვრობის, იმის შესახებ, რომ რუსეთში რეალურად არსებობდა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და არა სოციალისტური გარდაქმნების შესაძლებლობა, რომ რუსეთის პროლეტარული რევოლუცია „არ შეესატყვისება ისტორიული მატერიალიზმის საერთო თეორიას“, რომ მარქსის საწინააღმდეგოდ იგი მოახდინეს არა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ცენტრში, არამედ კაპიტალისტური სამყაროს პერიფერიაში, სადაც მას სრულიადაც არ ელოდებოდნენ; ამ მტკიცებებს ბევრი რამ საერთო აქვთ იმასთან, რაც ოქტომბრის რევოლუციის ცხელ კვალზე იწერებოდა. სიტყვასიტყვით იმეორებენ იმ შეფასებებსა და დახასიათებებს, რასაც სოციალ-რეფორმიზმის ყოვლისშემძლე თეორეტიკოსები რევოლუციას მისი გამარჯვების პირველსავე წლებში აძლევდნენ.

ერთ-ერთმა ასეთმა წიგნმა, კერძოდ, მენშევიკ ნ. სუხანოვის „ჩანაწერებმა რევოლუციაზე“ საბაბი მისცა ვ. ი. ლენინს გამოეთქვა თავისი მოსაზრებები შესანიშნავ სტატიაში „ჩვენი რევოლუციის შესახებ“, რომელიც ერთგვარად აჯამებდა მის შეხედულებებს რევოლუციის ბედზე, რასაც იგი განიხილავდა ისტორიის განვითარების ფილოსოფიურ და გლობალურ პრობლემათა საერთო კანონზომიერებების კონტექსტში.

მენშევიკმა ნ. სუხანოვმა, მის თანამედროვე თანამოაზრეთა მსგავსად, „გაასამართლა“ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, გამოაცხადა, რომ რუსეთში მომხდარი მოვლენების საბოლოო მიზანი უნდა იყოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესრიგის დამყარება და არა სხვა რამ. ასე მარტო ნ. სუხანოვი როდი ფიქრობდა. ეს იყო გაბატონებული შეხედულება სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის და ჩამოყალიბდა როგორც II ინტერნაციონალის დოგმა, რომლის ბელადებმაც თავი არ დაზოგეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის არაუფლებამოსილების დასამტკიცებლად. აქედან ფეხი აიდგა ოპორტუნისტულმა ფრაზამ — თითქოს ოქტომბრის რევოლუცია „მარქსის მიხედვით“ კი არა „ლენინის მიხედვით“ მოხდა. ამის შემდეგ განსაკუთრებით მოარული გახდა ლაპარაკი მარქსიზმზე, რომელიც „ელოდება ეკონომიკური გახვითარების კულმინაციურ წერტილს“. და ლენინიზმზე, რომელსაც თითქოსდა უფრო სწამს მასების თვითმოქმედებისა და ნებელობის გამოვლენისა, ვიდრე ისტორიული გარდაუვალობისა. ამ გამოგონებათა საფუძველზე გაჩნდა ხელოვნური დილემა: მოწონებულ იქნას სოციალისტური რევოლუცია რუსეთში და თავი დაანებონ მარქსის მოძღვრებას ბოლშევიკების მებრძოლი ვოლუნტარიზმის სასარგებლოდ ან, პირიქით. „უერთგულონ“ ისტორიულ მატერიალიზმს და რევოლუცია განსაჯონ როგორც უშედეგო სოციალური ექსპერიმენტი გარდაუვალი ტრაგიკული ფინალით.

უეჭველია, რომ ვ. ი. ლენინი დიდ ინტერესს იჩენდა და ყურადღებით იკვლევდა ისტორიული პროცესის სუბიექტურ მხარესთან მტკიცედ დაკავშირებულ მასების სოციალური აქტიურობის პრობლემებს. ისიც მართალია, რომ მარქსისა და ენგელსის ყურადღება პირველ რიგში მიმართული იყო საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების ობიექტური ეკონომიკური კანონების მექანიზმის გახსნისაკენ.

კრიტიკოსები ამ ფაქტებს საიმისოდ იყენებენ, რომ ერთმანეთს დაუპირისპირონ მარქსი და ლენინი. პირველი გამოიყენონ თითქოსდა „კაპიტალიზმის ავტომატური კრახის იდეის მომხრედ, ხოლო მეორე დაუყოვნებელი მოქმედების მოუთმენელ მომხრედ, რომელიც იმედს ამყარებდა უმეტესად მასე-

ბის რევოლუციურ ენერგიასა და ყოველისშემძლე ნებელობით საწყისებზე. ასეთ წინააღმდეგობათა გამონახვა ემყარება იმის წინასწარ განზრახულ უარყოფას, რომ ცვალებად გარემოებებთან დაკავშირებით, როგორც მარქსიზმის ისტორია გვიჩვენებს, წინა რიგზე გამოდის ხან ერთი, ხან მეორე მხარე. ასე რომ, ისტორიული მატერიალიზმის შექმნისას, აზროვნების განვითარებაში მთელ ეპოქას რომ მოასწავებდა, მარქსმა და ენგელსმა თავიანთი ყურადღება გაამახვილეს საზოგადოებრივი წარმოების გადამწყვეტი როლის დასაბუთებასა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების გამოვლენაზე. ამავე დროს, როგორც აღნიშნავდა ფ. ენგელსი, ყოველთვის როდი მოიპოვებოდა საკმაო დრო, ადგილი და დასკვნები — ჯეროვანი მიეზღოთ ურთიერთზემოქმედებაში მოხაწილე დანარჩენი მომენტისთვისაც.

ამ გარემოებას ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარების შედარებით თანაბარი და მშვიდი ხასიათი, რომელიც არც ისე შემთხვევით ბადებდა კაპიტალიზმის სოციალიზმად სპონტანული გარდაქმნის ოპორტუნისტულ ილუზიას. კაპიტალიზმის განვითარების ამ ეტაპისაგან განსხვავებით ლენინის შემოქმედებითი მოღვაწეობის წლები ძირითადად ემთხვეოდა იმპერიალიზმის ეპოქას, რომელსაც ახასიათებდა მილიონობით შრომელი მასების უმაგალითო სოციალურ-პოლიტიკური გააქტიურება. ეს გარემოება, რომელიც კაპიტალიზმის პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში შესვლის მაუწყებელი იყო, ბუნებრივია, ამძაფრებდა ინტერესს კლასობრივი ბრძოლის, მასების გამოსვლების, ენერგიის, ორგანიზებულობის. დისციპლინის, მანევრირების საზოგადოებრივი დამოკიდებულების ახლებური ფორმების შექმნისათვის საკითხთა იმ წრისაღმი, რომელსაც ეწოდება სუბიექტური ფაქტორი. ნუთუ ამის შემდეგ კიდევ საჭიროა იმის ახსნა, თუ რატომ იყო წინა პლანზე ლენინის შემოქმედებაში ამ საკითხების დამუშავება.

ვ. ი. ლენინი სრულად იზიარებდა მარქსიზმის ოვალსაზრისს ეკონომიკური ფაქტორის უპირატესობის შესახებ, იბრძოდა მხოლოდ მისი უხეში ვულგარიზაციის წინააღმდეგ, როგოროც ამას ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ მატერიალიზმში ან საწარმოო ძალების ეგრეთ წოდებულ კაუცკისეულ თეორიაში, მის

ტექნოკრატულ მოდიფიკაციაში, სტიქიურობის წინაშე პოლიტიკის კუდში მაჩანჩალობამდე რომ მიდის.

ვ. ი. ლენინი დაუღალავად ამხელდა ოპორტუნისტების ცდას მარქსისტულ იდეალად გაესაღებინათ შეხედულება, რომლის მიხედვითაც ისტორიაში მკაცრად უნდა იქნას დაცული მოვლენათა განვითარების იერარქია. თითქოსდა არ უნდა დაირღვეს ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ამოცანების გადაწყვეტის რიგი.

„ჩვენს მოწინააღმდეგეებს, — წერდა ვ. ი. ლენინი ერთ-ერთ უკანასკნელ სტატიაში, — არაერთხელ უთქვამთ ჩვენთვის — არასაკმაოდ კულტურულ ქვეყანაში სოციალიზმის დანერგვის უგნური საქმე წამოიწყეთო, მაგრამ ისინი შეცდნენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იქიდან, როგორც თეორიის (ყოველგვარი პედანტის თეორიის) მიხედვით უნდა დაწყებულიყო. და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადარიალება წინამორბედი გახდა იმ კულტურული გადატრიალებისა, იმ კულტურული რევოლუციისა, რომლის წინაშე ჩვენ ახლა მაინც ვდგავართ“[1].

დიდმა ოქტომბერმა მოგვცა გაკვეთილი ჩამორჩენილი რუსეთის განვითარების უფრო მაღალი ტემპისა, რომელმაც იგი პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე შორს გაიყვანა კაპიტალისტური ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ამით როდი ღაირღვა სახოგადოებრივი პროცესების განვითარების ობიექტური მიმდინარეობა. არც ისტორიული მოძრაობის საერთო მაგისტრალიდან გადაგვიხვევია. საბოლოო ჯამში, ეს იყო ბრძოლა თანამედროვე საზოგადოების ორ ძირითად კლასს — პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ამასთან, ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებიც დაცული იყო.

2. ეროვნულის და ინტერნაციონალურის დიალექტიკა

ბურჟუაზიული და რეფორმისტი იდეოლოგები ცდილობენ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია წარმოგვიდგინონ როგორც მარქსისტულის უარყოფა და ამით გაალ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 560—561.

რმაონ მათ მიერვე კონსტრუირებული წინააღმდეგობა მარქსსა და ლენინს შორის. ცნობილია, რომ მეცნიერული კომუხიზმის ფუძემდებლებს სჯეროდათ სოციალისტური რევოლუციის ერთდროული გამარჯვება ქვეყნების უმეტესობაში, .ან, ყოველ შემთხვევაში, მაღალგანვითარებული ქვეყნების დიდ ჯგუფში.

ვ. ი. ლენინი აუცილებლად მიიჩნევდა იმ პირობების გათვალისწინებას, რომლებშიც ვითარდება პროლეტარული რევოლუციები, გაეთვალისწინებინათ აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის სოციალიზმში გადასვლის თავისებურებანი. ეს ბუნებრივია, რადგან დიდი ოქტომბრის რევოლუცია, რომლის გამოცდილებას ემყარებოდა ვ. ი. ლენინი, თვითონ არის ისტორიული განვითარების თავისებურების გათვალისწინების ბრწყინვალე ნიმუში. ოქტომბრის რევოლუციამ თავდაყირა დააყენა მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ ლიდერთა შეხედულება პროლეტარული რევოლუციის გზებზე. — ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ რევოლუციის პირველად უსათუოდ მრეწველობის თვალსაზრისით ყველაზე განვითარებული ქვეყნები გააჩაღებდნენ, დროთა განმავლობაში კი მათ ჩამორჩენილებიც გაჰყვებოდნენ. ისტორიამ, როგორც ცნობილია, უარყო მათი პროგნოზი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თვალნათლივ ცხადყო, რომ რევოლუციები შაბლონურად არ ხდება — თითოეულ მათგანს მოაქვს დიდძალი სიახლე, თავისებური, ჩვეულებრივისაგან განსხვავებული რამ. 1917 წლის გამოცდილებამ მარქსისტ-ლენინელებს ასწავლა, რომ არ შეიძლება აპრიორულად, წინასწარ გამოვრიცხოთ ისტორიის განვითარების ფორმებში არსებითი ცვლილებების შესაძლებლობა, განვითარების ჩვეული, ადრე არსებული ტიპისაგან გადახვევა. უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, შესანიშნავად ესმოდა რა მისი არაჩვეულებრივად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება რუსეთის გამოცდილების გააბსოლუტება, ბოლშევიკების ტაქტიკის მექანიკური გადატანა სხვა პირობებში.

ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოქტომბრის რევოლუცია წმინდაწყლის რუსული, ვიწროეროვნული მოვლენა იყოს, როგორც ამის „დამტკიცებას“ ცდილობენ

ბურჟუაზიული იდეოლოგები და მათი რევიზიონისტი მიმდევრები. მისი თავისებურება უფრო მეტად ფორმას ეხება, ვიდრე სოციალურ-ისტორიული პროცესის არსს. 1917 წლის რევოლუციას რუსეთში ჰქონდა იმგვარი ნიშნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ვილაპარაკოთ ოქტომბრის გაკვეთილების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე. ვ. ი. ლენინი როგორც ჭეშმარიტი მარქსისტი და დიალექტიკოსი, სხვა ქვეყნების კომუნისტების ყურადღებას მიაპყრობდა იმას, რომ რუსეთის რევოლუციის გამოცდილებიდან ყველაფერს კი არა, მხოლოდ მთავარს, ყველაზე არსებითს ექნება ინტერნაციონალური მნიშვნელობა სხვა ქვეყნებში რევოლუციების მსვლელობისას მისი გამეორების გარდაუვალობის თვალსაზრისით. ამგვარად, იგი გამოდიოდა რევოლუციის რუსული ნიმუშისადმი უგუნური მიბაძვის წინააღმდეგ და ამასთან ერთად მოუწოდებდა ჯეროვნად დაეფასებინათ ის ზოგადი, საერთო თვისებები, ოქტომბრის რევოლუცია რომ აქცია XX საუკუნის მთავარ მოვლენად, რომელმაც მსოფლიოს სოციალისტური განვითარების ალტერნატივა გადაუშალა.

ეს ლენინური კონცეფცია ედო საფუძვლად კომუნისტური ინტერნაციონალის საქმიანობას. მან შეუწყო ხელი მოძმე პარტიების შემოქმედებით ზრდას და მათსავე პოლიტიკური დამოუკიდებლობის შექმნას, რაც ასე საჭიროა ამჟამად, როცა პარტიებს მუშაობა უხდებათ მეტისმეტად განსხვავებულ პირობებში. ლენინური კონცეფციიდან ორგანულად გამომდინარეობს კომპარტიების დამოუკიდებლობის აღიარება, მათი თავისთავადობისა და თანასწორუფლებიანობის პატივისცემა. დღეს, როგორც არასდროს, თანადროულად გაისმის ვ. ი. ლენინის სიტყვები: რაც უფრო მეტად გაეწევა ანგარიში მრავალგვარობას, მით უფრო უტყუარი და უფრო სწრაფი იქნება სოციალისტური განვითარების წარმატება.

ეს ყველაფერი უდავოა. არავინ დაიწყებს იმის საწინააღმდეგო მტკიცებას, რომ ლენინური აზრების სტრუქტურაში ჭეშმარიტების კონკრეტულობის დებულების მეთოდოლოგიური როლი მნიშვნელოვნად ამაღლებულია. ეს პირდაპირ დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის სხვადასხვა დროს გამარჯვების შესაძლებლობის

იდეასთან. მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმი მთლიანად მომწიფდა სოციალიზმში გადასვლისათვის, საკითხი მხოლოდ ასე შეიძლებოდა დამდგარიყო, რომ უკვე კონკრეტულ გარემოებათა მიმდინარეობაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რომელი ქვეყანა, რა დროში და როგორი მეთოდით მოახდენდა თავის რევოლუციას — იქნებოდა ეს ქვეყანა მაღალგანვითარებული, საშუალოდ განვითარებული თუ შედარებით ჩამორჩენილი; შეძლებდა იგი წარმოების ძველი წესის, ცხოვრების წყობის სწრაფად გარდაქმნას, თუ ამ პროცესს დიდი დრო დასჭირდებოდა, აუცილებელი იქნებოდა მძაფრი კლასობრივი ბრძოლა და ძალადობის გამოყენება, თუ ყველაფერი უკიდურესი ზომების მიუღებლად „მოგვარდებოდა“ და ა. შ. ეს არის იმის მიზეზი, რომ ლენინი ზოგადისა და ცალკეულის ურთიერთმიმართების თეორიული პრობლემის დამუშავებას გასაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

ვ. ი. ლენინს ყოველთვის და ყოველგვარი საკითხის განხილვის დროს საჭიროდ ძიაინდა ისტორიაში საერთო-მნიშვნელოვანისა და საერთო-აუცილებელის დადგენა. ამასთან, იგი არ ივიწყებდა ადგილობრივი განსხვავების მნიშვნელობას, რომელიც წარუშლელ დაღს ასვამს ყოველგვარი სოციალური მოძრაობის ფორმას და ინდივიდუალურ სახეს აძლევს მას. ლენინი მიუტევებელ შეცდომად თვლიდა, რომ კერძოდან გამოგრჩეს ზოგადი, განსხვავებულში — ერთიანობა, სპეციფიკურ ფორმაში საერთო, რაც კონკრეტულის მთავარი შინაარსია.

დიალექტიკის, პირველ რიგში, ზოგადისა და ცალკეულის დიალექტიკის გამოყენების უუნარობა იყო II ინტერნაციონალის ლიდერების შეცდომების წყარო. იგივე მეთოდოლოგიური მანკიერება ახასიათებს თანამედროვე რევიზიონიზმს. რომელსაც არ ესმის ოქტომბრის რევოლუციის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საბჭოთა გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობა. იგი წაყრუებას იჩენს დიალექტიკის მიმართ. აქაც ჩვენ საქმე გვაქვს ზოგადისა და ცალკეულის გათიშვასთან. თუ ადრე აბსოლუტიზებული იყო ზოგადი, ახლა წინა რიგზე გამოდის ცალკეული, ემპირიული, კონკრეტული. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენს წინაშე დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციები იყოს, მაგ-

რამ ყურადღებით დაკვირვება დაადგენს, რომ პირველის დოგმატიზმი ენათესავება მეორის რელატივიზმს.

საკმარისია ისინი ერთმანეთს შევადაროთ, რომ პარალელები ნათელი გახდეს: კაცობრიობის სოციალურ-პოლიტიკურ და საერთო კულტურულ განვითარებაში დასავლეთის წამყვანი როლის აქტუალიზაციის იდეა საწარმოო ძალების ჩვენთვის ნაცნობი თეორიის რეაბილიტაციის ცდაა, რომელიც თავის დროზე პრაქტიკულად დაასამარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

მეორე მხრივ, კონცეფციამ, რომელიც სოციალიზმისაკენ სხვადასხვა ქვეყნის მოძრაობის ეროვნულ სპეციფიკას ეყრდნობოდა, ევოლუცია განიცადა ევროცენტრიზმის მიმართულებით. საქმე არ დამთავრებულა სოციალისტური განვითარების ეროვნული ფორმების უბრალო წამოყენებით. ფორმულირებულ იქნა მთელი პროგრამა ოპტიმალური, — ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ყოველი პარამეტრით — სრულყოფილი სოციალიზმის ანთროპოლოგიურ-ჰუმანისტური მოდელის სახით, ამ პოზიციიდან სისტემატურად თავს ესხმიან რეალურ სოციალიზმს.

სოციალიზმის „განსაკუთრებული მოდელების“ პროპაგანდა რეალური სოციალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და სოციალიზმის ბუნების სხვაგვარ, მისი ტიპოლოგიური ნიშნების აღრეულ გაგებას წარმოშობს. ამის გამო, „უნიფიკაციის“ წინააღმდეგ მხურვალე გამოსვლების მიუხედავად, „ახალი მარქსისტული შეგნების“ მიმდევრები ხშირად თვითონვე გვევლინებიან „უნიფიკატორებად“.

დასავლეთ ევროპის განსაკუთრებული ისტორიულ-პოლიტიკური მისიის ქვეყნებად ისინი ასახელებენ ხან იტალიას, ხან საფრანგეთს, ხან ესპანეთს, იმისდა მიხედვით თეორეტიკოსი ეროვნებით იტალიელია, ფრანგი თუ ესპანელი. მათი თვალსაზრისით სწორედ ამ ქვეყნებს შეუძლიათ გახდნენ სრულფასოვანი სოციალისტური წყობილების დამყარების — დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულების, ინდივიდების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის ნიმუში. ასეთია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ლენინიზმის დამახინჯების ნეგატიური ლოგიკა.

ვ. ი. ლენინის შრომები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა დამაჯერებლად ადასტურებს, რომ პარტიას სრულებითაც არ ახასიათებს საკუთარ შეხედულებათა ამხანაგურ კრიტიკაზე მაღლა დაყენების სულისკვეთება. მას მოპოვებული გამოცდილება ერთადერთ უცოდველ და ღირებულ საშუალებად არ მიაჩნია.

იმას, რაც ზემოთ ითქვა ამ საკითხის თეორიული გადაწყვეტის თაობაზე, დავუმატებთ ვ. ი. ლენინის საყოველთაოდ ცნობილ გამოთქმას, რომელიც ყოველთვის იყო და არის სკკპ პოლიტიკური ხაზის საფუძველი.

„ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა სავსებით ერთნაირად; თითოეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში“[1].

ვ. ი. ლენინის აზრი სავსებით ნათელია. იგი მიმართულია სტერეოტიპურობის, გაცალმხრივების, დიალექტიკურად, კონკრეტულად აზროვნების საზიანოდ რომელიმე ფორმის გააბსოლუტების წინააღმდეგ.

რაც შეეხება მსოფლიო რევოლუციური პროცესის პრაქტიკას, იგი ადასტურებს სოციალიზმში გადასვლის ფორმების მრავალგვარობის ლენინური იდეების სისწორეს. სოციალისტური საზოგადოების აშენების ისტორიული გამოცდილება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში, უნგრეთსა და კუბაში, მონღოლეთსა და იუგოსლავიაში და ა. შ. ამტკიცებს, რომ ყოველ მათგანში სოციალისტური გარდაქმნები ხდებოდა სხვადასხვაგვარად, ამ ქვეყნების განსაკუთრებული (შინაგანი და გარეგანი, სუბიექტური და ობიექტური) პირობების შესაბამისად, ამ უცილობელ მონაცემებზე დაყრდნობით.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო იქნება აქ ყურადღება შევაჩეროთ ჩვენი პარტიის შიგნით ცენტრალურ ორგანოებსა და რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციებს შორის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23, გვ. 81.

დამოკიდებულების ხასიათზე. ეს საშუალებას მოგვცემს პარტიათაშორისი ურთიერთობანი ახლებურ ასპექტში დავინახოთ.

მაგალითისათვის ავიღოთ ორი ფაქტი საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანული და განუყრელი ნაწილის, მისი ერთ-ერთი ეროვნული რაზმის ცხოვრებიდან. პირველი ფაქტი დაკავშირებულია „კონფლიქტთან საქართველოს პარტიაში". უთანხმოება, რომელიც ძალზე აწუხებდა ვ. ი. ლენინს, წარმოიშვა 20-იანი წლების დამდეგს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით. მართალია, ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა ამ იდეას და მთელი პრინციპულობით გამოდიოდა ბ. მდივანის ჯგუფის ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ, მაგრამ კრიტიკის ცეცხლს გ. კ. ორჯონიკიძესაც მიმართავდა, რომელიც რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს ხელმძღვანელობდა და ზოგჯერ მეტად სწორხაზობრივად, არასათანადო სიფრთხილითა და ტაქტით იღებდა გადაწყვეტილებებს ცალკეულ საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან (რომლის კომპეტენციაშიც ეს საკითხები შედიოდა) შეუთანხმებლად. ადმინისტრირების ელემენტებსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უფლებების უმნიშვნელო შელახვასაც კი ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით მოუთმენლად თვლიდა, რადგან იგი ეხებოდა ეროვნულ ურთიერთობათა სფეროს, სადაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობას და დამთმობლობას"[1].

მეორე ფაქტი გასულ ათწლეულს მიეკუთვნება. 70-იანი წლები საქართველოს სს რესპუბლიკისათვის აღინიშნა დიდი მიღწევებით სახალხო მეურნეობის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში; ამ მიღწევების საფუძველია რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 36, გვ. 692—693.

მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილების შესასრულებლად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომუნისტებს წინაშე ფართო შესაძლებლობები გადაშალა მასებთან, ახალგაზრდობასთან, მეცნიერ და შემოქმედებით ინტელიგენციასთან და ა. შ. მუშაობის ინიციატივისა და ახალი ფორმების შემოქმედებითი ძიებისათვის.

საკავშირო სადირექტივო ორგანოების მხრიდან წვრილმან მეურვეობაზე უარის თქმა, გაბედული წამოწყებების, ადგილობრივ ინიციატივის მხარდაჭერა, სოციალიზმისათვის უცხო, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მრავალი საინტერესო გადაწყვეტის პოვნა და მოწონება შესაძლებლობას აძლევდა და აძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მეტი გაქანებით და ენერგიით იბრძოლოს რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული განვითარების რთული ამოცანების განხორციელებისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკა ადასტურებს იმის საჭიროებას, რომ უკეთ გავიგოთ რევოლუციური ყოფითი პროცესის სისრულე, სოციალისტური მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებანი, რომელთა მნიშვნელობა შაბლონის გამომუშავება როდია. მათი მთელი არსი ის არის, რომ ეს კანონზომიერებანი ორიენტირის როლს ასრულებენ, რომლის საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტული პირობების შესაბამისად შესაძლებელია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცებისა და განვითარების რთული პრობლემის სწორი გადაწყვეტა.

ამ მხრივ განსაკუთრებით ფასდაუდებელია ჩვენი პარტიის მდიდარი გამოცდილების მნიშვნელობა, ვინაიდან ეს იმ პარტიის გამოცდილებაა, რომელმაც პირველად მსოფლიო ისტორიაში პროლეტარული რევოლუცია გამარჯვებამდე მიიყვანა, გაუმკლავდა არნახულ სიძნელეებს და ააშენა სოციალისტური საზოგადოება, მის შემდგომ სრულყოფას ხელმძღვანელობს.

ვ. ი. ლენინისათვის ამოსავალი იყო რწმენა, რომ ოქტომბრის გადატრიალების მნიშვნელობა არ ეტეოდა ერთი ქვეყ-

ნის, ერთი სახელმწიფოს ჩარჩოებში. ეს იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც მოასწავებდა ახალ ეპოქას — კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მსოფლიო მასშტაბით გადასვლის ეპოქას. XX საუკუნეში მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ ხელი შეუწყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში, მეფის რუსეთში. ეს არ ყოფილა ისტორიული განვითარების ნორმებიდან გადახვევა და პროგრესის საერთო მიმართულების დარღვევა. პირიქით, 1917 წლის ოქტომბერმა განსაკუთრებული დამაჯერებლობით ცხადყო, რომ XX საუკუნეში შეუძლებელია სხვაგვარი წინსვლა, თუ არა წინსვლა სოციალიზმის გზით. ეს სამართლიანია როგორც მოწინავე კაპიტალისტური, ისე შედარებით ჩამორჩენილი, კაპიტალისტური განვითარების საშუალო დონის ქვეყნებისთვის.

თვით რუსეთის რევოლუციის გამარჯვების ფაქტი უცილობლად მოწმობდა, რომ კაპიტალიზმი მომწიფდა სოციალიზმში გადასასვლელად, რომ თავისი განვითარების მთელი მსვლელობით მან ყველა აუცილებელი მატერიალური წანამძღვარი შეუქმნა მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას. ამასვე მოწმობდა ის, რომ ოქტომბრის რევოლუციამ თავიდანვე უშუალო ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე, რევოლუციურ განწყობილებათა ზრდაზე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. თუ რა სწრაფად განვითარდა ეს პროცესი, ამას ადასტურებს თუნდაც გერმანიის რევოლუცია და უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, რომ არაფერი ვთქვათ აზიის კონტინენტის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაზე.

ოქტომბრის რევოლუციის გავლენას მთლიანად მუშათა მოძრაობასა და მსოფლიო რევოლუციური პროცესის გაღრმავებაზე განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადყოფს II ინტერნაციონალის კრახი. მისი პარტიების შიგნით ძალთა პოლარიზაცია და მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებად გათიშვა ყოველწლიურად მატულობდა. მსოფლიო რევოლუციური სიტუაციის არსებობის პირობებში, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში კულმინაციურ წერტილს მიაღწია, ამ მახამდე ლოკა-

ლურმა დივერგენტულმა დინებებმა საერთაშორისო ხასიათი შეიძინა.

III ინტერნაციონალის შექმნა ოქტომბრის რევოლუციის დამსახურება იყო. ადრე ცალ-ცალკე მოქმედი ჯგუფები, რგოლები, სექციები, რომლებიც რევოლუციური მარქსიზმისაკენ მიისწრაფოდნენ, დაირაზმნენ ლენინური პარტიის, ახალი ტიპის, თანამიმდევრულად მარქსისტული და ბოლომდე რევოლუციური პარტიის გარშემო. როგორც საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის შემდგომი განვითარების ისტორია გვიჩვენებს, ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ რევოლუციურ ნაკადად მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გადაქცევაში.

ამგვარად, რაკი ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიო-ისტორიული განვითარების საერთო კალაპოტშია მოქცეული და სრულიადაც არ არის ანომალია, როგორც ამას ქაღაგებდნენ II ინტერნაციონალის ლიდერები კ. კაუცკის მეთაურობით და როგორც ამას დღესაც იმეორებენ მათი მიმდევრები. ამიტომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ მთავარ თავისებურებას, ვ. ი ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს იმ აზრით, რომ ისინი დამახასიათებელი გახდა სხვა ქვეყნების სოციალისტური რევოლუციებისთვისაც. ამასთან, ოქტომბრის რევოლუცია შეიცავდა ზოგ ისეთ ნიშანსაც, რაც განსაზღვრული იყო ადგილობრივი პირობებით, რუსეთის სინამდვილის სპეციფიკით, მრავალეროვანი სახელმწიფოს, მისი კულტურის და ყოფის თავისებურებით და სხვა ფაქტორებით. ამის გამო ოქტომბრის რევოლუცია ეროვნულია, მაგრამ მთელი რიგი სხვა თავისებურებები, მისი მთავარი შინაარსი განმეორდება სხვა ქვეყნებშიც, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოცემული ქვეყნისათვის შესაბამისი ფორმით გამოვლინდება.

აუცილებელ ნიშან-თვისებებს შორის, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების წანამძღვარებს ქმნის, ვ. ი. ლენინი გამოყოფდა პროლეტარიატის დიქტატურას, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მასის კავშირს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს და ა. შ. იგი ხაზ-

გასმით აღნიშნავდა, რომ ამ მოთხოვნათა დაცვა უზრუნველყოფდა მუშათა კლასის გამარჯვებას, კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნას. ექსპლოატაციისა და მონობის მოსპობას. ერთი სიტყვით, ეს მოთხოვნები განსაზღვრავდა სოციალისტური რევოლუციის საერთო კანონზომიერებათა არსს, მსოფლიოს რომელ რეგიონშიც არ უნდა მომხდარიყო იგი.

მაგალითისათვის ავიღოთ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი მას თვლიდა სასინჯქვად მარქსიზმისადმი ერთგულების გამოსაცდელად. მარქსისტი იმით განსხვავდება სხვა დანარჩენი სოციალისტების, დემოკრატებისა და ლიბერალებისაგან, წერდა იგი, რომ მას კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის აღიარება მიჰყავს პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სოციალისტური საზოგადოების აშენების საშუალების, აუცილებლობის აღიარებამდე. არ შეიძლება ადამიანი მარქსისტი იყოს და უარყოს ამ მოძღვრების უმთავრესი აზრი. ოქტომბრის რევოლუციის და მის მიერ დამხობილი კლასების მიერ გაჩაღებული სამოქალაქო ომის გამოცდილების განზოგადებისას ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატს არ შეიძლებოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების და ახალი საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის იმედი ჰქონოდა საკუთარი დიქტატურის დამყარების, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების თავგანწირული წინააღმდეგობის დათრგუნვის გარეშე.

...რუსული ნიმუში ყველა ქვეყანას უჩვენებს ზოგიერთ, და ფრიად მნიშვნელოვან რამეს მათი გარდაუვალი და არცთუ შორეული მომავლიდან"[1]. ეს შეეხება, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, რაც რუსეთში მოხდა და რაც ზოგად კანონზომიერებას შეადგენს. საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ პრინციპული საკითხია, მის გადაჭრაზეა დამოკიდებული სტრატეგიის არჩევა — ის, თუ როგორი იქნება სტრატეგია — ბუმბერაზად რევოლუციური თუ რეფორმისტული, შემრიგებლური. ამ საკითხში

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 6.

დაუშვებელი იყო ორპოფობა ან არაგულწრფელობა. ახალგაზრდა კომპარტიებს მტკიცედ უნდა ჰქონოდათ შეთვისებული რევოლუციურ მარქსიზმსა და სოციალ-რეფორმიზმს შორის არსებულ უთანხმოებათა ძირი და ფესვი.

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის, როგორც მისი ავანგარდის, მისი მოწინავე და დისციპლინებული რაზმისა, რომელსაც აქვს უნარი უხელმძღვანელოს მასობრივ მოძრაობას და მოამზადოს იგი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. პარტია უზარმაზარ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ საქმიანობას ეწეოდა. ფართო მასების მიმხრობის, მათი სწავლების მობილიზაციისათვის, რევოლუციური არმიის შექმნისათვის საჭიროა,—ამბობდა ვ. ი. ლენინი, — შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ოპორტუნიზმთან, დაუნდობელი ვიყოთ მის მიმართ. თუ მუშათა კლასის ახლად შექმნილ პარტიებს ნამდვილად უნდათ რევოლუციური იყვნენ, უსათუოდ უნდა გაითავისუფლონ თავი ოპორტუნიზმისაგან. ბოლშევიკების გამოცდილება ამ მხრივაც საგულისხმოა. იგი გვიჩვენებს გზას, რომ ყველა ქვეყნის კომუნისტებმა უნდა იბრძოლონ, უწინარეს ყოვლისა, და უმთავრესად თავის (თითოეული ქვეყნისათვის) „მენშევიზმთან“ ე. ი. ოპორტუნიზმთან, ამის გარეშე შეუძლებელია რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინება.

მემარჯვენე ოპორტუნიზმს მუშათა მოძრაობის შიგნით ჰქონდა წვრილბურჟუაზიული, ნახევრად ანარქისტული რევოლუციურობის ზრდის საშიშროება. ანარქიზმი და „მემარცხენე“ გადახრები ერთგვარი სასჯელია მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტული ცოდვების გამო. ეგრეთ წოდებული „მემარცხენეები“ თავიანთ ოპორტუნიზმს რადიკალიზმით ნიღბავენ. მემარჯვენეებიც და „მემარცხენეებიც“ ავსებენ ერთმანეთს და არსებითად მხოლოდ მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტული გადაგვარების სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ. საქმე ის არის, რომ თუ „მემარცხენეობის“ სენმა ფეხი მოიკიდა, თუ მის წინააღმდეგ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, შეიძლება ამას ის მოჰყვეს, რომ პარტიებმა დაკარ-

ჯონ მასებთან კავშირი, გადაგვარდნენ სექტებად და შეთქმულთა საიდუმლო კავშირებად.

შუშათა კლასის პოლიტიკურად მომწიფებული პარტიის — რევოლუციის ჭეშმარიტი მსახურის უპირველესი თვისებაა მასებთან განუყოფელი კავშირი, მუშაობა მასების შუაგულში და მასებთან ერთად, რომელთა საქმესაც რევოლუცია ემსახურება. უამისოდ პარტია კარგავს თავის დანიშნულებას, მოძრაობის ხელმძღვანელი ძალის, კლასის მოწინავე ნაწილის ფუნქციას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ახალგაზრდა კომპარტიებს ღრმად შეეთვისებინათ ეს ჭეშმარიტება, არ აჰყოლოდნენ ყალბად გაგებულ რადიკალიზმს, დოქტრინიორობისა და სექტანტობისაკენ არ გადახრილიყვნენ. აი, რატომ უნდა მიექცეს განსაკუთრებით დიდი ყურადღება მუშათა კლასთან, მშრომელ მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებას.

მემარჯვენე ოპორტუნიზმთან ბრძოლაში მარქსისტები კრიტიკის მახვილს უპირატესად სუბიექტური ფაქტორის როლის შეუფასებლობის, სტიქიურობისა და მაჩანჩალობის ქადაგების წინააღმდეგ მიმართავენ. მაგრამ როცა რეალური ხდება საფრთხე „მემარცხენე“ ოპორტუნიზმისა, რომელიც ანვარიშს არ უწევს საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობას, არ ითვალისწინებს ობიექტურ ვითარებას და ცდილობს „გამოტოვოს“ მოძრაობის აუცილებელი ეტაპი, მარქსისტების წინაშე დგება ამოცანა — ცხადყონ სოციალური განვითარების კანონზომიერი ხასიათი, „მემარცხენეთა“ წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობისა და ანარქიზმის სრული უსაფუძვლობა.

რევოლუცია არ შეიძლება შეკვეთით, ცალკეული პოლიტიკური ჯგუფებისა და პარტიების სურვილით. რევოლუციის გამარჯვება მხოლოდ მაშინ შეიძლება, ლენინის სიტყვებით, როცა მომწიფებულია საერთო-ეროვნული კრიზისი, როცა „ქვედაფენებს“ აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, ხოლო „ზედაფენებს“ აღარ შეუძლიათ ძველებურად ცხოვრების შენარჩუნება. ამასთან, მთავარია ის, რომ საერთო-ეროვნული კრიზისის დროს პოლიტიკაში ებმებიან ფართო მასები, რომლებიც აქტიური ისტორიული შემოქმედებისათვის იღვიძებენ

და ინიციატივის შედეგად წყდება შედარებით მშვიდი და წყნარი განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმოშობილი წინააღმდეგობანი[1].

კ. მარქსმა აღმოაჩინა კანონზომიერება, რომლის თანახმად საზოგადოებრივი გადატრიალების სიღრმეს ამ გადატრიალების უშუალო მონაწილე მასების სიფართოვე განსაზღვრავს. აქედან მომდინარეობს დასკვნა, რომელიც უკავშირდება რევოლუციაში მასების თვალსაჩინო როლის აღიარებას და მასებთან პარტიის მუშაობის აუცილებლობის გაგებას. კომპარტიის საქმიანობის სწორედ ამ მხარეზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, ამის ნიმუშად მას ბოლშევიკების პოლიტიკა, მასებში და მასებთან მისი მუშაობის გამოცდილება მიაჩნდა.

რევოლუციური სიტუაციის პირობებში ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა პარტია გაიყოლიოს და რევოლუციური მოქმედების კარიბჭემდე მიიყვანოს მასები, მოიპოვოს მასების ნდობა და მხარდაჭერა. თუ რევოლუციამდელ პერიოდში პარტიის საქმიანობის სფერო და მისი გავლენის ობიექტი ძირითადად მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე ნაწილის, მისი ავანგარდის იდეური დაპყრობით შემოიფარგლებოდა, რევოლუციის პერიოდში პარტიის საქმიანობის სფერო გაფართოვდა. ამოცანა ის არის, რომ პარტიას მთელი კლასი გაჰყვეს.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, მსოფლიოში შექმნილი ახალი ვითარების შესაბამისად, ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ახალი ამოცანები, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით წამოიჭრა კომპარტიების წინაშე. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ახლა მათ უნდა „უნარი ჰქონდეთ უხელმძღვანელონ არა მარტო თავიანთ პარტიას“, არამედ უნდა ისწავლონ ფართო მასების ხელმძღვანელობაც. მთავარი დარტყმის მიმართულების შეცვლა „მემარცხენე“ ოპორტუნიზმისაკენ პირველ რიგში მიზნად ისახავს მასებთან კავშირის განმტკიცებას, პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას.

ლენინი გამოთქვამდა აზრს, რომ საჭიროა მასებზე ზეგავ-

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 21, გვ. 248.

ლენის, მათს შეგნებაზე უშუალო ზემოქმედების ყველა ალ-
შუალების გამოყენება, მათი სწავლება საკუთარი გამოცდი-
ლების საფუძველზე. კომუნისტების ტაქტიკა უნდა იყოს არა
ერთფეროვანი და სწორხაზოვანი, არამედ სწრაფად ცვალე-
ბადი, ვითარების შესაბამისად აგებული.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ტაქტიკის შემუ-
შავებას, თუ რა სავალალო პოლიტიკური შედეგები შეიძლე-
ბა მოჰყვეს ტაქტიკურ შეცდომებს, ამას თვალსაჩინოდ მოწ-
მობს II ინტერნაციონალის ლიდერთა ბედი — ისინი გამოჩე-
ნილი მარქსისტები იყვნენ და პროლეტარული რევოლუციის
პირწმინდარდნილ რენეგატებად გადაიქცნენ, სხვებს ასწავლიდ-
ნენ მარქსისტულ დიალექტიკას, მაგრამ თვითონ ვერ შეძლეს
ამ დიალექტიკის პრაქტიკული გამოყენება. ძირითადი მიზე-
ზები ის იყო, რომ მათ „თვალი დარჩათ“ მუშათა მოძრაობი-
სა და სოციალიზმის ზრდის ერთ გარკვეულ ფორმაზე, რომე-
ლიც XIX საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი.

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა კომუნისტებს ესწავლათ დია-
ლექტიკის გამოყენება, ყოფილიყვნენ დიალექტიკოსები საქ-
მით. ამასთან, ბოლშევიზმის ისტორიიდან აღებული მრავალ-
რიცხოვანი მაგალითით უჩვენებდა, თუ როგორ მიეღწიათ ამი-
სათვის, შეესხათ ხორცი ამ მოთხოვნისათვის პარტიის პოლი-
ტიკურ საქმიანობაში. ყოველთვის, როგორც კი ტაქტიკის სა-
კითხებზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ვ. ი. ლენინი შეუპოვრად
და დაბეჯითებით ავითარებდა აზრს: თუმცა მუშათა მოძრა-
ობა თავის წინსვლით განვითარებაში ბურჟუაზიაზე გამარ-
ჯვებისათვის ყველგან არსებითად ერთნაირ მოსამზადებელ
სკოლას გადის, მაგრამ ყოველ ცალკეულ ქვეყანაში თავისებ-
ურად ახორციელებდა ამას.

ვ. ი. ლენინი გადაჭრით ილაშქრებდა ბრძოლის ტაქტიკუ-
რი წესების მექანიკური გათანაბრება-გაიგივების, გაშაბლო-
ნების წინააღმდეგ. „მთელი საქმე ახლა ის არის, — წერდა
იგი, — რომ თითოეული ქვეყნის კომუნისტებმა საკუთარით შეგ-
ნებულად გაითვალისწინონ როგორც ოპორტუნიზმთან და
„მემარცხენე“ დოქტრინიორობასთან ბრძოლის ძირითადი
პრინციპული ამოცანები, ისე ის კონკრეტული თავისებურე-

ბანიც, რომლებსაც ეს ბრძოლა იღებს და გარდაუვალად უნდა მიიღოს ყოველ ცალკეულ ქვეყანაში, მისი ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, მისი ეროვნული შემადგენლობის... მისი კოლონიების, მისი რელიგიური დაყოფისა და სხვ. და სხვ. ორიგინალურ თვისებათა შესაბამისად"[1].

თავისთავად იგულისხმება, რომ თუ ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა კონკრეტულ ვითარებათა ყოველმხრივი გათვალისწინების, ესე იგი მოქნილი ტაქტიკის აუცილებლობაზე, ეს არ ნიშნავდა სტრატეგიულ, პროგრამულ მიზანდასახულებათა ერთიანობის უგულებელყოფას. განა შეიძლება სხვაგვარად გავიგოთ მისი სიტყვები, რომ „ზოგიერთ ფრიად არსებით საკითხში ყველა ქვეყანას გარდაუვალად მოელის ის, რაც განვლო რუსეთმა[2]". აქაც საჭიროა დიალექტიკა, მისი პრაქტიკულად გამოყენება, პროლეტარული რევოლუციის საერთო პრინციპების განხორციელება ყოველი ცალკეული ქვეყნის სპეციფიკური პირობების შესაბამისად.

ეს არის საერთოსა და ცალკეულის შეხამების ამოცანა. შემთხვევითი არ იყო, რომ მას ვ. ი. ლენინი საგანგებო ყურადღებას აქცევდა. ამ ამოცანის დიალექტიკური გადაწყვეტისათვის მან ძალზე ბევრი რამ გააკეთა: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლენინმა შემდგომ განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შემუშავებული პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების თეორია. მარქსიზმის ფუძემდებლებს შესაძლებლად მიაჩნდათ სოციალიზმის გამარჯვება, როგორც მოწიხავე კაპიტალისტური ქვეყნების დიდი ჯგუფის მუშათა კლასის ერთდროული გამოსვლის შედეგი. ფ. ენგელსის აზრით, მაგალითად, კომუნისტური რევოლუცია მარტო ეროვნული არ იქნებოდა და მოხდებოდა ერთდროულად ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ე. ი. ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთსა და გერმანიაში მაინც. ეს თეზისი თეორიულად მართალი იყო იმ დროისათვის, როცა იგი ჩამოყალიბდა.

მოგვიანებით, როცა კაპიტალიზმი მონოპოლისტური გახდა და მისმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა განვითარებამ უაღ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 97.

[2] იქვე.

რესად უთანაბრო და ნახტომისებური ხასიათი შეიძინა, როცა პროლეტარული რევოლუციის წინამძღვართა მომწიფებაც უთანაბროდ წარიმართა, რამდენიმე ქვეყნის მუშათა კლასის ერთდროული გამარჯვება რევოლუციაში არათუ ნაკლებად სავარაუდო, შეუძლებელიც შეიქნა. იმპერიალისტური ეპოქის ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე; რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში არათუ შესაძლებელია, არამედ ყველაზე მეტად არის მოსალოდნელიც.

ეს თვალსაზრისი მოითხოვდა ისტორიული პროცესის მრავალგვარობის შესწავლას, კერძოდ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში ცალკეული ქვეყნების გადასვლის კონკრეტული გზების განსაზღვრას. თვით ოქტომბრის რევოლუცია იყო მსოფლიო-ისტორიული პროცესის ორი მხარის განუყოფლობის საუკეთესო განსახიერება, კერძოდ იმისა, რომ მისი კლასობრივი შინაარსის ერთგვაროვნება მუდამ ვლინდება ეროვნული ფორმების მრავალგვარობაში. ამ მხარეების დიალექტიკური ურთიერთკავშირის ღრმა გაგებას ეფუძნებოდა სწორედ ლენინური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა, რამაც რევოლუცია სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამგვარად, ვ. ი. ლენინს ყველა საფუძველი ჰქონდა გაეკეთებინა უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური დასკვნა, რომელმაც ახლა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა: „სანამ არსებობენ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის — ხოლო ეს განსხვავებანი კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი — ყველა ქვეყნის კომუნისტური, მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას (ეს სულელური ოცნებაა ახლანდელი მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს კერძო შემთხვევებში, სწორად შეუხამებდა, შეუ-

ფარდებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს"[1].

ამ დასკვნის მთავარი პათოსი ის არის, რომ გვიჩვენოს ეროვნულ-განსაკუთრებულისადმი უაღრესად დაკვირვებული, ყურადღებიანი დამოკიდებულების, მთელი მუშათა მოძრაობის საერთო ამოცანის გადაწყვეტისადმი — პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისადმი მიდგომის კონკრეტული გზების ძიების აუცილებლობა.

3. ისტორიის მიჯნები და პოლიტიკური ორიენტაცია

ჩვენი ეპოქა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მსოფლიო მასშტაბით გადასვლის ეპოქაა. ეს პროცესი განსაზღვრავს თანამედროვეობის ხასიათს, ძირითად შინაარსს და მთავარ ტენდენციებს. სოციალისტური მშენებლობის ნიმუშია ისტორიაში სსრ კავშირი, რომელიც გზას უჩვენებს ხალხებს სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრისაგან გახთავისუფლების, საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლაში. იმპერიალიზმმა საბოლოოდ დაკარგა წინანდელი ბატონობა, სოლო სოციალიზმმა მსოფლიო სასიცოცხლო პროცესშივე გადამწყვეტი გავლენა მოიპოვა. ამიერიდან სოციალიზმი განსაზღვრავს თანამედროვე ისტორიის კურსს, საზოგადოების წინსვლას.

ბურჟუაზიული იდეების განუხრელი დევალვაციის მიზეზია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წინსვლა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ეს პროცესი სულ უფრო ორმავდება. რეაქციული წრეები ბრმები არ არიან, რომ დამშვიდებული შესცქეროდნენ ამ მოვლენას. ისინი ადამიანთა გოხებისა და სულისათვის ბრძოლაში მიმართავენ მრავალფეროვან, ზოგჯერ ძალზე ეფექტიან საშუალებებს და არ იწუნებენ არც მოძველებულ ანტიკომუნისტურ შტამპებს, მოდურ დოქტრინებს „პოსტინდუსტრიული", „სუპერინდუსტრიული" თუ „ტექნოტრონული" საზოგადოების შესახებ, რასაც მკითხვე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 97—98.

ლებს ფართო ასორტიმენტით სთავაზობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები და პოლიტოლოგები (დ. ბელი, ჯ. გელბრეიტი, რ. არონი, ჟ. ფურასტიე და მათი მიმდევრები 80-იან წლებში). ანტიკომუნისტური იდეოლოგიური საშუალებების არსენალში კუთვნილი ადგილი უჭირავს სოციალ-დემოკრატი რეფორმატორების, თანამედროვე მემარჯვენე რევიზიონისტების, ე. წ. „დემოკრატიული სოციალიზმის“ ან პლურალისტული სოციალიზმის კონცეფციების პროპაგანდას.

ბურჟუაზიული იდეოლოგების „პოსტინდუსტრიული“ საზოგადოებისა და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული აზრის წიაღში წარმოშობილი „დემოკრატიული“ და „პლურალისტული“ სოციალიზმის თეორიების ძირითადი მაჩვენებლების შედარებისას ცხადი ხდება მათი საოცარი მსგავსება. ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ორივე კოხცეფცია — ბურჟუაზიულიც და ფსევდოსოციალისტურიც—მიმართულია კაპიტალიზმის სტაბილიზაციისაკენ და აშკარა აპოლოგეტურია.

სოციალიზმის და მისი აშენების გზების შესახებ მცდარ წარმოდგენათა კრიტიკა ზედაპირული და არასრული იქნება, თუ არ გამოაშკარავდა ამ წარმოდგენებისა და დასკვნების თეორიული ბაზის უძლურება. სხვადასხვა „სოციალიზმის მოდელების“ გამართლებისა და დაკანონების დანმარებით იმპერიალისტური პროპაგანდა ცდილობს მოახდინოს სოციალიზმის ეროზია, საერთაშორისო მუშათა კლასის რიგების ერთიანობის რღვევა. კომუნისტური და მთელი რევოლუციური მოძრაობის შინაგან გახრწნაზე იმედის დამყარება წარმოადგენს მისი კლასობრივი სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რაზმების სიმტკიცის და კომუნისტური პარტიების ბრძოლისუნარიანობის წინააღმდეგ არის მიმართული პლურალიზმის, მარქსისტული იდეოლოგიის „სხვადასხვა თეორია“. მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგულებას ბურჟუაზიული იდეოლოგიის აპოლოგეტები უწოდებენ უკიდურეს დოგმატიზმს, ხოლო მარქსიზმიდან დაშორებას და მისი პრინციპების ღალატს ასაღე-

ბენ როგორც „შემოქმედებით“ გააზრებას, „აუტენტურ მარქსიზმს“, „ნეომარქსიზმს“ და ა. შ.

შემთხვევითი არ არის, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდა კონვერგენციის. ინდუსტრიული ცივილიზაციის თეორიებთან ერთად ყოველნაირად მხარს უჭერს და რეკლამას უკეთებს ყოველგვარ ოპორტუნისტულ იდეებს: პლურალიზმს, სოციალიზმის „ეროვნულ მოდელებს“ და ა. შ. საბოლოო ანგარიშით, იმედი აქვს, რომ ამ გზით შეასუსტებს მარქსისტული იდეოლოგიის ზეგავლენას მასებზე.

მაშასადამე, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში სულ უფრო მწვავდება და რთულდება ორი მტრული იდეოლოგიის — სოციალისტურისა და კაპიტალისტურის ბრძოლა. სოციალისტური იდეები არასოდეს არ ყოფილა ისე პოპულარული, როგორც ახლა. მათ ეწაფებიან მოსახლეობის სრულიად განსხვავებული ფენები, კლასები და სოციალური ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები. სოციალიზმის შესახებ წერენ და დავობენ მარქსიზმისაგან დაშორებული იდეური მიმდინარეობები, თვით ბურჟუაზიული იდეოლოგიის აღიარებული ავტორიტეტები. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კაპიტალიზმს ნიადაგი ეცლება მორალურად, იდეურად.

ბურჟუაზიული იდეოლოგია იძულებული ხდება თავისი გავლენის შესანარჩუნებლად ანგარიში გაუწიოს სოციალიზმის მიმზიდველი ძალის ზრდას. ამიტომ მისი წარმომადგენლები ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ მასები. თავიანთი კონცეფციების დასანერგავად გამოიყენონ სოციალისტური ფრაზეოლოგია.

იმისათვის, რომ არსებულ შეხედულებათა კალეიდოსკოპში გაერკვეს ადამიანი, მონახოს ისეთი კრიტერიუმი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაარჩიოს ჭეშმარიტება და სიყალბე, გამოააშკარაოს „სოციალიზმის“ ბურჟუაზიული ვერსია, უნდა მიმართოს რეალურ სოციალიზმს, მთელ სოციალისტურ სამყაროს, რომლის საფუძველზეც შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ და სწორად განვსაზღვროთ ბურჟუაზიული და ჭეშმარიტად პროლეტარული, მარქსისტული პოზიციები. აი, რატომ ენიჭება ისტორიულ ორიენტაციაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გლობალური ხასიათის მოვლენებისა და

პროცესებისადმი მიმართებას. ობიექტურად საქმე ეხება კაცობრიობის ისტორიის მიჯნებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან გავიგოთ აწმყო, დავინახოთ პერსპექტივა. ერთი სიტყვით, მათ შეფასებაში ყალიბდება პოლიტიკური აზროვნება.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემასთან დამოკიდებულება არის პირველხარისხოვანი ფაქტორი, რომლის ნიადაგზე შეიძლება ზუსტად გავარკვიოთ ამა თუ იმ მიმდინარეობის პოზიცია და არსი, იდეური პლატფორმის ხასიათი. სწორედ აქ გადის ორი იდეოლოგიის, ორი ისტორიული ორიენტაციის გამყოფი სადემარკაციო ხაზი. ამ ორი პოზიციის, ორი მიდგომის პოლიტიკური დაპირისპირება თავს იჩენს პირველ რიგში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების როლისა და მნიშვნელობისადმი დამოკიდებულებაში, მათს ახსნასა და შეფასებაში.

ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე, აიყვანა იგი ორგანიზებულობის უფრო მაღალ საფეხურზე. ამის გამოხატულებაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კომუნისტური პარტიების შექმნა და მუშათა კლასის, რევოლუციური მოძრაობის განთავისუფლება ოპორტუნიზმისაგან.

სსრ კავშირის მშრომელები თავიდანვე ყველაფერს აკეთებდნენ თავდაპირველად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, რითაც ბრწყინვალედ ასრულებდნენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას. ვიბრძვით რა სოციალისტური წყობისათვის რუსეთში, განაცხადა ვ. ი. ლენინმა, ჩვენ ვიბრძვით მთელი მსოფლიოს სოციალიზმისათვის. ოქტომბრის რევოლუციას ამ ნიშნით აფასებდნენ მსოფლიოს მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები. რომენ როლანი აღნიშნავდა: სსრ კავშირში ასსამოცმილიონიანი ხალხი შრომობს არა მარტო საკუთარი კეთილდღეობისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, აჩვენებს მას გონივრულად ორგანიზებული მასების ნებისყოფის მიერ მოხდენილ საოცრებას. თ. დრაიზერი წერდა: გამოვიყენოთ შრომა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ბუნებრივი სიმდიდრეები, ტექნიკა, ადამიანის ცოდნა, ადამიანის ბატონობა ბუ-

ნებაზე, ყოველივე ეს მშრომელთა საკეთილდღეოდ, რათა ყველას შევუქმნათ შესაძლებელი და კულტურული ცხოვრება, როგორიც აჩვენა კაცობრიობას საბჭოთა რევოლუციამ.

ოქტომბრის რევოლუციას, მისი იდეების, გაკვეთილებისა და შედეგების მნიშვნელობას სრულიად სხვაგვარად აფასებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგები, სხვადასხვა ჯურის რეფორმატორები, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები და ახლად მოვლენილი რევიზიონისტები. ისინი ყოველხაირად ცდილობენ დაამცირონ ოქტომბრის გაკვეთილის მნიშვნელობა, მოახდინონ მისი ლოკალიზაცია, წარმოადგინონ ეს რევოლუცია ეროვნულ; წმინდა რუსულ მოვლენად, ესწრაფვიან სსრ კავშირში მომხდარ ცვლილებათა მსოფლიო-ისტორიული როლის უგულებელყოფას და კატეგორიულად უარყოფენ ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის გამოცდილების ინტერნაციონალურ მნიშვნელობას.

XX საუკუნის დამდეგს, როგორც ცნობილია, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოიხაცვლა. იმპერიალიზმის ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლი სწორედ აქ აღმოჩნდა. ყოფილი რუსეთის იმპერიის მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის მეოხებით იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობას ბოლო მოეღო. დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა — ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მსხვრევისა და ახალ, კომუნისტურ ფორმაციაზე გადასვლის ეპოქა. ეს რევოლუცია ნიშნავდა ძირეულ შემობრუნებას კაცობრიობის ბედში. როგორც ვ. ი. ლენინმა იწინასწარმეტყველა, რუსეთის პროლეტარიატს სხვა ხალხებიც გაჰყვნენ და მსოფლიო ისტორიის დიადმა გარდატეხამ ჩვენი ქვეყანა სოციალური პროგრესის ავანგარდად და მეთაურად გადააქცია.

ვერც კონტრრევოლუციამ, ვერც სამოქალაქო ომმა და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციამ, ვერც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამ ვერ შესძლეს მისი უკან დაბრუნება ან შეფერხება. საბჭოთა ხალხმა გმირულად გაუძლო ყოველგვარ განსაცდელსა და სიძნელეს, მარტოდმარტომ დაიცვა რევოლუციური გამარჯვების დიადი ნაყოფი, ბოლომდე მიიყვანა რევოლუციის თავდაპირველი ამოცანა: სსრ კავშირში ააშენა

მსოფლიო ისტორიაში პირველი სოციალისტური საზოგადოება. ჩვენი ქვეყნის გმირულმა ბრძოლამ და მეორე მსოფლიო ომში ფაშისტთა განადგურებამ საკაცობრიო ასპარეზზე გაიყვანა და განამტკიცა სოციალისტური სისტემა. მთელ რიგ ქვეყნებში გაიმარჯვა ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ და მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრესს შეუქცევადი ხასიათი მიეცა.

საბჭოთა ხალხმა მტრული კაპიტალისტური გარემოცვის უმძიმეს პირობებში დაიცვა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი და ამით პირნათლად შეასრულა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა — მსოფლიო რევოლუციის ბაზის განმტკიცება.

სოციალიზმის ისტორიული მნიშვნელობა და ხვედრითი წონა დამოკიდებულია კაპიტალიზმთან შედარებით მისი უპირატესობის პრაქტიკულ დასაბუთებაზე. ეს უნდა ჩანდეს პირველ რიგში ეკონომიკის სფეროში, რათა ნათელვყოთ სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობა მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, სოციალისტური წყობილების კაპიტალისტურზე გამარჯვება მოითხოვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, რომელიც გადააჭარბებდა კაპიტალიზმის საწარმოო სიმძლავრეებს.

სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების გამოცდილება მოწმობს, რომ საზოგადოების ორგანიზაციის ახალი ფორმა საწარმოო ძალების ინტენსიური განვითარების უდიდეს საშუალებას იძლევა. იგი უზრუნველყოფს მატერიალური წარმოების შეუფერხებელ, ნახტომისებურ ზრდას, მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების დონის ამაღლებას, ხალხის კულტურულ განვითარებას. უნდა გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს შრომის ნაყოფიერების დარგში. თუ ვიმსჯელებთ ზრდის ობიექტური ტენდენციის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით, ცხადი გახდება სსრ კავშირის ხვედრითი წონის ზრდა მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში.

საბჭოთა ხალხის უპირველესი ამოცანა და ინტერნაციონალური მოვალეობაა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური

ბაზის შექმნა. მისი სრულყოფა ახლა ნიშნავს წარმოების ინტენსიფიკაციის დამთავრებას, შრომის იარაღების, ტექნოლოგიური პროცესების, ენერგიის, ნედლეულისა და მასალების გამოყენების ხასიათის თვისებრივ შეცვლას, წარმოების ავტომატიზაციას, ხელით შრომის მინიმუმამდე დაყვანას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციასა და მართვას. ერთი სიტყვით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების მატერიალური წანამძღვარია. სოციალისტური მშენებლობის ამოცანაა განხორციელდეს არსებული კლასობრივი განსხვავების დაძლევა, გონებრივი და ფიზიკური შრომის შერწყმა, სოფლის ქალაქთან დაახლოება, ეროვნული კულტურის შემდგომი ამაღლება. ამ საფუძველზე სოციალისტური ერების დაახლოება, საზოგადოებრივი პროცესების მართვის დემოკრატიული ფორმების სრულყოფა და ა. შ. ამ ამოცანების შესრულება ბურჟუაზიულ ცივილიზაციაზე სოციალისტური ცივილიზაციის სრული უპირატესობის დემონსტრაცია იქნება. საერთო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ეროვნული თვითმყოფობის აუცილებელი გათვალისწინებით, იმ კონკრეტულ-ისტორიულ გარემოებათა ფარგლებში, სადაც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განხორციელებას წარმართავენ კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომელთაც სწორად აქვთ შეცნობილი და გააზრებული ეროვნულისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკური ერთიანობა.

სოციალიზმის პირველმა ქვეყანამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაზე, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი მაგალითის ძალით თვალსაჩინოდ დაანახვა მსოფლიოს, თუ რა შემოქმედებითი უნარი აქვს მუშათა კლასს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ნათელყო, რომ მას შეუძლია უზრუნველყოს მშრომელთა საუკუნეობრივი იდეალების განხორციელება.

ახალი საზოგადოების მშენებლობა მიმდინარეობდა შინაურ და გარეშე კლასობრივ მტრებთან მწვავე, შეურიგებელ ბრძოლაში. სოციალიზმის გამარჯვება გულისხმობდა, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, ყველაზე საშინელ ძალასთან — ინერ-

ციასთან და ძველ ჩვეულებათან შებრძოლებას. უნდა დაგვეძლია საუკუნეობით დამკვიდრებული უძრაობა და ბიუროკრატიზმი, შრომის აბუჩად აგდება, ნაციონალისტური ტენდენციები, რელიგიური ცრურწმენანი და სხვ.

ერთი სიტყვით, ჩვენი განვლილი გზა ძალზე რთული და ძნელი იყო. მრავალი განსაცდელი და შეცდომაც ხვდათ წილად სოციალიზმის პირველ მშენებლებს, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო სოციალიზმის ბუნების ადეკვატური საზოგადოებრივი ცხოვრების მართვისა და ორგანიზაციის ყველაზე ოპტიმალური ფორმების ძიებასთან, რაც თეორიაში მანამდე მხოლოდ ზოგადი სახით იყო ცნობილი. მძიმე და რთული გამოდგა სოციალისტური ნოვატორობის გზა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი განუხრელად წინსვლას, სოციალიზმის, როგორც კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმის დამკვიდრებას ნიშნავდა.

სოციალისტური საზოგადოების არსებობის ფაქტი თავისთავად იწვევს კოლოსალურ რეზონანსს. იგი უდიდეს რევოლუციურ ზეგავლენას ახდენს მთელ სამყაროზე, წარმოადგენს სოციალური პროგრესის მძლავრ კატალიზატორს. ამიტომ, რასაკვირველია, სრულიადაც არ ამოიწურება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილების ინტერნაციონალური მნიშვნელობა. ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა.

ამასთან, არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც. სოციალური პროგრესის მეწინავენი — სოციალისტური ქვეყნები მსოფლიოს აჩვენებენ იმას, რაც მეტ-ნაკლებად, ამა თუ იმ კონკრეტული ფორმით, გარკვეული მოდიფიკაციით აუცილებლად უნდა გაიმეორონ სხვა ქვეყნებმაც. სხვაგვარად, ყოველ ქვეყანას რომ თავისი დამოუკიდებელი, უნიკალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განვითარების განსაკუთრებული ისტორია ჰქონდეს, შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერებაზე და რაიმე წინასწარჭვრეტაზე ლაპარაკი.

საქმე ის არის. რომ განვითარების კონკრეტული გზების თავისებურებასთან ერთად არსებობს, და არც შეიძლება არ არსებობდეს, საერთო გზა ხალხებისა და სახელმწიფოების ის-

ტორიულ ბედში. ეს დებულება სოციალური პროცესების მეცნიერული განზოგადების წანამძღვარია. იგი განაპირობებს თვით ისტორიაზე მეცნიერული შეხედულების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. როცა კ. მარქსმა კაპიტალიზმის ახალიზი ინგლისის ბურჟუაზიული საზოგადოების ანალიზზე დაამყარა, მას მიაჩნდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებული ფორმა საშუალებას იძლევა აღმოაჩინოს ფუნდამენტური ნიშნები, რომლებსაც ადრე თუ გვიან შეიძენდნენ სხვა ქვეყნებიც, რომლებიც ინგლისზე გვიან დაადგნენ განვითარების კაპიტალისტურ გზას.

კაპიტალიზმი, რასაკვირველია, მსოფლიო ისტორიულ მოძრაობაში გამონაკლისი არ არის. საერთო წესის მაგალითი სოციალიზმზეც ვრცელდება. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ოქტომბრის რევოლუციის ძირითადი ნიშნების საერთაშორისო მნიშვნელობას, მათი განმეორების გარდაუვალობას.

მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის განვითარების ბოლო ნახევარი საუკუნე ნათლად ამტკიცებს ვ. ი. ლენინის დასკვნების სისწორეს. სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებათა მნიშვნელობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. განვლილ დროში დიდად გაფართოვდა წარმოდგენები რევოლუციური ბრძოლის საშუალებებისა და ფორმების შესახებ, გაღრმავდა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გაგებისა და გათვალისწინების ყოველმხრივი მკაცრი აუცილებლობა. ამაზე დამოკიდებულია პროგრესული ძალებისა და ტენდენციების უპირატესობა. უფრო ურყევი გახდა იმის რწმენა, რომ საჭიროა მოვლენების არსებაში ჩაწვდომა და ამის მიხედვით საკუთარი დასკვნების შემოწმება.

იმის შემდეგ, რაც სოციალიზმი ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, ზოგადისა და ცალკეულის კავშირის საკითხმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა რევოლუციურ განვითარებაში. აქ მთავარია პრინციპული მიმართება სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებისადმი. ამ საკითხს ღრმათეორიული ხასიათი აქვს, უდიდესია მისი პოლიტიკური მნიშვნელობა.

სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობის, მუშათა

კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მეცნიერული დასაბუთება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ქვაკუთხედია. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიული გამოცდილება, XX საუკუნის რევოლუციათა და განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილება თვალსაჩინოდ ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლურ დასკვნებს: კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით, პროლეტარიატის დიქტატურას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ვინაიდან ის მთავარი იარაღია საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნასა და განმტკიცებაში, რომ იგი აბსოლუტურად აუცილებელია წარმოების ძირითად საშუალებათა სოციალისტური განზოგადოების, მათი ნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად, იმისათვის, რომ შეიქმნას თვისებრივად ახალი ურთიერთობანი და განხორციელდეს კულტურული რევოლუცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის მოღვაწეობაში ხალხების უდიდესი სოციალური, ეროვნული, კულტურული განსხვავებების გათვალისწინება მოუხდა. ეს მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული საერთაშორისო მასშტაბით. სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებანი თავისთავად, მათი კონკრეტული, სპეციფიკური ყოფიერებისაგან დამოუკიდებლად, ცხადია, არ არსებობენ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთი ქვეყნის გამოცდილების მეორე ქვეყანაზე მექანიკური გადატანა, ბრმად გადაღება არ შეიძლება.

იმპერიალიზმის იდეოლოგები უხეშად ამახინჯებენ კომუნისტების პოზიციას, ხატავენ მათ გამოუსწორებელ დოგმატიკოსებად, რომელთაც თითქოს არ უნდათ ანგარიში გაუწიონ ცალკეული ქვეყნების განვითარების ეროვნულ თავისებურებებს და დაჟინებით მოითხოვენ განვითარების სოციალისტური გზებისა და ფორმების უნიფიკაციას, სტანდარტიზაციას. საყვედური მარქსისტულ-ლენინური პარტიების მიმართ, რომ ისინი თითქოს უგულებელყოფენ ახალი ცხოვრების მშენებ-

ლობის მრავალფეროვან მეთოდებს, არ ითვალისწინებენ ეროვნულ თავისებურებებს და ეროვნულ ინტერესებს მსხვერ-პლად სწირავენ ინტერნაციონალურს, რომ ისინი თითქოს მიისწრაფიან „ერთიანი შაბლონისაკენ“, — ყოველგვარ საფუ-ძველს მოკლებულია.

საკმარისია აღვნიშნოთ, როგორც ეს ოფიციალურ დოკუ-მენტებშია აღიარებული, რომ ისინი თავიანთ საქმიანობას ეწევიან უაღრესად მრავალფეროვან პირობებში, რაც კონ-კრეტული ამოცანების გადაჭრისადმი შემოქმედებრივ მიდგო-მას მოითხოვს. თითოეული პარტია ხელმძღვანელობს მარ-ქსიზმ-ლენინიზმის ზოგადი პრინციპებით და ამასთან ერთად ითვალისწინებს კონკრეტულ ეროვნულ პირობებს, სავსებით დამოუკიდებლად ამუშავებს თავის პოლიტიკას, განსაზღვრავს ბრძოლის მიმართულებებს, ფორმებსა და მეთოდებს, ირჩევს ვითარების მიხედვით სოციალიზმში გადასვლის, სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტულ გზებს.

კომუნისტები არათუ უგულებელყოფენ თავიანთი ქვეყნის ეროვნულ სპეციფიკას, არამედ, პირიქით, დარწმუნებულნი არიან, რომ მათი წარმატება მთლიანად ეროვნული ნიშნების მაქსიმალურ გათვალისწინებაზეა დამოკიდებული. კომპარტი-ების სტრატეგიასა და ტაქტიკაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას თვითნებური „გათანაბრება“, ძალდატანებითი „ერთფე-როვნება“. ყოველი მათგანი თვითონ, საკუთარი ძალებით შეიმუშავებს და ცხოვრებაში გაატარებს ბრძოლის პოლიტი-კასა და ტაქტიკას, ეყრდნობა რა კულტურული ფორმებისა და ტრადიციების შესაბამისად თავისი ქვეყნის ეროვნულ-ისტო-რიულ თავისებურებას, ცხადია, პარტიის პოლიტიკის სუვერე-ნულობამ და დამოუკიდებლობამ იგი იზოლაციამდე არ უნდა მიიყვანოს.

მაშასადამე, უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს საერთო საქმეზე, კომუნისტური მოძრაობის რიგების დარაზმულობა-ზე, მისი ეროვნული რაზმების მოქმედების ერთიანობაზე.

ამის თავიდან აცილება შესაძლებელია რევოლუციურ განვითარებაში ცალკეულისა და ზოგადის დიალექტიკის მკაცრი დაცვით, მისი პრაქტიკული გამოყენებით. სოცი-ალისტურ მშენებლობაში ინტერნაციონალურია გარდაქმნათა

ძირითადი კანონზომიერებანი, საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკის, პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების, კულტურის სფეროს ორგანიზაციის საერთო პრინციპები, რადგანაც სოციალისტურ ქვეყნებს აქვთ საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული ერთტიპობრივი ეკონომიკური ბაზისი, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა და ერთიანი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი. ეროვნული, კონკრეტული, განსაკუთრებული კი არის ღონისძიებათა კომპლექსი, სოციალიზმის ზოგადი პრინციპების რეალიზაციისაკენ მიმართული საშუალებებისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობა. მაგალითად, ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული ადგილი უჭირავს სოციალისტურ საკუთრებას, ხოლო მისი საერთო-სახალხო და კოოპერაციული ფორმები შეხამებულია სპეციფიკურ პირობებთან. ასევე სახელმწიფო დაგეგმვა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამოყენება ყოველ ქვეყანაში თავისებურ ფორმას იღებს.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემას მრავალფეროვნება ახასიათებს ზედნაშენშიც, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ფორმებისა და საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოებს სტრუქტურაშიც. თუმცა მათ აქვთ ერთი არსება — პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც განვითარების გარკვეულ სტადიაზე საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიზრდება. სსრ კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ მუშათა კლასის დიქტატურა აუცილებელია მტრული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

გამოცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებულ, იდეურად მონოლითურ და ორგანიზაციულად მტკიცედ შემჭიდროებულ პარტიას შეუძლია შეასრულოს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ხელმძღვანელი როლი. ასეთი პარტიის გარეშე სოციალიზმის და კომუნიზმის აშენება შეუძლებელია. ამასთან, უდავო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ პარტიის ხელმძღვანელ როლს სხვადასხვა ქვეყანაში კონკრეტული ფორმები და ნიშნები უჩნდება. ასეთ პირობებში ყოველთვის ჩნდება საჭიროება — გულდასმით განისაზღვროს, თუ რას ახასიათებს ნამდვილად

ინტერნაციონალური მნიშვნელობა და რა ეკუთვნის უმეტესად მოცემულ ქვეყანას, რომელიც გამომდინარეობს მხოლოდ მისი ეროვნული პირობებიდან. ერთნაირად მავნე და დაუშვებელია როგორც განსაკუთრებულის აბსოლუტიზაცია და ზოგადის იგნორირება, ისე განსაკუთრებულის, სპეციფიკურის უარყოფა და ყურადღების შეჩერება მხოლოდ ზოგადზე.

ლენინიზმის ძალა და შემოქმედებითი ხასიათი ვლინდება იმით, რომ იგი თავიდანვე არ შეზღუდულა დოგმატური მიდგომით. იგი წარმოიშვა იმპერიალიზმის დროს, ახალ ისტორიულ პირობებში, მაგრამ შემდგომ განვითარდა კაპიტალიზმის იმპერიალისტური სტადიის სიღრმისეული პროცესების, სოციალისტური რევოლუციის, პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილების გააზრების საფუძველზე. კომუნისტურმა პარტიებმა კარგად შეითვისეს ლენინიზმის ეს მოთხოვნა; ისინი ხელმძღვანელობენ იმით, რომ სოციალისტური რევოლუციები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების არათანაბარი დონის პირობებში ხდება. ამან არ შეიძლება არ შექმნას უამრავი თავისებურება, რაც დაკვირვებისა და ანალიზის საგანი უნდა გახდეს.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის კარიბჭეს მივუახლოვდით. ამ დიდი მოვლენისათვის სამზადისმა ღრმა პოლიტიკური აზრი შეიძინა უმხიშვნელოვანესი დოკუმენტების — პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, მისი წესდების ცვლილებების, XII ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ჩვენი პარტია თუდამ გამოირჩეოდა მოწინავე თეორიის როლის ღრმად გაგებით. ქმნიდა რა ახალი ტიპის პარტიას, ვ. ი. ლენინს მის დანიშნულებად მიაჩნდა, რომ პარტია ყოფილიყო მუშათა მოძრაობაში სოციალისტური იდეების გამტარებელი, რათა მეცნიერული სოციალიზმი შეეერთებინა ამ მოძრაობასთან. უფრო მეტიც, პარტია, რომელიც გვევლინება მუშათა კლასის ავანგარდად, მის შეგნებულ და დისციპლინირებულ რაზმად, თავად განასახიერებს თეორიისა და პოაქტიკის ერთიანობას.

პროგრამა პარტიის სწორედ ის იდეური დროშაა, რომლის გარშემოც შემჭიდროებულია ორგანიზაცია. ლენინური განსაზღვრების თანახმად, პარტიულმა პროგრამამ „უსდა განუმარტოს მასებს, როგორ წარმოიშვა კომუნისტური რევოლუცია, რატო არის იგი გარდაუვალი, რაშია მისი მნიშვნელობა, მისი არსი, მისი ძალა; რა უნდა გადაწყვიტოს მან“[1]. პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის საყრილობო განხილვა ხელს უწყობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შემდგომ ათვისებას, პარტიის სტრატეგიული კურსისა და ტაქტიკური მითითებების განმარტებას და კომუნიტების შეკავშირება-მობილიზებულობის მაღალ დონეს, რათა წარმატებით გადავწყვიტოთ ამოცანები, რომლებიც გამოიყოფიან კომუნისტური პერსპექტივის გათვალისწინებით.

ახალ რედაქციაში პროგრამის ამოსავალია საზოგადოების განვითარებაში ეკონომიკის გადამწყვეტი როლი, რაც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 184.

იქიდან ჩანს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია წითელ ხაზად გასდევს მთელ პროგრამას. ეს ასახულია მის აგებულებაშიც. თუ მეორე პროგრამაში შესავალ ნაწილს, რომელიც ეძღვნებოდა ეკონომიკის ზოგად დახასიათებას, მაშინვე მოჰყვებოდა საბჭოთა სახელმწიფოს, მუშებისა და გლეხების ხელისუფლების ორგანოების განმტკიცების პოლიტიკური ამოცანების განსაზღვრა, მესამე პროგრამის ახალ რედაქციაში საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების საკითხების განხილვას წინ უსწრებს ქვედანაყოფები პარტიის ეკონომიკური სტრატეგიისა და მისი სოციალური პოლიტიკის შესახებ.

ეს განსხვავებანი ფორმალური როდია. ისინი გამოხატავენ ორი ისტორიული ეპოქის განსხვავებას, რომელთა დაწასიათება მოცემულია ზემოთ დასახელებულ პროგრამებში. სოციალიზმის ასაშენებლად საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, ექსპლუატაციის საფუძვლის — კერძო საკუთრების მოსპობა, წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზოგადოება და უწინდელი გაბატონებული კლასების წინააღმდეგობის დაძლევა. ამ და ამის მსგავსი აქციების განხორციელება მშრომელებს შეეძლოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექნებოდათ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება. ამის გამო საკსებით ლოგიკური იყო, რომ პარტიას, რომელიც ახალი სამყაროს შექმნის პროცესს მეთაურობდა, თითოეული კომუნისტის შეგნებამდე დაჰყავდა პოლიტიკური ზედნაშენის როგორც კლასობრივი, ეროვნული და ყველა სხვა სახის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენების იარაღის პრიორიტეტული მნიშვნელობა.

ისტორიული განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, როდესაც სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიო სოციალიზმი გადაიქცა თანამედროვე მსოფლიოს განვითარების დაუძლეველ ტენდენციად, პარტიის წინაშე მდგარი ამოცანები მკვეთრად შეიცვალა. ახლა სოციალიზმმა სიცოცხლისუნარიანობა კი არ უნდა დაამკვიდროს. არამედ უფრო სრულად გამოამზეუროს თავისი უპირატესობები. რომლებიც ამ წყობილებას

აქვს და, საბოლოო ანგარიშით, განისაზღვრებიან უფრო მაღალი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებით. მაშასადამე, ისინი ეკონომიკის სფეროს განეკუთვნებიან. ამიტომაც პარტია პროგრამის ახალი რედაქციის პროექტით უპირველეს ყურადღებას უთმობს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას. მან იცის, რომ ისტორიული შეჯიბრება ორ დაპირისპირებულ სოციალურ სისტემას — სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის უნდა გადაწყდეს არა სამხედრო ბრძოლის ველზე, არამედ უფრო მეტად პროგრესული და ეფექტიანი სისტემის ორგანიზაციის მეშვეობით იმ საზოგადოებრივი წარმოებისა, რომელიც შექმნის ადამიანის ცხოვრების უკეთეს პირობებს, მისი ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობებს.

ამრიგად, როგორც პარტიის მეორე პროგრამა, ასევე პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი მეცნიერულად დასაბუთებულია და გამოშდინარეობს სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ზუსტი ანალიზიდან. ამის შესაბამისად, ერთი წარმოადგენს სოციალიზმის აშენების პროგრამას, მაშინ როდესაც მეორე არის სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის პროგრამა, რომელიც საბჭოთა საზოგადოებას წინ სწევს კომუნიზმისაკენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე.

სკკპ ახალი კურსის განხორციელებას შეიძლება მივაღწიოთ შრომითი კოლექტივების ინიციატივის ფართოდ გაშლით, მთელი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რასაც ჩვენში უწოდებენ ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციას. დაჩქარების ამოცანა მოითხოვს მძლავრ იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. პირველ რიგში პოლიტიკური აქტიურობის დონის ამაღლებას. ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ პოლიტიკური კულტურა არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ცოდნამდე, მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამომუშავებამდე. იგი გულისხმობს აგრეთვე ორგანიზებულობას, შეგნებულ დისციპლინას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას და საერთო საქმისათვის თავდადებას. ერთი სიტყვით, სოციალიზმის პოლიტიკური კულტურა იმ ცოდნის და რწმენის ერთიანობაა, რომელიც საბჭოთა ადამიანების მოღვაწეობაში აისახება და მიმართულია კომუნისტური იდეალების განხორციელებისაკენ.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
ნარკვევი 1. ნოვატორობისა და რეალიზმის გზით 14
1. სინამდვილის სწრაფვა აზრისაკენ 15
2. აზრის სწრაფვა სინამდვილისაკენ 27
ნარკვევი 2. პარტიის ძლიერების წყარო 51
1. ინერციის დაძლევა 52
2. მასების სათავეში 59
3. დისციპლინა და პასუხისმგებლობა 70
ნარკვევი 3. სოციალიზმი და დემოკრატია 82
1. არ არსებობს სოციალიზმი დემოკრატიის გარეშე 82
2. არასახელმწიფოებრივი, ხალხის მმართველობისაკენ 96
ნარკვევი 4. საბჭოთა კულტურის ერთიანობა და მრავალფეროვნება 110
ნარკვევი 5. ისტორიით აღზრდა 124
1. „ჩვეულებრივი ისტორიული რიგის სახეცვლილებები“ 125
2. ეროვნულის და ინტერნაციონალურის დიალექტიკა 139
3. ისტორიის საჯიკბი და პოლიტიკური ორიენტაცია 156
დასკვნა 169

რედაქტორი ბ. ლუტიძე
გამომცემლობის რედაქტორი ვ. ქრისტესიაშვილი
მხატვარი გ. ავსაჯანიშვილი
მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი
კორექტორი ნ. მშვიდლიშვილი
გამომშვები ნ. მანაგაძე

გადაეცა წარმოებას 06.07.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.85. უე 15536. საბეჭდი ქაღალდი № 2. 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9.03. პირ. საღ.-გატ. 9.14. სააღრ.-საგამომც. თაბახი 8.02. ტირაჟი 2000. შეკვ. № 5993.

ფასი 25 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.